MES 3 23 0000819311

04/07/2023

პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს
სხდომის ოქმი

საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2010 წლის 1 ოქტომბრის №99/ნ ბრძანებით დამტკიცებული „საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის დებულების“ 103-ე მუხლის პირველი პუნქტის საფუძველზე, პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს სხდომა ჩატარდა დისტანციურად, კომუნიკაციის თანამედროვე ელექტრონული საშუალებების, პროგრამა - Zoom-ის გამოყენებით **2023 წლის 20 ივნისს 14:00 საათზე**. პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს სხდომაში მონაწილე ყველა პირმა თანხმობა განაცხადა, რომ დისტანციური ფორმით მიეღო მონაწილეობა საბჭოს მუშაობის პროცესში.

სხდომის დაწყებამდე 10 წუთით ადრე ცენტრის ვებგვერდზე გამოქვეყნდა ბმული, საიდანაც ყველა დაინტერესებული პირი შეძლებდა საბჭოს სხდომაზე ჩართვას ონლაინ.
https://us02web.zoom.us/j/2234959888
Meeting ID: 223 495 9888
Passcode: 1234

პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს (შემდგომში-საბჭო) წევრები:

- **შორენა ჯაფარიძე** - პროფესიული განათლების ექსპერტი / საბჭოს თავმჯდომარე;
- **რუსუდან გიგაშვილი -** ა(ა)იპ - აგრო დუოს თავმჯდომარე / საბჭოს წევრი;
- **ნინო ველთაური -** სსიპ - დასაქმების ხელშეწყობის სახელმწიფო სააგენტოს დირექტორი / საბჭოს წევრი;
- **ხათუნა ჩხარტიშვილი -** სს „გუდვილის“ HR დეპარტამენტისა და სასწავლო ცენტრის ხელმძღვანელი / საბჭოს წევრი;
- **გიორგი ვეკუა** - სსკ - საქართველოს სავაჭრო-სამრეწველო პალატის ბიზნესისა და რეგიონული განვითარების დეპარტამენტის დირექტორი / საბჭოს წევრი;
- **ნატალია კვაჭანტირაძე** - საქართველოს ტურიზმის ასოციაციის თავმჯდომარე / საბჭოს წევრი;
- **ტიტე ბოლქვაძე -** პროფესუილი განათლების ექსპერტი / საბჭოს წევრი;
- **დავით ჯინჭარაძე -** სსიპ - საზღვაო ტრანსპორტის სააგენტოს მეზღვაურთა დეპარტამენტის უფროსი / საბჭოს წევრი;
- **ვალერი გულბანი -** ა(ა)იპ - ის - კვლევა და ინოვაცია ბიზნესის განვითარებისთვის დირექტორი / საბჭოს წევრი;

სსიპ- განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის(შემდგომში- ცენტრი) წარმომადგენლები:

ნანი დალაქიშვილი- პროფესიული განათლების ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსი;
ნია გუგუნავა- პროფესიული განათლების ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის კოორდინატორი;
მაია აბდალაძე- პროფესიული განათლების ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსი სპეციალისტი;
მაყვალა დარსანია - პროფესიული განათლების ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსი სპეციალისტი;
ნათია მჭედლიძე - პროფესიული განათლების ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსი სპეციალისტი;
ნინო ხელაძე-პროფესიული განათლების ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსი სპეციალისტი;

თამარ კვინიკაძე - საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს პროფესიული განათლების განვითარების დეპარტამენტის უფროსი.

საგანმანათლებლო დაწესებულების ავტორიზაციის ექსპერტები:

- ქეთევან ჯანელიძე
- მაია ომიაძე
- ნანა შათირიშვილი
- თამარი ზარანდია
- ირმა ანთია
- ნათია იორდანიშვილი
- ავქსენტი პაპავა
- მანანა მოისწრაფიშვილი
- ვერიკო ჭიღლაძე
- ქეთევან გელაშვილი
- სოფიო გოხელაშვილი
- მზია ბერუაშვილი
- ალექსანდრე ჩალათაშვილი
- გენადი კვერენჩხილაძე
- ირმა არსენაშვილი
- ეკატერინე ნანობაშვილი
- დავით გუდაძე
- ქეთევან ღვანიძე
- ლევან მადათოვი
- თათია გივიშვილი
- ნიკა ჯიაძე
- მანანა მახარაშვილი
- თამარ ახალაძე

საგანმანათლებლო დაწესებულებების წარმომადგენლები:

სსიპ - ილია წინამძღვრიშვილის სახელობის კოლეჯი

დირექტორი - თეიმურაზ ასათიანი
ხარისხის მართვის სპეციალისტი - ნინო რამიშვილი

შპს ცხუმ-ეგრისი
დირექტორი- გელა მამფორია
ხარისხის მართვის მენეჯერი- ნონა თაკალანძე

სსიპ კოლეჯი "აისი"
დირექტორი - მალხაზი ასლამაზაშვილი
დირექტორის მოადგილე - დავითი პაპაშვილი
კოლეჯის იურისტი - გვანცა პაკატილოვი

საბჭოს სხდომის დაწყების დრო - 14:05 საათი.

ქალბატონი შორენა ჯაფარიძე მიესალმა საბჭოს წევრებს, ექსპერტებს, ცენტრისა და დაწესებულებების წარმომადგენლებს. მან განცხადება გააკეთა იმასთან დაკავშირებით, რომ სხდომის ოქმის პროექტის მომზადების მიზნით, მოხდებოდა სხდომის აუდიო ჩაწერა და აუდიოჩანაწერი განადგურდებოდა ოქმის პროექტის მომზადებისთანავე. დამსწრეთა სრული შემადგენლობა დაეთანხმა აღნიშნულს. რამდენადაც ფოტო და ვიდეოგადაღება ნებართვის გარეშე აკრძალულია, ცენტრის წარმომადგენელმა ითხოვა ფოტოგადაღების ნებართვა ცენტრის ვებგვერდსა და სოციალურ ქსელში გამოსაქვეყნებლად, რაზეც მიიღო დამსწრეთა თანხმობა.

საბჭოს თავმჯდომარემ საბჭოს წევრებს მიუთითა „საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის დებულების“ 45-ე მუხლის მე-7 პუნქტის მოთხოვნაზე, რომლის თანახმად, საბჭოს წევრი უფლებამოსილი არ არის, თავი შეიკავოს ხმის მიცემისაგან.

ვინაიდან საბჭოს მდივანი მარიამ ქუჩულორია არ ესწრებოდა სხდომას, საბჭოს მდივნად განისაზღვრა ხათუნა ჩხარტიშვილი.

დღის წესრიგი:

1. სსიპ - ილია წინამძღვრიშვილის სახელობის კოლეჯის საგანმანათლებლო პროგრამაში „სასტუმროს მომსახურება“ განხორციელებული მონიტორინგის შესახებ საკითხზე გადაწყვეტილების მიღება (საკითხი განხილულ იქნა 8 ივნისის სხდომაზე);
2. სსიპ - ილია წინამძღვრიშვილის სახელობის კოლეჯის საგანმანათლებლო პროგრამებში - „მეხილეობა“, „მეფუტკრეობა“, „სატყეო საქმე“, „რძის პროდუქტების წარმოება“ განხორციელებული მონიტორინგის შესახებ საკითხის განხილვა (საკითხი გადმოტანილია 8 ივნისის სხდომიდან);
3. სსიპ - ილია წინამძღვრიშვილის სახელობის კოლეჯის საგანმანათლებლო პროგრამებში - "მებაღეობა", "მევენახეობა და მეღვინეობა", " ხილისა და ბოსტნეულის გადამუშავება", "ვეტერინარია", "კულინარიის ხელოვნება", "რძის პროდუქტების წარმოება", "აღმზრდელი", "ელექტროობა", "სასმელების წარმოება", "მეხილეობა" განხორციელებული მონიტორინგის შესახებ საკითხის განხილვა (საკითხი გადმოტანილია 8 ივნისის სხდომიდან);
4. შპს ცხუმ-ეგრისისთვის „საოფისე საქმის“ პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამის გაუქმების შესახებ საკითხის განხილვა;
5. შპს ცხუმ-ეგრისისთვის „საექთნო საქმის" პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამაზე პროფესიულ სტუდენტთა ადგილების რაოდენობის გაზრდის შესახებ საკითხის განხილვა;

6. შპს ცხუმ-ეგრისისთვის „აღმზრდელის" პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამაზე პროფესიულ სტუდენტთა ადგილების რაოდენობის გაზრდის შესახებ საკითხის განხილვა;
7. სსიპ კოლეჯი „აისის“ საგანმანათლებლო პროგრამის „მეფუტკრეობის“ მონიტორინგის შესახებ საკითხის განხილვა;

საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა საბჭოს წევრებს, ცენტრის წარმომადგენლებსა და დაინტერესებულ მხარეებს, ჰქონდათ თუ არა რამე შუამდგომლობა დღის წესრიგთან დაკავშირებით. სხდომის მონაწილეებს დღის წესრიგთან დაკავშირებით შუამდგომლობა არ ჰქონდათ.

შუამდგომლობა საბჭოს სხდომაზე წარადგინა პროფესიული განათლების ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსმა ნანი დალაქიშვილმა. მისი განცხადებით, დღის წესრიგიდან ამოღებულ უნდა იქნას შპს ცხუმ-ეგრისის პროფესიული პროგრამის „საოფისე საქმე“ გაუქმების შესახებ საკითხი, ვინაიდან დღის წესრიგის მიხედვით, განსაზღვრულ ორ პროგრამაში შეიცვლება პროგრამების პარამეტრები, ამდენად, სამსახურს მიზანშეწონილად მიაჩნია „საოფისე საქმის“ გაუქმების საკითხზე მომდევნო სხდომაზე იქნას მიღებული გადაწყვეტილება, ამავე დროს, მოხდეს კოლეჯის გადაწყვეტილებების კონსოლიდაცია.

განახლებული დღის წესრიგი:

1. სსიპ - ილია წინამძღვრიშვილის სახელობის კოლეჯის საგანმანათლებლო პროგრამაში „სასტუმროს მომსახურება“ განხორციელებული მონიტორინგის შესახებ საკითხზე გადაწყვეტილების მიღება (საკითხი განხილულ იქნა 8 ივნისის სხდომაზე);
2. სსიპ - ილია წინამძღვრიშვილის სახელობის კოლეჯის საგანმანათლებლო პროგრამებში - „მეხილეობა“, „მეფუტკრეობა“, „სატყეო საქმე“, „რძის პროდუქტების წარმოება“ განხორციელებული მონიტორინგის შესახებ საკითხის განხილვა (საკითხი გადმოტანილია 8 ივნისის სხდომიდან);
3. სსიპ - ილია წინამძღვრიშვილის სახელობის კოლეჯის საგანმანათლებლო პროგრამებში - "მებაღეობა", "მევენახეობა და მეღვინეობა", " ხილისა და ბოსტნეულისგადამუშავება", "ვეტერინარია", "კულინარიის ხელოვნება", "რძის პროდუქტების წარმოება", "აღმზრდელი", "ელექტროობა", "სასმელების წარმოება", "მეხილეობა" განხორციელებული მონიტორინგის შესახებ საკითხის განხილვა (საკითხი გადმოტანილია 8 ივნისის სხდომიდან);
4. შპს ცხუმ-ეგრისისთვის „საექთნო საქმის" პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამაზე პროფესიულ სტუდენტთა ადგილების რაოდენობის გაზრდის შესახებ საკითხის განხილვა;
5. შპს ცხუმ-ეგრისისთვის „აღმზრდელის" პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამაზე პროფესიულ სტუდენტთა ადგილების რაოდენობის გაზრდის შესახებ საკითხის განხილვა;
6. სსიპ კოლეჯი „აისის“ საგანმანათლებლო პროგრამის „მეფუტკრეობის“ მონიტორინგის შესახებ საკითხის განხილვა;

პირველი საკითხი: სსიპ- ილია წინამძღვრიშვილის სახელობის კოლეჯის საგანმანათლებლო პროგრამაში „სასტუმროს მომსახურება“ განხორციელებული მონიტორინგის შესახებ საკითხზე გადაწყვეტილების მიღება (საკითხი გადმოტანილი იქნა 8 ივნისის სხდომაზე).

საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა დაწესებულების წარმომადგენლებს, ხომ არ ჰქონდათ საბჭოს წევრების მიმართ აცილება.

საგანმანათლებლო დაწესებულების მიერ საბჭოს წევრ(ებ)ის აცილება

- **არა**

საბჭოს თავმჯდომარემ საბჭოს წევრებს მიმართა, ხომ არ ჰქონდათ განსახილველ საკითხთან მიმართებით თვითაცილება და/ან აცილება.
ავტორიზაციის საბჭოს წევრ(ებ)ის თვითაცილება

- **დიახ**

კენჭისყრაში მონაწილეობას არ იღებს ნატალია კვაჭანტირაძე, რადგან წამოადგენს დაინტერესებულ მხარეს და აქვს თვითაცილება.

საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა საბჭოს წევრებს, დაედასტურებინათ, რომ იცნობდნენ ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნასა და დასკვნის პროექტზე დაწესებულების მიერ წარმოდგენილ არგუმენტირებულ პოზიციებს. საბჭოს წევრებმა დაადასტურეს, რომ იცნობდნენ საქმის მასალებს. საბჭოს თავმჯდომარემ ჰკითხა დაინტერესებული მხარის წარმომადგენლებს, იცნობდნენ თუ არა ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას. წარმომადგენლებმა დაადასტურეს, რომ იცნობდნენ დასკვნას. შესაბამისად, საბჭოს თავმჯდომარემ სთხოვა სხდომის მდივანს, რომ ექსპერტთა ჯგუფის დასკვნა დაერთო ოქმისთვის, როგორც მისი განუყოფელი ნაწილი.

საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა სხდომაზე მყოფ პირებს და საბჭოს წევრებს შეახსენა, თუ რაზე შეჩერდა მსჯელობა წინა სხდომის დროს და აღნიშნა, რომ სსიპ - ილია წინამძღვრიშვილის სახელობის კოლეჯის საგანმანათლებლო პროგრამაში „სასტუმროს მომსახურება“ განხორციელებული მონიტორინგის შედეგად დაფიქსირდა ხარვეზი 2.1 კომპონენტთან მიმართებაში. მისი თქმით, დარღვეული იყო პროფესიულ სტუდენტთა ჩარიცხვის წინაპირობა (ინდიკატორი 2.1.1.2.), რაც გულისხმობდა იმას, რომ საგანმანათლებლო პროგრამაზე დაშვებული იყო პირები, რომელთა წინარე ცოდნა-უნარები, გამოცდილება ვერ უზრუნველყოფდა ვადაში პროგრამით განხორციელებული სწავლების შედეგების მიღწევას. იგივე სტანდარტში დაფიქსირებული იყო, რომ ინდიკატორი 2.1.1.3 არ იყო დაკმაყოფილებული, რადგან დარღვეული იყო ზღვრული ოდენობის მეთოდოლოგიის შესრულების პროცესი, ზღვრული ოდენობა იყო 10 და დაწესებულებას ჩარიცხული ჰყავდა 13 პროფესიული სტუდენტი, გარდა ამისა, კომპანიების ჩართულობის საკითხის განხილვის დროს გამოირკვა, რომ დუალური მიდგომით განხორციელებულ პროგრამაში ორი კომპანია იყო ჩართული და საუბარი იყო იმაზე, თუ რამდენად მიიღწეოდა აღნიშნულ კომპანიებთან თანამშრომლობით სწავლის შედეგები. სტეფანწმინდაში იყო კიდევ ერთი სასტუმრო „რუმსი“, რომელიც არ იყო ჩართული კოლეჯთან სწავლის შედეგების მიღწევის პროცესში, ამასთან დაკავშირებით იყო ძალიან ბევრი შეკითხვა როგორც ექსპერტებთან, ასევე, დაწესებულების წარმომადგენელთან, თუ რატომ ვერ მოხერხდა „რუმსთან“ ხელშეკრულების გაფორმება და თანამშრომლობა. საბჭოს თავმჯდომარემ აღნიშნა, რომ წინა სხდომაზე დარგის ექსპერტმა ბოლომდე ვერ ჩამოაყალიბა მოსაზრება იმასთან დაკავშირებით, შესაძლებელი იყო თუ არა სწავლის შედეგების მიღწევა იმ ორი კომპანიის ჩართულობით, რომელთანაც დაწესებულებას ჰქონდა ხელშეკრულება დადებული. ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნაში ზემოაღნიშნული შეფასება განმავითარებელ რეკომენდაციაში იყო გამოტანილი - სასურველი იყო დამატებოდა კოლეჯს კიდევ ერთი ობიექტი, სასწავლო საწარმო, მაგრამ როდესაც აღნიშნულთან დაკავშირებით საბჭომ დასვა შეკითხვები, დარგის ექსპერტის მიერ იქნა გაცხადებული, რომ ამ ორ ობიექტს ვერ გაჰყავდა სტუდენტები იმ სწავლის შედეგებზე, რომელიც იყო პროგრამაში გაწერილი. საბჭოს თავმჯდომარემ შეახსენა დამსწრე პირებს, რომ

როდესაც პროგრამა გადის ავტორიზაციას, გადაწყვეტილება სწორედ ამას ეფუძნება, რამდენად უზრუნველყოფილია, რომ პროგრამის სწავლის შედეგები იყოს მიღწეული. საბჭოს თავმჯდომარემ კიდევ ერთხელ მიმართა დარგის ექსპერტს კითხვით, რომ საბოლოოდ განემარტა, აღნიშნული ორი ობიექტი, რომელიც შემოწმებულ იქნა მათ მიერ, იყო თუ არა საკმარისი იმისათვის, რომ პროგრამით გათვალისწინებული სწავლის შედეგები იყოს მიღწეული. თუ საბჭო მიიღებდა უარყოფით გადაწყვეტილებას სტუდენტების ბედ-იღბალი ძალიან მნიშვნელოვანი იყო, იმასთან დაკავშირებით შეძლებდნენ თუ არა პროგრამაზე სწავლის გაგრძელებას. ასევე მნიშვნელოვანი იყო გაგვეგო, თუ როგორ იყო სასწავლო პროცესი ორგანიზებული, რამდენად კმაყოფილები იყვნენ სტუდენტები.

დარგის ექსპერტის განცხადებით, აღნიშნული სწავლის შედეგების მიღწევა ბევრი ფორმატით იყო შესაძლებელი, უბრალოდ არსებობდა სხვადასხვა კლასის სასტუმროები, საოჯახო სასტუმროდან დაწყებული მაღალი კლასის სასტუმროთი დასრულებული და თუ ჩვენ იმას ვიტყოდით, რომ გვინდა სტუდენტებმა მაღალი სტანდარტების შედეგებს მიაღწიონ, მაშინ სწავლის შედეგი ვერ მიიღწეოდა. საოჯახო სასტუმროში ვერ მიიღწეოდა ის შედეგები, რასაც სერვისის მაღალი სტანდარტები ითხოვს. სამწუხაროდ, ხარვეზი არ იქნა დაფიქსირებული იმიტომ, რომ წინა ვიზიტის ფარგლებში გაცემული იყო რეკომენდაცია, რომელიც კოლეჯს უნდა გაეთვალისწინებინა და სამწუხაროდ, კოლეჯმა ნაწილობრივ შეასრულა, კერძოდ, დაამატა კიდევ ერთი სასწავლო საწარმო - საოჯახო სასტუმრო, თუმცა „რუმსთან“, რომელიც მაღალი კლასის სასტუმროს და პოტენციურ დამსაქმებელს წარმოადგენს, თანამშრომლობა ვერ შედგა.

საბჭოს თავმჯდომარის კითხვაზე. არსებული პრაქტიკის ობიექტების შემთხვევაში მიაღწევენ თუ არა პროფესიული სტუდენტები პროგრამით გათვალისწინებულ სწავლის შედეგებს, ექსპერტმა დადებითი პასუხი დააფიქსირა. არსებული ვითარების გათვალისწინებით, დარგის ექსპერტი ფიქრობს, რომ შესაძლებელი იყო სწავლის შედეგების მიღწევა იმ სტუდენტებისთვის, ვინც ახლა გადიოდა პროგრამას. მართალია ეს იყო შედარებით დაბალი კლასის სასტუმრო, მაგრამ პროგრამით გათვალისწინებული სწავლის შედგები მიიღწეოდა, თუმცა დარგობრივ ჭრილში, რომ განვიხილოთ კლასიფიკაციების მიხედვით და სტანდარტების მიხედვით, დონეები განსხვავდებოდა. მაგალითად, მარაგების კონტროლი, ფინანსების კლასიფიკაცია, დასუფთავება ეს შეიძლება სხვადასხვა საშუალებებით და მექანიზმებით ისწავლონ სტუდენტებმა.

საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა დაწესებულების წარმომადგენელს, დაეფიქსირებინა საკუთარი პოზიცია განხილულ საკითხთან დაკავშირებით.

დაწესებულების წარმომადგენლის განცხადებით, კოლეჯმა დაამატა მაღალი კლასის სასტუმრო, რადგან ეს იყო მთავარი პრობლემა, ხელშეკრულება გაფორმდა შპს „ალ აინ ლაუნჯი“, რომელიც იყო 4 ვარსკვლავიანი სასტუმრო, პარალელურად კვლავ გრძელდებოდა მოლაპარაკება „რუმსთან“. რაც შეეხება კოლეჯში კურსდამთავრებულთა დასაქმებას, წინა გამოშვების 10 კურსდამთავრებულიდან 3 იყო დასაქმებული მაღალი კლასის სასტუმროში, მათ შორის „რუმსში“. მისი თქმით, აღსანიშნავი იყო ის ფაქტი, რომ კურსდამთავრებულები სწორედ რომ რეგიონში, სტეფანწმინდაში იყვნენ დასაქმებულნი.

პროფესიული განათლების ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსის, ნანი დალაქიშვილის განცხადებით, დაწესებულების წარმომადგენლის, დირექტორის სახელით შემოვიდა წერილი, რომელიც ჩამატებულ იქნა საბჭოს მასალებში თავის თანდართულ დოკუმენტებთან. კოლეჯმა დაამატა ახალი ობიექტი შპს „ალ-აინ ლაუნჯი“, თუმცა ის ხელშეკრულებები, რაც იყო გამოგზავნილი წერილზე თანდართულად, არ ასახავდა დუალური

მიდგომით სწავლების შედეგების მიღწევის სრულყოფილ სურათს. არ ჰქონდა დანართებად არც სასწავლო გეგმა და არც სწავლის შედეგების გაწერა.

საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა საბჭოს წევრებს, ჰქონდათ თუ არა კითხვები განხილულ საკითხებთან დაკავშირებით. საბჭოს წევრებს განხილულ საკითხთან მიმართებით კითხვები არ ჰქონდათ.

საბჭომ გამოიყენა სათათბირო დრო.

საბჭოს თავმჯდომარის განცხადებით, ყურადღებით იქნა მოსმენილი ექსპერტთა გამოსვლები, მათი პოზიცია და გათვალისწინებული იქნა დაინტერესებული მხარეების პოზიციაც. საბჭოს წევრების მოსაზრებების ურთიერთშეჯერების და შეფასების საფუძველზე საბჭოზე დაყენებულ იქნა საკითხი, თუ ვინაა თანახმა, შეწყდეს ადმინისტრაციული წარმოება სსიპ ილია წინამძღვრიშვილის სახელობის კოლეჯის „სასტუმრო მომსახურების“ საგანმანათლებლო პროგრამის მონიტორინგის თაობაზე, და დაწესებულებას ჩამოერთვას „სასტუმრო მომსახურების“ პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების უფლება, ხოლო პროფესიულ სტუდენტებს მიეცეს უფლება მილევად რეჟიმში დაასრულონ სწავლა, მხედველობაში იყო ის პროფესიული სტუდენტები, რომლებიც ამჟამად იყვნენ ჩარიცხულები. თავმჯდომარემ საბჭოს წევრებს სთხოვა დაეფიქსირებინათ ხმები და დაესაბუთებინათ მათ მიერ მიღებული გადაწყვეტილება.

ნინო ველთაური: „ძალიან რთული საქმე იყო იმ ყველაფრის გათვალისწინებით, რომ ვსაუბრობთ ერთ-ერთ ძალიან მოთხოვნად პროფესიაზე, ძალიან სენსიტიურ რეგიონში, სადაც ტურიზმს აქვს ძალიან დიდი პოტენციალი და სამწუხაროა, რომ ასეთ რეგიონში აი ამ ტიპის გადაწყვეტილების მიღება გვიწევს და მე მივმართავდი კოლეჯის ხელმძღვანელობას, რომ ყველა შესაძლო რესურსი, რაც კი არსებობს და აქ ვსაუბრობთ ისეთ რესურსებზე, როგორიც არის პარტნიორი უწყებები, თვითმმართველობა, უნარების სააგენტო, ტურიზმის ასოციაცია, დასაქმების ხელშეწყობის სააგენტო, ძალიან მრავალი ინსტიტუტი არის კოლეჯის გვერდით იმისთვის, რომ გადაილახოს ესა თუ ის ბარიერი, თუ რამე ბარიერი კოლეჯს აქვს პროგრამის წარმატებულად განხორციელების გზაზე და ჩემი ღრმა პატივისცემის მიუხედავად, მექნებოდა ასეთი რეკომენდაცია, რომ უფრო მეტად იყოთ ბაზარზე ორიენტირებულები, უფრო მეტად მარკეტინგული თვალით შეხედოთ ამ პროგრამას, კოლეჯის საქმიანობას და სტუდენტების ინტერესები ძალიან მნიშნველოვანია აქ, რომ კურსდამთავრებული კურსს რომ ამთავრებს, მას უნდა ჰქონდეს დიდი პოტენციალი პროფესიით დასაქმებისა. ამ კოლეჯში, ამ კურსებზე იხარჯება სახელმწიფო ფინანსები, რაც თავისთავად გამართლებული უნდა იყოს, გრძელვადიან კურსებთან ერთად, უფრო მეტსაც გეტყოდით, მოკლევადიანი კურსები დაამატეთ სასტუმრო ინდუსტრიასთან მიმართულებით და დასაქმების ხელშეწყობის სააგენტო ისედაც თანამშრომლობს კოლეჯთან და კიდევ უფრო გავაფართოებთ ამ თანამშრომლობას, მაგრამ რაც ძალიან მნიშვნელოვანია, არის სწორი მარკეტინგი, ბაზარზე ორიენტირებულობა და დამსაქმებლის საჭიროებები, მათი მოთხოვნები, ინტერესები ჩვენ თუ არ გავითვალისწინეთ, ისე პროგრამა ვერ იქნება წარმატებული“.

ხათუნა ჩხარტიშვილი: „დიახ, ვეთანხმები გადაწყვეტილებას და ამავდროულად რეკომენდაციის სახით, რჩევის სახით , დიდი პატივისცემის მიუხედავად, მეტი კომუნიკაცია დამსაქმებლებთან და საჭიროებებზე მორგებული სასწავლო პროცესებიც შემიძლია ვურჩიო კოლეჯს“.

რუსუდან გიგაშვილი: „მეც ვეთანხმები ამ გადაწყვეტილებას, მართლაც რთული გადაწყვეტილება იყო, თუმცა, ასევე, მინდა მენეჯმენტს მივმართო თხოვნით და

რეკომენდაციით, რომ იმის გათვალისწინებით, რომ კერძო სექტორი განსაკუთრებით ტურიზმში სწრაფად ვითარდება ამ მიმართულებაში, აუღონ ამას ძალიან კარგად ალღო, რადგან სტუდენტები წელგამართულები და ამაყად მივიდნენ დამსაქმებლებთან, ძალიან მნიშვნელოვანია, რომ იმუშაონ ნდობის ფაქტორზე და უფრო მეტი ხარისხთან მიმართებაში და ამიტომ, იმედია, ეს რეკომენდაციები იქნება გათვალისწინებული, რაც შეეხება საოჯახო სასტუმროსთან მიმართებაში, ამისთვის არსებობს მოკლევადიანი პროგრამები, კარგი იქნება თუ ჩაშლილადაც წარმოადგენენ, მართლაც უამრავი მხარდამჭერი მექანიზმი აქვს სახელმწიფოს იმისთვის, რომ ეს ყველაფერი იყოს გამოყენებული და მოვუწოდებ, რომ ეს რესურსები გამოიყენონ“.

დავით ჯინჭარაძე: „დიახ, მეც თანხმა ვარ აღნიშნულ გადაწყვეტილებასთან დაკავშირებით, როგორც ჩვენმა კოლეგებმა, ავტორიზაციის საბჭოს წევრებმა გასცეს უამრავი კარგი რეკომენდაცია და ერთ ერთი მნიშვნელოვანი რეკომენდაცია არის მომხმარებელთან ურთიერთობა, ამიტომ აღნიშულ გადაწყვეტილებას მეც ვეთანხმები“.

გიორგი ვეკუა: „უპირველეს ყოვლისა ვეთანხმები გადაწყვეტილებას, საკმაოდ რთული გადაწყვეტილება იყო. ამ შემთხვევაში ვფიქრობ სწორი გადაწყვეტილება არის, გავითვალისწინეთ რა თქმა უნდა რეგიონი, სექტორი და ის საჭიროება, რომელიც არის ბაზარზე. დანარჩენი, თხოვნა იქნება, რომ ეს არ იყოს იმედგაცრუება, უფრო შესაძლებლობა, რომ უფრო უკეთესი კურსი ჩამოყალიბდეს და როგორც აღნიშნა დარგის ექსპერტმა, არის ძალიან ბევრი ორგანიზაცია, რომლებიც გვერდში დაგიდგებიან, რომ ეს გავაუმჯობესოთ“.

ტიტე ბოლქვაძე: „მეც ვეთანხმები კოლეგების გადაწყვეტილებას, ამ შემთხვევაში მთავარია, რომ სტუდენტებს, მათ ვინც მიმდინარედ სწავლობენ, მიეცეთ საშუალება, ბოლომდე სწავლა - განათლება მიიღონ. დანარჩენი 100 პროცენტით ვეთანხმები საბჭოს გადაწყვეტილებას“.

ვალერი გულბანი: „ყოველთვის რთული არის ასეთი გადაწყვეტილების მიღება და ჩვენც ამიტომ დაგვჭირდა ამდენი დრო , სამწუხაროდ წინა შეხვედრას ვერ ვესწრებოდი, მაგრამ ამ შეხვედრიდან გამომდინარე და კოლეგების მოსაზრების მოსმენის შემდეგ , გამიჩნდა საკმარისი მიზეზები იმისა, რომ დავეთანხმო ამ გადაწყვეტილებას და მინდა ვთქვა, რომ დრო არის უკვე, რომ დაგვიანებული თუ არაა კოლეჯისთვის, აუწყეთ ფეხი თანამედროვე ბაზრის მოთხოვნებს. აქ საუბარი არის როგორც მენეჯმენტზე, ასევე უფრო მეტ ბაზარზე პოზიციონირებაზე, კერძო სექტორი გვინდა - არ გვინდა გვისწრებს ყოველთვის, კარგად ესმით, თუ რა ტიპის კვალიფიკაციებზე არის მოთხოვნა, რა ტიპის პროფესიონალები სჭირდებათ, ამიტომ, მათთან პარტნიორობა საწინდარი უნდა იყოს კოლეჯებისათვის შემდეგ განვითარების ეტაპზე გადავიდნენ, ამიტომ, მიუხედავად ასეთი უარყოფითი გადაწყვეტილებისა, მინდა ვუსურვო, შესაძლებლობა ეძებოს კოლეჯმა თავიანთი სერვისების დახვეწაში".

შორენა ჯაფარიძე: „თანახმა ვარ და მინდა დავასაბუთო, რით იყო გამოწვეული გადაწყვეტილების მიღება, ჩამოერთვას კოლეჯს "სასტუმრო მომსახურების" პროგრამის განხორციელების უფლება, დავეთანხმეთ ექსპერტების მოსაზრებას დაფიქსირებულ ხარვეზებთან დაკავშირებით 2.1 კომპონენტში, ვინაიდან ეს დამდგარი შედეგი იყო და გარდა ამისა, 2.1 კომპონენტში ნებისმიერი ხარვეზი იქნება თუ მეტწილი შესაბამისობა თუ ნაწილობრივი შესაბამისობა, იწვევს პროგრამის გაუქმებას. რაც შეეხება ჩვენი გადაწყვეტილების მეორე ნაწილს, რომელმაც ამდენი დრო წაიღო, გარკვევა იმისა, რამდენად შესაძლებელია ამ პროგრამის ფარგლებში და იმ სასწავლო საწარმოს რესურსის გამოყენებით, რომ სტუდენტებს მილევად რეჟიმში გაეგრძელებინათ სწავლა, ნამდვილად ჩვენი კოლეგის მოსაზრება ჩვენთვის იყო ძალიან მნიშვნელოვანი და ეს მოსაზრება ეხებოდა საკვალიფიკაციო გამოცდის ჩატარების პრაქტიკას, ვინაიდან საკვალიფიკაციო გამოცდა არის ერთ - ერთი

უმნიშვნელოვანესი მაჩვენებელი პროგრამის ხარისხისა. გარდა ამისა, ჩვენი მსჯელობის შედეგად გამოიკვეთა გარკვეული პრობლემები კოლეჯის მენეჯმენტთან მიმართებაში. გამომდინარე იქედან, რომ ბევრი მაღალი კლასის სასტუმროა ასეთ უმნიშვნელოვანეს რეგიონში, როგორიც არის სტეფანწმინდა, სამწუხაროდ კოლეჯმა გარკვეული მიზეზების გამო ვერ მოახერხა, (შესაძლებელია ეს ობიექტური მიზეზები იყოს, მაგრამ ჩვენთვის მნიშვნელოვანია დამდგარი შედეგი) მათთან კომუნიკაციის და ნდობის მოპოვება.გამომდინარე აქედან, ალბათ ამ პროგრამამ, მიუხედავად იმისა, რომ სტუდენტები გავლენ სწავლის შედეგებზე, შესაძლებელია ვერ დააკმაყოფილოს ის მოთხოვნები, რომელიც ასეთი მაღალი კლასის სასტუმროებს აქვთ. კიდევ ერთხელ ვიმეორებ, ჩვენთვის მნიშნველოვანი იყო დავრწმუნებილიყავით, რომ სტუდენტები მილევად რეჟიმში დარჩენილები, მიაღწევენ სწავლის შედეგებს, რომელიც დადგენილია პროგრამის ფარგლებში. ამდენად, მიზანშეწონილად მიგვაჩნია, პროგრამა, მხოლოდ ჩარიცხული პროფესიული სტუდენტებისთვის, გადავიდეს მილევად რეჟიმში, გარდა ამისა, კოლეჯისთვის, ვფიქრობ ნდობის მოპოვების ერთ-ერთი კარგი ფაქტორი იქნება, რომ კოლეჯმა განახორციელოს მომზადება - გადამზადების პროგრამები და ეს პროგრამები ორიენტირებული იყოს სწორედ იმ სასტუმროს მოთხოვნებზე, რომელიც არის ამ რეგიონში. ვფიქრობთ, რომ ეს პროგრამა აუცილებლად უნდა არსებობდეს ამ რეგიონში და კოლეჯი ყველანაირ ზომას გამოიყენებს იმისათვის, რომ კარგად წარდგეს და ღირსეული და კარგი პროგრამა გააკეთოს“.

თამარ კვინიკაძე: „ძალიან სამწუხარო ფაქტი დაგვიდგა და ეს არ არის პირველი შემთხვევა, როდესაც ავტორიზაციის საბჭო აუქმებს პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამას, მითუმეტეს როდესაც პროგრამაზე აქტიური სტუდენტები არიან და მათ უნდა დაამთავრონ სასწავლო პროცესი, გავიდნენ შესაბამის კვალიფიკაციაზე. ალბათ, აქ ცოტა ჰოლისტურად უნდა შეხედოს სამინისტრომ და მე პირადად ჩავერთვები ამ პროცესში, მექნება პირადი კომუნიკაცია უნარების სააგენტოსთან, რა თქმა უნდა კოლეჯთან, დასაქმების სააგენტოსთან, უფრო სიღრმისეულად შევისწავლი ამ შედეგებს და ალბათ სხვანაირი მხარდაჭერა სჭირდება კოლეჯს იმიტომ, რომ კიდევ ერთხელ ვაფიქსირებ, ეს არის უკვე მეორე პროგრამა, რომელიც გაუქმდა ამ დაწესებულებაში და ეს არის ძალიან სენსიტიური და მტკივნეული თემა სამინისტროსთვის, მითუმეტეს, რომ სამინისტრო/ სახელმწიფო სრულად აფინანსებს ამ პროგრამებს, აბსოლუტური მხარდაჭერა აქვს დაწესებულებებს, მითუმეტეს სახელმწიფო დაწესებულებების ინფრასტრუქტურის და აღჭურვილობის ნაწილში, ასევე, ინსტიტუციური მოწყობის ნაწილში. ნებისმიერ დროს, როდესაც ვხედავთ რომ განვითარებისთვის მათ სჭირდებათ დამატებითი რესურსი, სამინისტრო ყოველთვის მზადყოფნაშია ამ მიმართულებით“.

კენჭისყრის შედეგი:
მომხრე: 8
წინააღმდეგი: 0

გადაწყვეტილება: პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნის, პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს სხდომაზე დაინტერესებული მხარის მიერ დაფიქსირებული პოზიციის შესწავლის, შეფასებისა და ურთიერთშეჯერების საფუძველზე, შეწყდეს ადმინისტრაციული წარმოება სსიპ - ილია წინამძღვრიშვილის სახელობის კოლეჯში (ს/კ:236098851) საგანმანათლებლო პროგრამის „სასტუმრო მომსახურება“ ფარგლებში განხორციელებულ მონიტორინგთან დაკავშირებით. სსიპ - ილია წინამძღვრიშვილის სახელობის კოლეჯს

ჩამოერთვას „სასტუმრო მომსახურების“ პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების უფლება სტეფანწმინდაში. პროგრამა განხორციელდეს მილევად რეჟიმში, ჩარიცხული პროფესიული სტუდენტებისთვის.

მეორე საკითხი: სსიპ - ილია წინამძღვრიშვილის სახელობის კოლეჯის საგანმანათლებლო პროგრამებში- „მეხილეობა“, „მეფუტკრეობა“, „სატყეო საქმე“, „რძის პროდუქტების წარმოება“ განხორციელებული მონიტორინგის შესახებ საკითხის განხილვა (საკითხი გადმოტანილია 8 ივნისის სხდომიდან).

საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა დაწესებულების წარმომადგენლებს, ხომ არ ჰქონდათ საბჭოს წევრების მიმართ აცილება.

საგანმანათლებლო დაწესებულების მიერ საბჭოს წევრ(ებ)ის აცილება

- **არა**

საბჭოს თავმჯდომარემ საბჭოს წევრებს მიმართა, ხომ არ ჰქონდათ განსახილველ საკითხთან მიმართებით თვითაცილება და/ან აცილება.
ავტორიზაციის საბჭოს წევრ(ებ)ის თვითაცილება

- **არა**

საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა საბჭოს წევრებს, დაედასტურებინათ, რომ იცნობდნენ ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნასა და დასკვნის პროექტზე დაწესებულების მიერ წარმოდგენილ არგუმენტირებულ პოზიციებს. საბჭოს წევრებმა დაადასტურეს, რომ იცნობდნენ საქმის მასალებს. საბჭოს თავმჯდომარემ ჰკითხა დაინტერესებული მხარის წარმომადგენლებს, იცნობდნენ თუ არა ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას. წარმომადგენლებმა დაადასტურეს, რომ იცნობდნენ დასკვნას. შესაბამისად, საბჭოს თავმჯდომარემ სთხოვა სხდომის მდივანს, რომ ექსპერტთა ჯგუფის დასკვნა დაერთო ოქმისთვის, როგორც მისი განუყოფელი ნაწილი.

საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა ექსპერტებს, დაეფიქსირებინათ თავიანთი მოსაზრებები განსახილველ საკითხებთან დაკავშირებით.

ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარე ქეთევან ჯანელიძე მიესალმა დამსწრე პირებს და საუბარი დაიწყო ვიზიტის საერთო მიმოხილვით.

მისი განცხადებით, სსიპ - ილია წინამძღვრიშვილის სახელობის კოლეჯის (დაბა თიანეთი, რუსთაველის ქ. N21) მისამართზე, პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს შუამდგომლობით, ავტორიზაციის პირობების შესრულების შემოწმების მიზნით, სსიპ - განათლების ხარისხის განვითარების ეროვნულ ცენტრის დირექტორის 2023 წლის 10 აპრილის N400425 (ცვლილება ბრძანებაში N417154 13.04.2023) ბრძანების საფუძველზე შექმნილ ექსპერტთა ჯგუფს დაევალა 2023 წლის 21 აპრილს საგანმანათლებლო პროგრამების - „მეხილეობა“, „რძის პროდუქტების წარმოება" ავტორიზაციის დებულების 31-ე მუხლის, და მე-2 პუნქტის ბ) ქვეპუნქტის, საგანმანათლებლო პროგრამების - „მეფუტკრეობა“ და „სატყეო საქმე“ დებულების 31-ე მუხლის, მე-2 პუნქტის ბ) ქვეპუნქტის ბ.ბ) კომპონენტის, ასევე

დებულების 31-ე მუხლის, მე-2 პუნქტის დ) ქვეპუნქტის დ.ა) და დ.ბ) კომპონენტებისა და ე) ქვეპუნქტის ე.ა) კომპონენტის შესრულების შემოწმება სსიპ - ილია წინამძღვრიშვილის სახელობის კოლეჯში (დაბა თიანეთი, რუსთაველის ქ. N2, ვიზიტამდე ექსპერტთა ჯგუფი გაეცნო ზემოხსენებულ ბრძანებებს, დაწესებულების მიერ წარმოდგენილ დოკუმენტაციას, კოლეჯის ვებგვერდზე განთავსებულ ინფორმაციას, კოლეჯში განხორციელებული ბოლო ვიზიტის (2022 წლის ივნისი) დასკვნებსა და საოქმო გადაწყვეტილებებს, შედგა დისტანციურად ჯგუფის შეხვედრა(Zoom-ის მეშვეობით) სადაც შეჯერდა მოსამზადებელი სამუშაო და შედგა ვიზიტის დღის წესრიგი.

ექსპერტთა ვიზიტი ჩატარდა წინასწარ შეჯერებული დღის წერიგის შესაბამისად, რომლის ფარგლებში შედგა შეხვედრა დაწესებულების წარმომადგენლებთან: ჩატარდა გასაუბრება ხარისხის უზრუნველყოფაზე, დაწესებულების ადამიანური რესურსების, მატერიალური რესურსების მართვაზე პასუხისმგებელ პირებთან, სასწავლო პროცესის მენეჯერთან, სასწავლო-საწარმოო პრაქტიკის მენეჯერთან, საგანმანათლებლო პროგრამის ხელმძღვანელებთან და პროფესიული განათლების მასწავლებლებთან, პროფესიულ სტუდენტებთან. ექსპერტთა ჯგუფის მიერ დათვალიერებულ იქნა პროგრამებთან მიმართებაში დაწესებულების სასწავლო გარემო/ ინფრასტუქტურა, საგანმანათლებლო და მატერიალური რესურსები. ასევე, შემოწმდა კოლეჯის ბიბლიოთეკა და ჯგუფი გაესაუბრა პასუხისმგებელ პირს; განხორციელდა ვიზიტი პრაქტიკის ობიექტზე. კოლეჯის წარმომადგენლებმა გასაუბრების დროს ამომწურავად უპასუხეს დასმულ შეკითხვებს. ვიზიტი განხორციელდა მშვიდ და თანამშრომლობით გარემოში. ვიზიტის დასრულებისას მიგნებები შეჯერდა კოლეჯის დირექტორთან ონლაინ Zoom პლატფორმის გამოყენებით.

წინა ვიზიტის ფარგლებში გაცემული რეკომენდაციების შესრულების შეფასება და აღწერა
IV სტანდარტი
ინდიკატორი 4.1.1.1 „მეტწილადაა დაკმაყოფილებული, მოქმედი სტრუქტურული ერთეულების/პირების ფუნქციები რიგ შემთხვევებში საჭიროებს დაზუსტებას, კერძოდ: - საქმისმწარმოებლის პოზიციისათვის ერთ-ერთ საკვალიფიკაციო მოთხოვნად გაწერილია „უმაღლესი განათლება ან/და სერტიფიცირება“, სასურველია კოლეჯმა, დააკონკრეტოს რას გულისხმობს სერტიფიცირებაში, რადგან გრადაცია უმაღლეს განათლებასა და სერტიფიცირებას შორის საკმაოდ დიდია, მით უმეტეს, რომ კვალიფიკაციის ველში მოთხოვნილია ფილოლოგია, სამართალმცოდნეობა, ან/და ოფისის მენეჯერის, საოფისე საქმის სპეციალობა. ფილოლოგიის, სამართალმცოდნეობის უმაღლესი განათლების ფლობა არ გულისხმობს საქმისწარმოების საკითხების ცოდნას. შესაბამისად, რეკომენდებულია კოლეჯმა დააზუსტოს პერსონალის საკვალიფიკაციო მოთხოვნები; - რიგი პოზიციების შემთხვევაში, კოლეჯის მიერ დადგენილი საკვალიფიკაციო მოთხოვნები, შეიძლებოდა იმგვარად განსაზღვრულიყო, რომ კოლეჯს შეძლებოდა შესაბამისი კომპეტენციის კადრების აყვანა, მაგალითად: დამლაგებლის/მძღოლის საკვალიფიკაციო მოთხოვნად მითითებულია პროფესიული ან/და სრული ზოგადი განათლება, ხოლო კოლეჯის ერთ-ერთი მძღოლი ფლობს საბაზო (არასრული საშუალო) განათლებას, რის გამოც ის ვერ აკმაყოფილებს საკვალიფიკაციო მოთხოვნას; - ფუნქცია-მოვალეობების მიხედვით რიგ შემთხვევაში არასწორადაა გაწერილი ანგარიშგების კომპონენტიც, მაგალითად, მძღოლი ანგარიშგებას ახდენს დირექტორის წინაშე, მაშინ, როდესაც მძღოლის უშუალო ხელმძღვანელი სამეურნეო მართვის მენეჯერია. მძღოლის ერთ-ერთ ფუნქციად კომპეტენციის ფარგლებში შემოსული კორესპონდენციის განხილვა და შესაბამისი პასუხის მომზადებაა. კოლეჯის დირექტორის 2020 წლის 29 მაისის №04-78 ბრძანებით (ბოლო ცვლილება განხორციელებულია 2022 წლის 9 მარტს, ბრძანება №04- 55) დამტკიცებული „კოლეჯის შესაბამისობის უზრუნველყოფის გეგმის“ ერთ-ერთ აქტივობად

განსაზღვრულია თანამშრომელთა საკვალიფიკაციო მოთხოვნების, სამუშაო აღწერილობების და ფუნქცია მოვალეობების გადახედვა/დარეგულირება, აქტივობის შესრულების ვადად განსაზღვრულია 2022 წლის 30 ივნისი“ - რეკომენდაცია შესრულებულია.

ინდიკატორი 4.1.1.3 „მეტწილადაა დაკმაყოფილებული, მოქმედი ხარისხის უზრუნველყოფაზე პასუხისმგებელი სტრუქტურული ერთეულების/პირების ფუნქციებში ინტერესთა კონფლიქტის აღმოფხვრის მიზნით, დაწესებულებამ უნდა გადახედოს შიდა მარეგულირებელ აქტს - „პროფესიულ სტუდენტთა ზღვრული ოდენობის განსაზღვრის მეთოდოლოგიას“ და დოკუმენტის 3.9 მუხლის დებულებები მოიყვანოს ავტორიზაციის სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობაში. კერძოდ, კოლეჯის დირექტორის 2019 წლის 11 იანვრის N04-03 ბრძანებით დამტკიცებული ,,პროფესიულ სტუდენტთა ზღვრული რაოდენობის განსაზღვრის წესის 3.9 მუხლში მოცემულია შემდეგი ჩანაწერი - „თითოეულ პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამაზე სტუდენტთა ზღვრული რაოდენობას წერილობითი სახით ასაბუთებს კოლეჯის ხარისხის მართვის მენეჯერი და დაურთავს კოლეჯის დირექტორისთვის დასამტკიცებლად წარდგენილ პროგრამის პროექტს“, ვინაიდან ხარისხის უზრუნველყოფის მიზნით თავად პროცესი ექვემდებარება მონიტორინგს, პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამაზე სტუდენტთა ზღვრულ რაოდენობას წერილობითი სახით ასაბუთებს კოლეჯის ხარისხის მართვის მენეჯერი, წარმოადგენს ინტერესთა კონფილიქტს, შესაბამისად მოცემული დებულება წინააღმდეგობაშია 4.1.1.3 სტანდარტის მოთხოვნებთან. მოცემული აქტივობისათვის კოლეჯის დირექტორის 2020 წლის 29 მაისის №04-78 ბრძანებით (ბოლო ცვლილება განხორციელებულია 2022 წლის 9 მარტს, ბრძანება №04-55) დამტკიცებული „კოლეჯის შესაბამისობის უზრუნველყოფის გეგმის“ ერთერთ აქტივობად განსაზღვრულია კოლეჯის მარეგულირებელი დოკუმენტების გადახედვა/გაუმჯობესება/ახალის შექმნა, აქტივობის შესრულების ვადად განსაზღვრულია 2022 წლის 30 ივნისი“ - რეკომენდაცია შესრულებულია.

ინდიკატორი 4.1.2.2 „არ არის დაკმაყოფილებული, დაწესებულების პერსონალის შერჩევის პოლიტიკა და პროცედურები ვერ უზრუნველყოფს პოზიციის შესაბამისი კვალიფიკაციის კადრების მოზიდვასა და დასაქმებას ობიექტურობის და გამჭვირვალობის პრინციპის დაცვით, კერძოდ კოლეჯის პერსონალის ნაწილის კვალიფიკაცია არ შეესაბამება დაკავებულ თანამდებობას, ამასთან ექსპერტთა ვიზიტის პერიოდში დაწესებულებაში საკადრო ცვლილების ორი ფაქტი დაფიქსირდა (შრომის უსაფრთხოების სპეციციალისტისა და ინკლუზიური განათლების მართვის სპეციალისტის შემთხვევაში), ერთ შემთხვევაში დაწესებულებამ განახორციელა დასაქმებულის გადაყვანა ერთი პოზიციდან მეორეზე, ხოლო მეორე შემთხვევაში - აიყვანა ახალი კადრი. საკადრო ცვლილებების დასტურად წარმოდგენილია პერსონალის განცხადებები, თუმცა ცალსახაა, რომ პროცესი დაწესებულების მოთხოვნით განხორციელდა, ვინაიდან არც ერთი მათგანი არ აკმაყოფილებდა დაკავებული თანამდებობისათვის კოლეჯის მიერ დადგენილ მოთხოვნებს, ამასთან საყურადღებოა, რომ კოლეჯის მიერ ახლადაყვანილ ინკლუზიურიგანათლების მართვის სპეციალისტს უმაღლესი განათლება აქვს, თუმცა დაწესებულების შიდა მარეგულრიებელი აქტით განსაზღვრული სამუშაო გამოცდილება დოკუმენტით არ უდასტურდება.“ -რეკომენდაცია შესრულებულია.

ინდიკატორი 4.2.1.1 „მეტწილადაა დაკმაყოფილებული, კოლეჯს არ განუხორციელებია პერსონალის საქმიანობის შეფასება და პროფესიული განვითარების საჭიროებათა კვლევა.“- რეკომენდაცია შესრულებულია.

V სტანდარტი

ინდიკატორი 5.1.1.5 „მეტწილადაა დაკმაყოფილებული, დაწესებულებაში მოქმედებს კანონმდებლობით დადგენილი შრომის უსაფრთხოების უზრუნველყოფის მექანიზმები, თუმცა

დაწესებულებაში პერსონალის რაოდენობის გათვალისწინებით, კანონმდებლობის შესაბამისად, უნდა ჰყავდეს არანაკლებ 2 შრომის უსაფრთხოების სპეციალისტი, რისთვისაც კოლეჯის დირექტორის 2020 წლის 29 მაისის №04-78 ბრძანებით (ბოლო ცვლილება განხორციელებულია 2022 წლის 9 მარტს, ბრძანება №04- 55) დამტკიცებულია „კოლეჯის შესაბამისობის უზრუნველყოფის გეგმა“, რომლის ერთ-ერთ აქტივობად განსაზღვრულია მატერიალური, ფინანსური რესურსის გაუმჯობესება, უსაფრთხოების ნორმების დაცვის გაუმჯობესება, ხოლო ქვეატივობად მოცემულია შრომის უსაფრთხოების სპეციალისტის გადამზადება, აქტივობის შესრულების ვადად განსაზღვრულია 2022 წლის 30 აგვისტო“ - რეკომენდაცია შესრულებულია.

ინდიკატორი 5.1.2.3 „მეტწილადაა დაკმაყოფილებული, დაწესებულებაში მოქმედებს საგანგებო სიტუაციების მართვის მექანიზმი, თუმცა საგანგებო სიტუაციების მართვის გეგმა შეთანხმებული არ არის კომპეტენტურ ორგანოსთან. აღნიშნულთან დაკავშირებით, კოლეჯმა წარმოადგინა წერილი, რის მიხედვითაც დასტურდება, რომ კოლეჯის მოთხოვნა საგანგებო სიტუაციების მართვის გეგმა შეთანხმებული იყოს კომპეტენტურ ორგანოსთან, საგანგებო სიტუაციების მართვის სამსახურში რეგისტრირებულია შემდეგი ნომრით №1513980; 07.06.2022წ. ამასთან, კოლეჯის დირექტორის 2020 წლის 29 მაისის №04-78 ბრძანებით (ბოლო ცვლილება განხორციელებულია 2022 წლის 9 მარტს, ბრძანება №04-55) დამტკიცებულია „კოლეჯის შესაბამისობის უზრუნველყოფის გეგმა“, რომლის ერთ-ერთ აქტივობად განსაზღვრულია მატერიალური, ფინანსური რესურსის გაუმჯობესება, უსაფრთხოების ნორმების დაცვის გაუმჯობესება, ხოლო ქვეატივობად მოცემულია უსაფრთხოების ნორმების გაუმჯობესება, აქტივობის შესრულების ვადად განსაზღვრულია 2022 წლის 30 აგვისტო“ - რეკომენდაცია შესრულებულია.

მონიტორინგის ვიზიტის დროს გამოვლენილი ხარვეზების შეჯამება - პროგრამა „რძის პროდუქტების წარმოება”:

2.2.1.1. ინდიკატორი არ არის დაკმაყოფილებული, ვინაიდან: პროგრამის ფარგლებში დაწესებულებას ჰყავს ერთი პარტნიორი „რკ.ყვარის მთა“, რომელიც დაკეტილი იყო. ამიტომ ვერ მოხერხდა ვერც დათვალიერება, ვერც წარმომადგენელთან გასაუბრება, ამასთან ორგანიზაციასთან გაფორმებულ ხელშეკრულებას არ ჰქონდა მატერიალური რესურსის დანართი, ვერ დადგინდა, რამდენად არის შესაძლებელი აღნიშნულ ობიექტზე პრაქტიკული შედეგების მიღწევა პრაქტიკის ობიექტის მფლობელობაში არსებული მატერიალური რესურსით, პროფესიულ სტუდენტთა ზღვრული რაოდენობის გათვალისწინებით.

2.4.1.3. ინდიკატორი არ არის დაკმაყოფილებული, ვერ დგინდება სასწავლო პროცესი ითვალისწინებს თუ არა სწავლების თანამედროვე მეთოდებისა და დარგის შესაბამისი ტექნოლოგიების გამოყენებას. ვინაიდან ვიზიტის დროს ვერ მოხერხდა პრაქტიკის ობიექტის დათვალიერება, ვერ დადგინდა პრაქტიკული კომპონენტის სწავლების პროცესში თანამედროვე ტექნოლოგიების გამოყენება. შესაბამისად, აღნიშნული კომპონენტი შეფასდა უარყოფითად.

2.4.1.6. ინდიკატორი არ არის დაკმაყოფილებული. სასწავლო პროცესი არ მიმდინარეობს უსაფრთხო სასწავლო/სამუშაო გარემოში, პროგრამის სპეციფიკის გათვალისწინებით. აღნიშნული პროგრამა ხორციელდება დუალურად და სავალდებულო პროფესიული მოდულებით გათვალისწინებული სწავლის შედეგების 50% -ზე მეტი მიიღწევა პრაქტიკის ობიექტზე, იქიდან გამომდინარე, რომ ვერ მოხერხდა პრაქტიკის ობიექტის დათვალიერება(დაკეტილი იყო), ვერ დგინდება მიმდინარეობს თუ არა პრაქტიკის ობიექტზე სწავლება უსაფრთხო სასწავლო/სამუშაო გარემოში

რეკომენდაციების შეჯამება

ზოგადი განმავითრებელი რეკომენდაცია: ვინაიდან კოლეჯს აქვს ფილიალები სხვადასხვა რეგიონში, რომლებიც საკმაოდ დაშორებულია ერთმანეთისგან და ფილიალებში ადმინისტრაციული პერსონალი შეზღუდული რაოდენობითაა წარმოდგენილი, სასურველია, გამოყენებული იქნას საქმისწარმოებაში ერთიანი მიდგომები. კერძოდ, კონსოლიდირებული მარეგულირებელი დოკუმენტების თუ საგანმანათლებლო პროცესში საჭირო სხვა მასალის, მტკიცებულებების ხელმისაწვდომობა უზრუნველყოფილი იქნას ერთიანი საკომუნიკაციო სისტემით. მაგალითად, დოკუმენტაცია ატვირთული იყოს ონლაინ პლატფორმაზე, სადაც კოლეჯის თანამშრომლებს კომპეტენციის ფარგლებში ექნებათ წვდომა. ეს გააიოლებს საქმისწარმოებას და ვთქვათ, მსგავსი ვიზიტის დროს უფრო მობილურს და მოქნილს გახდის ინფორმაციის მიწოდებას დაინტერესებული მხარეებისათვის. ასევე მონიტორინგის, თუ სხვა საქმისწარმოების დროს სასურველია წინასწარ იქნას ექსპერტებისათვის წარსადგენი დოკუმენტაცია მობილიზებული და მოწესრიგებული.

პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამა- „მეფუტკრეობა“

დარგის ექსპერტის განცხადებით, „მეფუტკრეობის“ პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამაზე პროფესიულ სტუდენტთა რაოდენობა განსაზღვრულია 20 სტუდენტით (10-10 სტუდენტი) დაწესებულებას სწავლების განხორციელებისათვის აქვს A და B სასწავლო გარემო, რომლებიც გათვლილია 10-10 პროფესიულ სტუდენტზე. აუდიტორიები აღჭურვილია სადემონსტრაციო საშუალებებით, დაფებით, სტუდენტების კომპიუტერებით, მასწავლებლისთვის სამუშაო ადგილით (მაგიდა, სკამი, კომპიუტერი, პრინტერი) და სხვა; c სივრცე დურგლის სახელოსნო. სადაც სრულადაა დაცული უსაფრთხოების ზომები, არის რამდენიმე სივრცე სხვადასხვა ტიპის აქტივობების განსახორციელებლად. მატერიალურ-ტექნიკური რესურსის ფლობა დასტურდება მიღება-ჩაბარების აქტებით, საინვენტარო ჟურნალით/ფლობის დამადასტურებელი დოკუმენტაციით. B სასწავლო გარემოს კოლეჯი იყენებს სხვა პროგრამებისთვისაც, წარმოდგენილ იქნა აუდიტორის დატვირთვის ცხრილი. ასევე ლექციების ცხრილი. დადასტურდა, რომ შეუფერხებლად არის შესაძლებელი საგანმანთლებლო პროცესის წარმართვა. პროგრამისათვის „მეფუტკრეობა“ C გარემოს წარმოადგენს კოლეჯის ეზოში 150 კვმ. ნაკვეთი, სადაც განთავსებულია სკები. ნაკვეთი შემოღობილია და დაცულია ცხოველთა შეღწევისაგან, ასევე სასწავლო კაბინეტი - ერთ პროფესიულ სტუდენტზე 2 კვმ. და დამხმარე ოთახი 20 კვმ. კოლეჯს ადგილზე აქვს სრულად პროგრამით გათვალისწინებული მატერიალური რესურსი, ინვენტარი და მასალა-ნედლეული, რაც დასტურდება ვიზუალური დათვალიერებით და წარმოდგენილი დოკუმენტაციით. ამჟამად, აღნიშნულ პროგრამაზე, 2022 წლის შემოდგომის მიღების ფარგლებში ირიცხება 7 აქტიური სტატუსის მქონე პროფესიული სტუდენტი. მისი თქმით, პროგრამისთვის განსაზღვრული პროფესიული განათლების მასწავლებელთა რაოდენობა არის - 12. მათ შორის 6 არის პროფესიული მოდულების განმახორციელებელი პირი. გასაუბრებისას დადგინდა, რომ ზოგადი მოდულების განმახორციელებელი პირები სწავლებას ახდენენ სხვა პროგრამების ფარგლებშიც. პროფესიული განათლების მასწავლებელთა საკონტაქტო საათების კვირეული დატვირთვა არ ეწინააღმდეგება ორგანულ კანონს „საქართველოს შრომის კოდექსს“ და კვირეული დატვირთვა არ აღემატება 40 საათს. საგანმანათლებლო პროგრამას ჰყავს პსდ-ს მიერ განსაზღვრული, შესაბამისი დარგობრივი კომპეტენციის მქონე ხელმძღვანელი. სსსმ პირებს წვდომა აქვთ პროგრამით გათვალისწინებულ ან ინდივიდუალური სასწავლო გეგმით გათვალისწინებულ სასწავლო რესურსებთან, რომლებიც ადაპტირებულია სსსმ პირების საჭიროებებისა და მოთხოვნილებების შესაბამისად;

პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამა - „სატყეო საქმე“

დარგის ექსპერტის განცხადებით, „სატყეო საქმის“ პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამაზე პროფესიულ სტუდენტთა რაოდენობა განსაზღვრულია 20 სტუდენტით (10-10 სტუდენტი) დაწესებულებას სწავლების განხორციელებისათვის აქვს Aსასწავლო გარემო(10 პროფესიულ სტუდენტზე) და B სასწავლო გარემო(10 პროფესიულ სტუდენტზე), აუდიტორიები აღჭურვილია სადემონსტრაციო საშუალებებით, დაფებით, სტუდენტების კომპიუტერებით, მასწავლებლისთვის სამუშაო ადგილით (მაგიდა, სკამი, კომპიუტერი, პრინტერი) და სხვა; c სივრცე დურგლის სახელოსნო. სადაც სრულადაა დაცული უსაფრთხოების ზომები, არის რამდენიმე სივრცე სხვადასხვა ტიპის აქტივობის განსახორციელებლად. B სასწავლო გარემოს კოლეჯი იყენებს სხვა პროგრამებისთვისაც, წარმოდგენილ იქნა აუდიტორის დატვირთვის ცხრილი. ასევე ლექციების ცხრილი. დადასტურდა, რომ შეუფერხებლად არის შესაძლებელი საგანმანთლებლო პროცესის წარმართვა. პროგრამის განხორციელებისას პრაქტიკული უნარ-ჩვევების გამომუშავების უზრუნველსაყოფად, პროგრამის ფარგლებში გაფორმებულია ურთიერთთანამშრომლობის მემორანდუმი (30.03.2022წ) სსიპ ეროვნულ სატყეო სააგენტოსთან. სსიპ ეროვნული სატყეო სააგენტო წარმოადგენს ქვეყნის ძირითად ტყის მართვის ორგანოს და მის დაქვემდებარებაშია საქართველოს ტყის ფონდის უდიდესი ნაწილი (1,8 მლნ ჰა-ზე მეტი), მემორანდუმის თანახმად, ეროვნული სატყეო სააგენტო უზრუნველყოფს პრაქტიკის ობიექტზე (ამ შემთხვევაში სახელმწიფო ტყე) სტუდენტების პრაქტიკული სწავლების ხელშეწყობას, მემორანდუმით განსაზღვრულია, რომ შეთანხმება ხდება წინასწარ - წერილობით. კოლეჯს ადგილზეც აქვს სრულად პროგრამით გათვალისწინებული მატერიალური რესურსი, ინვენტარი და მასალა-ნედეული, რაც დასტურდება ვიზუალური დათვალიერებით და წარმოდგენილი დოკუმენტაციით. პროგრამისთვის განსზღვრული პროფესიული განათლების მასწავლებელთა რაოდენობა და დატვირთვა უზრუნველყოფს საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების მდგრადობას . პროგრამისთვის განსაზღვრულ პროფესიული განათლების მასწავლებელს აქვს პროფესიულ სტუდენტთათვის შესაბამისი სწავლის შედეგების გამომუშავების და შეფასების კომპეტენცია; საგანმანათლებლო პროგრამას ჰყავს პსდ-ს მიერ განსაზღვრული, შესაბამისი დარგობრივი კომპეტენციის მქონე ხელმძღვანელი; სსსმ პირებს წვდომა აქვთ პროგრამით გათვალისწინებულ ან ინდივიდუალური სასწავლო გეგმით გათვალისწინებულ სასწავლო რესურსებთან, რომლებიც ადაპტირებულია სსსმ პირების საჭიროებებისა და მოთხოვნილებების შესაბამისად;

პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამა - „რძის პროდუქტების წარმოება“

დარგის ექსპერტის განცხადებით, დაწესებულების გადაწყვეტილება განახორციელოს „რძის პროდუქტების წარმოების“ პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამა რელევანტურია, წინააღმდეგობაში არ მოდის მისიასა და სტრატეგიული განვითარების გეგმასთან, აღსანიშნავია, რომ წარმოდგენილ მიზანშეწონილობის დოკუმენტში მოხსენიებულია დაწესებულების მიერ ჩატარებული კვლევები და კვლევის შედეგად გამოკვეთილი გარემოებები - დარგის მიმართულების შრომის ბაზრის მოთხოვნების დასაკმაყოფილებლად. პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამის „რძის პროდუქტების წარმოება“ დაშვების წინაპირობაა სრული ზოგადი განათლება. კოლეჯის დირექტორის ბრძანებით №04-99, 07.10.2019დამტკიცებულია ,,აპლიკანტთა კონკურსის წესით შერჩევის დებულება იმ პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამებისთვის, რომლის სავალდებულო პროფესიული მოდულებით გათვალისწინებული სწავლის შედეგების 50% ან მეტი მიიღწევა რეალურ სამუშაო გარემოში'' ამ დოკუმენტის მიხედვით, დაწესებულებაში პროგრამაზე ჩარიცხვის პროცედურა შესაბამისობაშია კანონმდებლობით დადგენილ მოთხოვნებთან. პროგრამა შედგენილია ისე, რომ უზრუნველყოს პროგრამის განხორციელების ვადაში განსაზღვრული სწავლის შედეგების მიღწევა. ო პროგრამაზე დაშვების წინაპირობები და პროცედურები უზრუნველყოფს პროგრამაზე ისეთ პირთა დაშვებას, რომელთა წინარე ცოდნა, უნარები ან/და გამოცდილება უზრუნველყოფს

პროგრამის განხორციელების ვადაში პროგრამით განსაზღვრული სწავლის შედეგების მიღწევას.

ექსპერტმა აღნიშნა, რომ დაწესებულებას შემუშავებული/დამტკიცებული აქვს ,,პროფესიულ სტუდენტთა ზღვრული რაოდენობის განსაზღვრის წესი’“, რომელიც ითვალისწინებს ძირითადად A და B გარემოს და მატერიალური რესურსების საკმარისობას. დაწესებულება ზღვრული რაოდენობის დასაბუთებისას ითვალისწინებს პროგრამის განხორციელებაში ჩართული პროფესიული განათლების მასწავლებელთა/პროგრამის განმახორციელებელ პირთა რაოდენობა(განსაკუთრებით იმ შემთხვევაში, როდესაც ცვლებში ან ორ პარალელურ ჯგუფად უნდა განხორციელდეს სწავლება); კონკრეტულ პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამაზე პრაქტიკის ობიექტ(ებ)თან გაფორმებული მემორანდუმის/ხელშეკრულების საფუძველზე, პროფესიულ სტუდენტთა იმ მაქსიმალური რაოდენობას (პრაქტიკის ინსტრუქტორებისა და პროფესიული სტუდენტების ლოგიკური რაოდენობრივი შეფარდებით), რაც პრაქტიკის ობიექტ(ებ)ს შეუძლია მიიღოს; პროგრამის ავტორიზაციის ვადის ფარგლებში, სტუდენტთა აუდიტორიებში/პრაქტიკის ობიექტზე გადანაწილების შესაძლებლობას; კოლეჯის წარმომადგენლებთან გასაუბრებით და სხვადასხვა დოკუმენტაციის შესწავლით დადგინდა, რომ მოთხოვნილი ზღვრული ოდენობის ფარგლებში შესაძლებელია შეფერხების გარეშე განხორციელდეს სწავლება. შესწავლილ იქნა აუდიტორიების გამტარობა, მასწავლებელთა დატვირთვის სქემები. ერთ ჯგუფში პროფესიულ სტუდენტთა რაოდენობა განისაზღვრება ჩარჩო დოკუმენტის საფუძველზე შექმნილი პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის სპეციფიკის გათვალისწინებით. ა საგანმანათლებლო პროგრამით გათვალისწინებული რესურსები, მათ შორის საგანმანათლებლო რესურსი, უზრუნველყოფს პროფესიული სტუდენტის მიერ პროგრამით გათვალისწინებული სწავლის შედეგების მიღწევას. .საგანმანათლებლო პროგრამის არჩევითი მოდულები, მათი არსებობის შემთხვევაში, ლოგიკურ კავშირშია მისანიჭებელ კვალიფიკაციასთან ან/და პროფესიული სტუდენტის მომავალ საქმიანობასთან; პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამა არ ითვალისწინებს არჩევით მოდულებს.

ექსპერტის განცხადებით, პროგრამა „რძის პროდუქტების წარმოება“ გულისხმობს პროფესიული სტუდენტისათვის ისეთი შედეგების გამომუშავებას, როგორიცაა: რძის პროდუქტის წარმოებისთვის ნედლეულის შერჩევა; რძის პროდუქტის წარმოებისთვის ნედლეულის შეფასება; ტექნოლოგიური რეჟიმების დაცვით რძის პროდუქტების დამზადება; რძის პროდუქტის წარმოებაში გამოსაყენებელ მანქანადანადგარების მოვლა; რძის პროდუქცია სარეალიზაციოდ გამზადება და სხვა. შესაბამისად, პროგრამით გათვალისწინებული ყველა სწავლის შედეგი მოიცავს რძის პროდუქტების წარმოების სპეციალისტის ფუნქცია–მოვალეობებსა და კომპეტენციებს, პროგრამის სახელწოდება „რძის პროდუქტების წარმოება“ ემთხვევა ჩარჩო დოკუმენტის სახელწოდებას, სრულად შეესაბამება პროგრამის შინაარსსა და პროგრამით გათვალისწინებულ მისაღწევ სწავლის შედეგებს და არ არის შეცდომაში შემყვანი. პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამა: „რძის პროდუქტების წარმოება“ შემუშავებულია პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის ჩარჩო დოკუმენტის - სასურსათო პროდუქტების წარმოება“ შესაბამისად. კოლეჯის მიერ შემუშავებული პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამა „რძის პროდუქტების წარმოება“ მოიცავს მოდულებს და სასწავლო გეგმას (ინტეგრირებული და არაინტეგრირებული პროგრამისთვის). პროგრამით განსაზღვრულია: პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის სახელწოდება, პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის ჩარჩო დოკუმენტის სახელწოდება, მისანიჭებელი კვალიფიკაცია, მიზანი, დაშვების წინაპირობა, დასაქმების სფერო და შესაძლებლობები, სტრუქტურა და მოდულები, პროგრამის მოცულობა (მოდულური, ინტეგრირებული), სწავლის შედეგები, ჩარჩო დოკუმენტის საფუძველზე პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის შემუშავება, სწავლის შედეგების მიღწევის დადასტურება და კრედიტის მინიჭება, კვალიფიკაციის მინიჭება, შეზღუდული

შესაძლებლობების მქონე (შშმ) სტუდენტების სწავლება, პროგრამის შემუშავების სამართლებრივი საფუძვლები და პარტნიორი ორგანიზაციები და სხვა. პროგრამაში ასევე გათვალისწინებულია ქართული ენის მოდულები A2 და B1 რომელის მიზანია არაქართულენოვანი სტუდენტები მოამზადოს ქართულ ენაზე პროგრამის გასავლელად.
დარგის ექსპერტის განცხადებით, პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამაზე „რძის პროდუქტების წარმოება“ პროფესიულ სტუდენტთა რაოდენობა განსაზღვრულია 20 სტუდენტით. დაწესებულებას სწავლების განხორციელებისათვის აქვს A(10 პროფესიულ სტუდენტზე) და B(10 პროფესიულ სტუდენტზე) სასწავლო გარემო. აუდიტორიები აღჭურვილია სადემონსტრაციო საშუალებებით, დაფებით, სტუდენტების კომპიუტერებით, მასწავლებლისთვის სამუშაო ადგილით (მაგიდა, სკამი, კომპიუტერი, პრინტერი) და სხვა; B სასწავლო გარემოს კოლეჯი იყენებს სხვა პროგრამებისთვისაც. წარმოდგენილ იქნა აუდიტორის დატვირთვისა და ლექციების ცხრილი. დადასტურდა, რომ შეუფერხებლად არის შესაძლებელი B სასწავლო გარემოში საგანმანთლებლო პროცესის წარმართვა. პროგრამის C გარემოს წარმოადგენს ლაბორატორია. პროგრამა ხორციელდება დუალური ფორმით, კოლეჯს დადებული აქვს ხელშეკრულებები სამ ორგანიზაციასთან. კერძოდ: • კოოპერატივი „მთია“(თიანეთის მუნიციპალიტეტის, სოფ, ხევსურთსოფელი); • ამხანაგობა „თიანეთი“ (დაბა თიანეთი, გოგებაშვილის ქუჩა N7); სასოფლო-სამეურნეო კოოპერატივი „რკ ყვარის მთა“ (დაბა თიანეთი, არტნის ქუჩა N17). ვიზიტის დროს დაწესებულებამ წარმოადგინა მხოლოდ სასოფლო-სამეურნეო კოოპერატივთან „რკ ყვარის მთა“ დადებული ხელშეკრულება N006 (14 თებერვალი 2022) რაც გულისხმობს 15 პროფესიული სტუდენტის სწავლებას. ხელშეკრულების ვადა განისაზღვრება პროგრამის განხორციელების ვადის ამოწურვამდე. რაც შეეხება პროგრამაში მითითებულ დამატებით ორ პრაქტიკის ობიექტს: „მთია“ და „თიანეთი“ დაწესებულებას აღნიშნულ ორგანიზაციებთან ხელშეკრულება არ წარმოუდგენია და განაცხადეს, რომ მათთან აღარ თანამშრომლობენ. ვიზიტის ფარგლებში ვერ მოხერხდა პრაქტიკის ობიექტის „რკ ყვარის მთა“ დათვალიერება, რადგან დაწესებულებამ განაცხადა, რომ ობიექტი აღდგომის შემდგომ დაკეტილია. ხელშეკრულების თანახმად, აღნიშნული ორგანიზაციის დირექტორი თავად არის პრაქტიკის ინსტრუქტორი. ვიზიტის ფარგლებში ვერ მოხერხდა ვერც პრაქტიკის ინსტრუქტორთან გასაუბრება, თუმცა ექსპერტთა ჯგუფმა გადაამოწმა საწარმოში მისაღწევი სწავლის შედეგების დადასტურების ჟურნალი, სადაც პროფესიულ სტუდენტთა შეფასებები დადასტურებულია ინსტრუქტორის ხელმოწერით. ჩანაწერების ჟურნალში აღრიცხულია სასწავლო საწარმოში სწავლისას პროფესიული სტუდენტის მიერ განხორციელებული აქტივობები სასწავლო საწარმოში მისაღწევი სწავლის შედეგების ნაწილში. სასწავლო გეგმის შესწავლის შედეგად დადგინდა, რომ ვიზიტის პერიოდში პრაქტიკის ობიექტზე უნდა ყოფილიყო რამდენიმე მოდულის (რძის პირველადი დამუშავება, რძის თბური და მექანიკური დამუშავება,ლაბორატორიული სამუშაოები რძის დამუშავებისას,სასმელი რძის დამზადება) ფარგლებში სასწავლო პროცესი. ორგანიზაციასთან „ყვარის მთა“ დადებულ ხელშეკრულებაში გაწერილია, რომ ხელშეკრულების ძალაში შესვლის დღიდან 10 დღის ვადაში პროგრამის სასწავლო გეგმა(დანართი 1), პრაქტიკის ობიექტისათვის საჭირო აღჭურვილობა(დანართი 2), და ინფორმაცია ინსტრუქტორის შესახებ(დანართი 3), უნდა დაერთოს ხელშეკრულებას და გახდეს მისი განუყოფელი ნაწილი. აღნიშნული დანართები დაწესებულებას არ წარმოუდგენია. ვიზიტის ფარგლებში ვერ დადგინდა, რამდენად არის შესაძლებელი აღნიშნულ ობიექტზე პრაქტიკული შედეგების მიღწევა. .პროგრამისთვის განსაზღვრულ პროფესიული განათლების მასწავლებელს აქვს პროფესიულ სტუდენტთათვის შესაბამისი სწავლის შედეგების გამომუშავების და შეფასების კომპეტენცია. სსსმ პირებს წვდომა აქვთ პროგრამით გათვალისწინებულ ან ინდივიდუალური სასწავლო გეგმით გათვალისწინებულ სასწავლო რესურსებთან, რომლებიც ადაპტირებულია სსსმ პირების საჭიროებებისა და მოთხოვნილებების შესაბამისად.

პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამა- „მეხილეობა“

დარგის ექსპერტის განცხადებით, პსდ-ს გადაწყვეტილება საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების შესახებ ეფუძნება შესაბამის დასაბუთებას და შეესაბამება პსდ-ს მისიას და სტრატეგიული განვითარების გეგმას: დაწესებულებას შემუშავებული/დამტკიცებული აქვს ,,პროფესიულ სტუდენტთა ზღვრული რაოდენობის განსაზღვრის წესი’’“, რომელიც ითვალისწინებს ძირითადად A და B გარემოს და მატერიალური რესურსების საკმარისობას. პსდ საგანმანათლებლო პროგრამისთვის პროფესიულ სტუდენტთა ზღვრულ ოდენობას განსაზღვრავს შესაბამისი მეთოდოლოგიის მიხედვით.საგანმანათლებლო პროგრამით გათვალისწინებული რესურსები, მათ შორის საგანმანათლებლო რესურსი, უზრუნველყოფს პროფესიული სტუდენტის მიერ პროგრამით გათვალისწინებული სწავლის შედეგების მიღწევას.

დარგის ექპერტის განცხადებით, “მეხილეობა“ პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამაზე პროფესიულ სტუდენტთა რაოდენობა განსაზღვრულია 20 სტუდენტით (10- 10 სტუდენტი ინტეგრირებულზე და არაინტეგრირებულზე) დაწესებულებას სწავლების განხორციელებისათვის აქვს A და B სასწავლო გარემო, რომლებიც გათვლილია 10-10 პროფესიულ სტუდენტზე. აუდიტორიები აღჭურვილია სადემონსტრაციო საშუალებებით, დაფებით, სტუდენტების კომპიუტერებით, მასწავლებლისთვის სამუშაო ადგილით (მაგიდა, სკამი, კომპიუტერი, პრინტერი) და სხვა; მატერიალურ-ტექნიკური რესურსის ფლობა დასტურდება მიღება-ჩაბარების აქტებით, საინვენტარო ჟურნალით/ფლობის დამადასტურებელი დოკუმენტაციით. B სასწავლო გარემოს კოლეჯი იყენებს სხვა პროგრამებისთვისაც, წარმოდგენილ იქნა აუდიტორის დატვირთვის ცხრილი. ასევე ლექციების ცხრილი. დადასტურდა, რომ შეუფერხებლად არის შესაძლებელი საგანმანთლებლო პროცესის წარმართვა,ა, პროგრამისთვის განსზღვრული პროფესიული განათლების მასწავლებელთა რაოდენობა და დატვირთვა უზრუნველყოფს საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების მდგრადობას. პროგრამისთვის განსაზღვრულ პროფესიული განათლების მასწავლებელს აქვს პროფესიულ სტუდენტთათვის შესაბამისი სწავლის შედეგების გამომუშავების და შეფასების კომპეტენცია. საგანმანათლებლო პროგრამას ჰყავს დაწესებულების მიერ განსაზღვრული შესაბამისი დარგობრივი კომპეტენციის მქონე ხელმძღვანელი. , საგანმანათლებლო პროგრამაში მითითებული საგანმანათლებლო რესურსი ხელმისაწვდომია ელექტრონული სახით ან დაწესებულების ბიბლიოთეკაში მატერიალური სახით და გამოიყენება სასწავლო პროცესში.6.სსსმ პირებს წვდომა აქვთ პროგრამით გათვალისწინებულ ან ინდივიდუალური სასწავლო გეგმით გათვალისწინებულ სასწავლო რესურსებთან, რომლებიც ადაპტირებულია სსსმ პირების საჭიროებებისა და მოთხოვნილებების შესაბამისად;

საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა დარგის ექსპერტს კითხვით, „რძის პროდუქტების წარმოების “ პროგრამისთვის განკუთვნილი პრაქტიკის ობიექტი საერთოდ დაიხურა, თუ რამდენიმე დღით, რაც დაეთხვა ექსპერტთა ვიზიტს და ასევე, გამოკითხულ იქნა თუ არა პროფესიული სტუდენტები თუ რა ტიპის ჩართულობა იყო აღნიშნულ საწარმოში.

დარგის ექსპერტის განმარტებით, სამწუხაროდ ვერ მოხერხდა C გარემოს ობიექტის შესწავლა. ვერანაირად ვერ დადასტურდა მისი შესაბამისობა, რადგანაც ხელშეკრულება დადებული იყო ჯერ კიდევ გასული წლის გაზაფხულზე, შესაბამისად 416-ე დადგენილების ვალდებულების საფუძველზე არ იყო სრული მონაცემები, თუნდაც ჩამონათვალი ყოფილიყო იმისა, თუ რა დანადგარები ჰქონდათ, რაც აჩვენებდა თანამედროვე ტექნოლოგიების გამოყენებას და ამ საშუალებით სწავლის შედეგებზე გასვლას. ასევე, მისი თქმით, ვერ მოხერხდა დადასტურება იმისა, თუ რამდენად კომპეტენტური იყო ის პირი, რომელიც ადგილზე ასწავლიდა და განახორციელებდა „რძის პროდუქტების წარმოების “ დუალურ პროგრამას. სტუდენტებთან გასაუბრების საფუძველზე დადგინდა, რომ ისინი ძალიან აღფრთოვანებულები იყვნენ საწარმო პრაქტიკებზე ვიზიტებით, ასევე ის, რომ ჩართულები იყვნენ საწარმოს პროცესებში, თუმცა ვერ

მოხერხდა იმ სრული სურათის დანახვა, სადაც სტუდენტები ჩართულნი იყვნენ პროდუქტის წარმოების პროცესში. აღნიშნული პროგრამა რეალურად არ იყო პრაქტიკულად განხორციელებული.

საბჭოს თავმჯდომარემ აღნიშნა, რომ ავტორიზაციის სტანდარტების შესაბამისად, როდესაც ვიზიტი იმართება დაწესებულებაში, იქვე უნდა დადასტურდეს ყველაფერი, კოლეჯი უნდა იყოს მზად, ისევე როგორც თანაგანმახორციელებლები.

საბჭოს თავმჯდომარემ „მეხილეობის“ პროგრამის ფარგლებში მიმართა კითხვით დარგის ექსპერტს და აღნიშნა, რომ კოლეჯს კვოტა განსაზღვრული ჰქონდა 10 პროფესიული სტუდენტისთვის და რეალურად აქტიური სტუდენტი იყო 3, ხოლო ორი სტატუსშეჩერებული, ხომ არ დაინტერესდა ექსპერტი, თუ რითი იყო გამოწვეული ასეთი დაბალი მონაწილება პროგრამაში. დარგის ექსპერტის განმარტებით, აღნიშნული დაბის მოსახლეობა ძალიან მცირე იყო და ეს ფაქტები იწვევდა იმას, რომ არ იყო დიდი რაოდენობა სტუდენტებისა. საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა კითხვით დარგის ექსპერტს, მაშინ რამდენად სწორი იყო დაწესებულების გადაწყვეტილება ამ პროგრამის შერჩევისა და და განხორციელების თაობაზე და საჭირო იყო თუ არა ასეთი ტიპის პროგრამა ადგილობრივი მოსახლეობისთვის.

საბჭოს თავმჯდომარემ „სატყეო საქმის“ პროგრამის ფარგლებში მიმართა კითხვით დარგის ექსპერტს, კონკრეტულად რა სწავლის შედეგები უნდა იყოს მიღწეული პრაქტიკის ობიექტზე.

დარგის ექსპერტის განმარტებით, „სატყეო საქმის“ პროგრამაში ყველა მოდულს ჰქონდა პრაქტიკული კომპონენტი და ამ შემთხვევაშიც მემორანდუმში ჩაწერილი იყო, შესაბამისად პროგრამის გათვალისწინებით ყველა მოდულის პრაქტიკული სწავლის შედეგები. მისი თქმით, დაწესებულებას არ ჰქონდა რესურსი პრაქტიკული სწავლების შედეგების მიღწევის. პრაქტიკის ობიექტი იყო ტყე, რომელიც სახელმწიფო საკუთრება იყო, მას მართავს სატყეო სააგენტო, ძალიან მჭიდრო კავშირი ჰქონდათ მცხეთა-მთიანეთის სატყეო სამსახურთან, რომელიც გახლავთ ტერიტორიული ორგანო სატყეო სააგენტოსი. რაც შეეხება საგანმანათლებლო რესურსებს, დათვალიერებული იქნა ბიბლიოთეკა, როგორც მატერიალური, ისე ელექტრონული სახით არსებული რესურსი, მიუხედავად იმისა, რომ რიგი განახლებები კვლავ არ იყო საკანონმდებლო დოკუმენტებთან მიმართებაში, შემდეგ უკვე ინტერვიუს საფუძველზე დაზუსტდა, რომ მათ ჰქონდათ matsne.gov.ge-ზე წვდომა და პრაქტიკაშიც ამას გამოიყენებდნენ.

საბჭოს თავმჯდომარემ „სატყეო საქმის“ პროგრამის ფარგლებში მიმართა კითხვით დარგის ექსპერტს, პროფესიულ სტუდენტთა ზღვრული რაოდენობა იყო 20 და აქედან 5 სტუდენტი სწავლობდა, იყო თუ არა საჭირო , ამ მიმართულებით, აღნიშნული რეგიონისთვის 20 სტუდენტი და 20 სპეციალისტი. ასევე, რატომ იყო სტუდენტების ასეთი დაბალი მაჩვენებელი.

დარგის ექსპერტის განცხადებით, საჭიროების ნაწილში, საჭიროება უფრო და უფრო მზარდი იქნებოდა, რადგან მათ შორის დაწესებულებასაც, თავად პროგრამის დასაბუთებაში აღნიშნული ჰქონდა ეს გარემოებები, რომ სატყეო სექტორი, რეფორმირების პროცესშია და ეს ძირითადი საკანონმდებლო ნორმატიული დოკუმენტით არის გამყარებული. ტყის კოდექსში ცალსახადაა ჩაწერილი, რომ 2025 წლიდან მხოლოდ სერტიფიცირებულ სპეციალისტს შეუძლია ტყეში სამუშაოების შესრულება და ეს არ გახლავთ მხოლოდ სახელმწიფო დაწესებულებებზე გავრცელებული სტანდარტი, არამედ ეს ეხებოდა კერძო სექტორსაც, რომელიც სერვისის მომწოდებლად მუშაობს ტყეში ნებისმიერ საქმიანობაზე, შესაბამისად, თუნდაც დამატებითი

მოზიდვის თვალსაზრისით, კოლეჯმა უფრო უნდა გააქტიუროს ამ პროგრამის პოპულარიზაცია ყველა რესურსის გამოყენებით, რომ დაარწმუნოს ახალგაზრდები აღნიშნული პროფესიის საჭიროებაში.

საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა დაწესებულების წარმომადგენელს პირველ რიგში ესაუბრა „რძის პროდუქტების წარმოების“ პროგრამის შესახებ, გარდა ამისა, აანალიზებდა თუ არა იმას, რომ აღნიშნულ პროგრამაზე სტუდენტთა რაოდენობა ბევრად ნაკლებია, ვიდრე კვოტით იყო გათვალისწინებული.

საბჭოს თავმჯდომარე ასევე დაინტერესდა, როდის ასრულებდნენ სწავლას ის სტუდენტები, რომლებიც იყვნენ თიანეთში რძის პროდუქტების წარმოების პროგრამაზე. როგორ დაასრულებდნენ სწავლას სტუდენტები , როცა ჰქონდათ დიდი ჩამორჩენა. როგორც ცნობილია კოლეჯს ჰქონდა რძის წარმოების პროგრამა წინამძღვრიანთკარშიც, რამდენად შესაძლებელი იყო, რომ სტუდენტები მობილობით გადასულიყვნენ თუ კვოტა იძლეოდა ამის საშუალებას.

დაწესებულების წარმომადგენლის განცხადებით, რა თქმა უნდა კოლეჯში შესაძლებელი იყო სტუდენტების შეერთება, მაგრამ აქ ჩნდებოდა ერთი პრობლემა თვითონ სტუდენტები თუ გადაწყვეტდნენ იმას, რომ მთლიანად წამოსულიყვნენ, აღნიშნულ ობიექტზე ისინი უზრუნველყოფილნი იქნებოდნენ საცხოვრებლით და კოლეჯი უზრუნველყოფდა პრაქტიკის ობიექტზე მათ ტრანსპორტირებას.

საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა საბჭოს წევრებს, ჰქონდათ თუ არა კითხვები განხილულ საკითხებთან დაკავშირებით. საბჭოს წევრებს განხილულ საკითხთან მიმართებით კითხვები არ ჰქონდათ.

საბჭოს თავმჯდომარემ შეაჯამა განხილული საკითხები და განმარტა, რატომ იღებს საბჭო შესაბამის გადაწყვეტილებას. მან აღნიშნა, რომ რამდენიმე პროგრამაზე ჩატარებულმა მონიტორინგმა (მეხილეობა, რძის პროდუქტების წარმოება, მეფუტკრეობა და სატყეო საქმე) გამოავლინა, რომ „ „რძის პროდუქტების წარმოების“ დუალური პროგრამის შემთხვევაში მეორე სტანდარტში დაფიქსირდა ხარვეზი, მიზეზი იყო ის, პროგრამის თანაგანმახორციელებელი სასწავლო საწარმოა და რომ სტუდენტებს არ ჰქონდათ საშუალება ამ ეტაპზე ობიექტზე სწავლის შედეგები მიაღწიონ, რაც თავისთავად ხარვეზის მიზეზი იყო. გარდა ამისა დაწესებულებას, სამწუხაროდ, არ წამოუდგენია შესაბამისობის გეგმა. საბჭოს მიერ მიღებული გადაწყვეტილება, კანონის შესაბამისად, უნდა იყოს უარყოფითი. ვინაიდან აქ სწავლის შედეგები მიღწევადი არ იყო, სტუდენტები ვერ დარჩებოდნენ მილევად რეჟიმში, შესაბამისად უნდა მოხდეს მათი გადაყვანა ყველაზე რელევანტურ ადგილას, ამ შემთხვევაში საუბარი იყო წინამძღვრიანთკარის ლოკაციაზე, სადაც იგივე პროგრამა ხორციელდებოდა.

საბჭოს თავმჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა სსიპ - ილია წინამძღვრიშვილის სახელობის კოლეჯის საგანმანათლებლო პროგრამებში- „მეხილეობა“, „მეფუტკრეობა“, „სატყეო საქმე“, „რძის პროდუქტების წარმოება“ განხორციელებული მონიტორინგის შესახებ საკითხი.

კენჭისყრის შედეგი:
მომხრე: 9
წინააღმდეგი: 0

გადაწყვეტილება: პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნის, პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს სხდომაზე დაინტერესებული მხარის მიერ დაფიქსირებული პოზიციის

შესწავლის, შეფასებისა და ურთიერთშეჯერების საფუძველზე, შეწყდეს ადმინისტრაციული წარმოება სსიპ - ილია წინამძღვრიშვილის სახელობის კოლეჯში (ს/კ:236098851) საგანმანათლებლო პროგრამების „მეხილეობა“, „მეფუტკრეობა“, „სატყეო საქმე“, „რძის პროდუქტების წარმოება“ ფარგლებში განხორციელებულ მონიტორინგთან დაკავშირებით. სსიპ - ილია წინამძღვრიშვილის სახელობის კოლეჯს ჩამოერთვას “რძის პროდუქტების წარმოების“ პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების უფლება დაბა თიანეთში.

მესამე საკითხი: სსიპ - ილია წინამძღვრიშვილის სახელობის კოლეჯის საგანმანათლებლო პროგრამებში -„მებაღეობა“, მევენახეობა და მეღვინეობა“, „ხილისა და ბოსტნეულის გადამუშავება“, „ვეტერინარია“, „კულინარიის ხელოვნება“, „რძის პროდუქტების წარმოება“, „აღმზრდელი“, ელექტროობა“, „სასმელების წარმოება“, „მეხილოება“ განხორციელებული მონიტორინგის შესახებ საკითხის განხილვა (საკითხი გადმოტანილი 8 ივნისის სხდომიდან).

საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა დაწესებულების წარმომადგენლებს, ხომ არ ჰქონდათ საბჭოს წევრების მიმართ აცილება.

საგანმანათლებლო დაწესებულების მიერ საბჭოს წევრ(ებ)ის აცილება

- **არა**

საბჭოს თავმჯდომარემ საბჭოს წევრებს მიმართა, ხომ არ ჰქონდათ განსახილველ საკითხთან მიმართებით თვითაცილება და/ან აცილება.

ავტორიზაციის საბჭოს წევრ(ებ)ის თვითაცილება

- **არა**

საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა საბჭოს წევრებს, დაედასტურებინათ, რომ იცნობდნენ ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნასა და დასკვნის პროექტზე დაწესებულების მიერ წარმოდგენილ არგუმენტირებულ პოზიციებს. საბჭოს წევრებმა დაადასტურეს, რომ იცნობდნენ საქმის მასალებს. საბჭოს თავმჯდომარემ ჰკითხა დაინტერესებული მხარის წარმომადგენლებს, იცნობდნენ თუ არა ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას. წარმომადგენლებმა დაადასტურეს, რომ იცნობდნენ დასკვნას. შესაბამისად, საბჭოს თავმჯდომარემ სთხოვა სხდომის მდივანს, რომ ექსპერტთა ჯგუფის დასკვნა დაერთო ოქმისთვის, როგორც მისი განუყოფელი ნაწილი.

საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა ექსპერტებს, დაეფიქსირებინათ თავიანთი მოსაზრებები განსახილველ საკითხებთან დაკავშირებით.

ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარე მანანა მოისწრაფიშვილი მიესალმა დამსწრე პირებს და საუბარი დაიწყო ვიზიტის საერთო მიმოხილვით.

მისი განცხადებით, სსიპ - განათლების ხარისხის განვითარების ეროვნულ ცენტრის დირექტორის 2023 წლის 10 აპრილის N 398166 (ცვლილება ბრძანებაში N417155-13.04.23) ბრძანების საფუძველზე სსიპ - ილია წინამძღვრიშვილის სახელობის კოლეჯში განხორციელდა ავტორიზაციის ექსპერტთა ვიზიტი საგანმანათლებლო პროგრამების - "მებაღეობა", "მევენახეობა და მეღვინეობა", "ხილისა და ბოსტნეულის გადამუშავება", "ვეტერინარია",

"კულინარიის ხელოვნება" და "რძის პროდუქტების წარმოება" ავტორიზაციის დებულების 31-ე მუხლის, მე-2 პუნქტის ბ) ქვეპუნქტის, საგანმანათლებლო პროგრამების - "აღმზრდელი", "ელექტროობა" და "სასმელების წარმოება" ავტორიზაციის დებულების 31-ე მუხლის, მე-2 პუნქტის ბ) ქვეპუნქტის ბ.ბ) და ბ.დ) კომპონენტებისა და საგანმანათლებლო პროგრამის "მეხილეობა" ავტორიზაციის დებულების 31-ე მუხლის, მე-2 პუნქტის ბ) ქვეპუნქტის ბ.დ) კომპონენტის, ასევე ავტორიზაციის დებულების 31-ე მუხლის, მე-2 პუნქტის დ) ქვეპუნქტით განსაზღვრული სტანდარტის დ.ა) და დ.ბ) კომპონენტების და ე) ქვეპუნქტით განსაზღვრული სტანდარტის ე.ა) კომპონენტის შესრულების შემოწმების მიზნით. აღნიშნული მონიტორინგის ვიზიტის საფუძველი გახლდათ პროფესიულ საგანმანათლებლო დაწესებულებათა ავტორიზაციის საბჭოს გადაწყვეტილება N 31669907 (MES 5 22 0001184552, 29.09.2022 წ.). ა.წ. 19 და 20 აპრილს მცხეთის რაიონის სოფ. წინამძღვრიანთკარში ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფმა შეაფასა IV სტანდარტის ინდიკატორების შესაბამისობა და პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების ,,მებაღეობა“, ,,რძის პროდუქტების წარმოება“, ,,მეხილეობა“, ,,სასმელების წარმოება“, ,,მევენახეობა და მეღვინეობა“, ,,კულინარიის ხელოვნება“ და ,,ვეტერინარია“, პროგრამული სტანდარტის კომპონენტები/კრიტერიუმები/ინდიკატორები. 21 აპრილს V სტანდარტის 5.1. კომპონენტისა და პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების ,,ხილისა და ბოსტნეულის გადამუშავება“, ,,ელექტროობა“ და ,,აღმზრდელი“ შესაბამისობა ავტორიზაციის სტანდარტებთან ცენტრის დირექტორის ბრძანებით განსაზღვრული ავტორიზაციის დებულების მუხლებისა და პუნქტების მიხედვით. აღნიშნულის ფარგლებში ინტერვიუების ჩატარების მიზნით ისინი შეხვდნენ ადმინისტრაციის წარმომადგენლებს, პროგრამის ხელმძღვანელებს და განმახორციელებლებს, პროფესიულ სტუდენტებს, დაათვალიერეს მატერიალურ-ტექნიკური ბაზა, შეისწავლეს დამატებითი დოკუმენტაცია და დაათვალიერეს პრაქტიკის ობიექტები და გაესაუბრნენ წარმოების წარმომადგენლებს.

ვიზიტის ფარგლებში ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფს დავალებული ჰქონდა 2023 წლის 10 მარტს სსიპ განათლების ხარისხის განვითარების ეროვნულ ცენტრში მოქალაქე ნ.ხ.-ს წარმოდგენილ განცხადებასთან (ცენტრში რეგისტრაციის N277968) დაკავშირებული საკითხის შესწავლა. აღნიშნულის მიზნით ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრებმა ჩაატარეს მოქალაქის საჩივარში დაფიქსირებული საკითხების საკუთარი კომპეტენციების ფარგლებში და მცხეთის რაიონში სოფ. წინამძღვრიანთკარში არსებული სიტუაციის მოკვლევა, რომლის საფუძველზე გამოირკვა, რომ საჩივარში მითითებული ნივთები, ნამდვილად აქვს შესყიდული კოლეჯს და განთავსებულია მცხეთის რაიონის სოფ. წინამძღვრიანთკარში ქიმიის ლაბორატორიაში. ექსპერტთა მიერ გადამოწმდა როგორც მათი არსებობა ადგილზე, ასევე მათი ფაქტობრივი მდგომარეობა და საკუთრების დამადასტურებელი დოკუმენტაცია. ქიმიის ლაბორატორიის აღჭურვილობა და სასწავლო მიზნებისთვის საკმარისობა დადებითად შეფასდა კომპეტენტური დარგის ექსპერტების მიერ. ასევე, შესწავლილი იქნა კოლეჯის ვებგვერდზე https://tmk.edu.ge/ka/documents განთავსებული ,,სსიპ - ილია წინამძღვრიშვილის სახელობის კოლეჯი მატერიალური რესურსებით სარგებლობის წესი“ (დამტკიცეული დირექტორის 2020 წლის 16 ოქტომბრის 04-204 ბრძანებით, ცვლილება 04-37 09.03.2022), რომლის მუხლი 2-ის ,,კოლეჯის მატერიალური რესურსების მართვა“ მე-7 პუნქტი ითვალისწინებს შემდეგს: ,,პროფესიული საგამანათლებლო პროგრამების განხორციელებისთვის საჭირო მატერიალურ რესურსზე პასუხისმგებელი პირია მატერიალური რესურსების უზრუნველყოფის კოორდინატორი. ადმინისტრაციის თანამშრომელს და პროგრამის ხელმძღვანელს, პროფესიული განათლების მასწავლებელს საქმიანობისათვის ან/და სწავლებისათვის აუცილებელ მატერიალურ რესურსებს შესაბამის მიღება-ჩაბარების ან სხვა წერილობითი აქტით გადასცემს მატერიალური რესურსების უზრუნველყოფის კოორდინატორი, რომლებიც პასუხისმგებელნი არიან გადაცემული მატერიალური რესურსების მიზნობრივად, დანიშნულებისამებრ გამოყენებაზე და მის სწორ ექსპლუატაციაზე.“ აქედან გამომდინარე, დაწესებულების მიერ მისივე მარეგულირებელი წესის დარღვევის ფაქტი არ

ფიქსირდება და ამავე დროს, კოლეჯის ადმინისტრაცია უფლებამოსილია თავად დაადგინოს კოლეჯის მატერიალური რესურსების მართვის წესები და შემდგომში იხელმძღვანელოს მათი დაცვით. ავტორიზაციის ექსპერტთა ვიზიტის ფარგლებში გადამოწმდა პროფესიული განათლების მასწავლებლების კომპეტენციის დამადასტურებელი დოკუმენტაცია, ჩატარდა მათთან ინტერვიუები და არცერთი შეუსაბამობის ფაქტი არ გამოვლენილა, რაც შეეხება, სხვა პირის მიერ სხვის ნაცვლად მოდულების განხორციელებას, ვიზიტის ფარგლებში მისი გადამოწმების შესაძლებლობა არ იყო, თუმცა, ინტერვიუს ფარგლებში პროფესიულ მასწავლებელთა მიერ მსგავსი ფაქტი არ დადასტურებულა. დუალური სწავლების ყველა ობიექტი, რომელიც მითითებული იყო მცხეთის რაიონის სოფ. წინამძღვრიანთკარში მონიტორინგის ფარგლებში განსახილველი პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების დოკუმენტაციაში, ფუნქციონირებს და მათში გადანაწილებულია პროფესიული სტუდენტები. ამგვარად, საჩივარში მითითებული ფაქტი თითქოს დუალური სწავლების ობიექტები ლიკვიდირებულია ან უფუნქციოა, ჩვენი ადმინისტრაციული წარმოების ფარგლებში არ დადასტურდა. საჩივარში დაფიქსირებულია ფაქტი, რომ ტრენინგზე დახარჯული საათები მასწავლებელს არ აუნაზღაურდა, რაც კოლეჯის ადმინისტრაციის მიერ დადადასტურდა, რომ ნამდვილად არ ანაზღაურებულა და გაგვენმარტა, რომ მასწავლებელთა ტრენინგი ნებაყოფლობითია და კოლეჯის ბიუჯეტით იგი, როგორც წესი, არ ნაზღაურდება.

წინა ვიზიტის ფარგლებში გაცემული რეკომენდაციების შესრულების შეფასება და აღწერა
შესაბამისობის რეკომენდაციები:
ინდიკატორი 4.1.1.1 მეტწილადაა დაკმაყოფილებული, მოქმედი სტრუქტურული ერთეულების/პირების ფუნქციები რიგ შემთხვევებში საჭიროებს დაზუსტებას, კერძოდ: - საქმისმწარმოებლის პოზიციისათვის ერთ-ერთ საკვალიფიკაციო მოთხოვნად გაწერილია „უმაღლესი განათლება ან/და სერტიფიცირება“, სასურველია კოლეჯმა, დააკონკრეტოს რას გულისხმობს სერტიფიცირებაში, რადგან გრადაცია უმაღლეს განათლებასა და სერტიფიცირებას შორის საკმაოდ დიდია, მით უმეტეს, რომ კვალიფიკაციის ველში მოთხოვნილია ფილოლოგია, სამართალმცოდნეობა, ან/და ოფისის მენეჯერის, საოფისე საქმის სპეციალობა. ფილოლოგიის, სამართალმცოდნეობის უმაღლესი განათლების ფლობა არ გულისხმობს საქმისწარმოების საკითხების ცოდნას. შესაბამისად, რეკომენდებულია კოლეჯმა დააზუსტოს პერსონალის საკვალიფიკაციო მოთხოვნები; - რიგი პოზიციების შემთხვევაში, კოლეჯის მიერ დადგენილი საკვალიფიკაციო მოთხოვნები, შეიძლებოდა იმგვარად განსაზღვრულიყო, რომ კოლეჯს შეძლებოდა შესაბამისი კომპეტენციის კადრების აყვანა, მაგალითად: დამლაგებლის/მძღოლის საკვალიფიკაციო მოთხოვნად მითითებულია პროფესიული ან/და სრული ზოგადი განათლება, ხოლო კოლეჯის ერთ-ერთი მძღოლი ფლობს საბაზო (არასრული საშუალო) განათლებას, რის გამოც ის ვერ აკმაყოფილებს საკვალიფიკაციო მოთხოვნას; - ფუნქცია-მოვალეობების მიხედვით რიგ შემთხვევაში არასწორადაა გაწერილი ანგარიშგების კომპონენტიც, მაგალითად, მძღოლი ანგარიშგებას ახდენს დირექტორის წინაშე, მაშინ, როდესაც მძღოლის უშუალო ხელმძღვანელი სამეურნეო მართვის მენეჯერია. მძღოლის ერთ-ერთ ფუნქციად კომპეტენციის ფარგლებში შემოსული კორესპონდენციის განხილვა და შესაბამისი პასუხის მომზადებაა. კოლეჯის დირექტორის 2020 წლის 29 მაისის №04-78 ბრძანებით (ბოლო ცვლილება განხორციელებულია 2022 წლის 9 მარტს, ბრძანება №04- 55) დამტკიცებული „კოლეჯის შესაბამისობის უზრუნველყოფის გეგმის“ ერთ-ერთ აქტივობად განსაზღვრულია თანამშრომელთა საკვალიფიკაციო მოთხოვნების, სამუშაო აღწერილობების და ფუნქცია მოვალეობების გადახედვა/დარეგულირება, აქტივობის შესრულების ვადად განსაზღვრულია 2022 წლის 30 ივნისი - რეკომენდაცია შესრულებულია.

ინდიკატორი 4.1.1.3 მეტწილადაა დაკმაყოფილებული, მოქმედი ხარისხის უზრუნველყოფაზე პასუხისმგებელი სტრუქტურული ერთეულების/პირების ფუნქციებში ინტერესთა კონფლიქტის აღმოფხვრის მიზნით, დაწესებულებამ უნდა გადახედოს შიდა მარეგულირებელ

აქტს - „პროფესიულ სტუდენტთა ზღვრული ოდენობის განსაზღვრის მეთოდოლოგიას“ და დოკუმენტის 3.9 მუხლის დებულებები მოიყვანოს ავტორიზაციის სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობაში. კერძოდ, კოლეჯის დირექტორის 2019 წლის 11 იანვრის N04-03 ბრძანებით დამტკიცებული ,,პროფესიულ სტუდენტთა ზღვრული რაოდენობის განსაზღვრის წესის 3.9 მუხლში მოცემულია შემდეგი ჩანაწერი - „თითოეულ პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამაზე სტუდენტთა ზღვრული რაოდენობას წერილობითი სახით ასაბუთებს კოლეჯის ხარისხის მართვის მენეჯერი და დაურთავს კოლეჯის დირექტორისთვის დასამტკიცებლად წარდგენილ პროგრამის პროექტს“, ვინაიდან ხარისხის უზრუნველყოფის მიზნით თავად პროცესი ექვემდებარება მონიტორინგს, პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამაზე სტუდენტთა ზღვრულ რაოდენობას წერილობითი სახით ასაბუთებს კოლეჯის ხარისხის მართვის მენეჯერი, წარმოადგენს ინტერესთა კონფილიქტს, შესაბამისად მოცემული დებულება წინააღმდეგობაშია 4.1.1.3 სტანდარტის მოთხოვნებთან. მოცემული აქტივობისათვის კოლეჯის დირექტორის 2020 წლის 29 მაისის №04-78 ბრძანებით (ბოლო ცვლილება განხორციელებულია 2022 წლის 9 მარტს, ბრძანება №04-55) დამტკიცებული „კოლეჯის შესაბამისობის უზრუნველყოფის გეგმის“ ერთ-ერთ აქტივობად განსაზღვრულია კოლეჯის მარეგულირებელი დოკუმენტების გადახედვა/გაუმჯობესება/ახალის შექმნა, აქტივობის შესრულების ვადად განსაზღვრულია 2022 წლის 30 ივნისი - რეკომენდაცია შესრულებულია.

ინდიკატორი 4.1.2.3 მეტწილადაა დაკმაყოფილებული, პერსონალის ნაწილის კვალიფიკაცია არ შეესაბამება დაკავებულ თანამდებობას, კერძოდ: - ლოჯისტიკის სპეციალისტის კვალიფიკაცია არ შეესაბამება კოლეჯში მოქმედი რეგულაციით განსაზღვრულ მოთხოვნებს, რომლის მიხედვით, ამ პოზიციაზე დასაქმებული პირის კვალიფიკაცია უნდა იყოს საბუნებისმეტყველო, ფინანსების, ეკონომიკური ან/და ბიზნესადმინისტრირების, ლოჯისტიკის მიმართულებით, რეალურად კი კოლეჯში დასაქმებულ პირს აქვს საერთაშორისო ურთიერთობების კვალიფიკაცია; - შესყიდვების სპეციალისტის, რეესტრის წარმოების სპეციალისტს, კოლეჯის სამეურნეო მართვის მენეჯერს, სასწავლო საწარმოო პრაქტიკის მენეჯერს პირადი საქმეებით არ უდასტურდებათ სამსახურში აყვანის მომენტისათვის სამუშაო გამოცდილების არსებობა დაწესებულების მიერ განსაზღვრული ოდენობით; - ინკლუზიური პროფესიული განათლების სპეციალისტს უნდა ჰქონდეს ბაკალავრის აკადემიური ხარისხი, რეალურად, კი ამ პოზიციაზე დასაქმებული პირი ჯერ სტუდენტია. აღნიშნული საკითხის მოგვარების მიზნებისათვის, კოლეჯში ექსპერტთა ვიზიტის პერიოდში დირექტორის 2022 წლის 16 ივნისის №02-109 ბრძანებით დანიშნულ იქნა ახალი თანამშრომელი, რომელსაც უდასტუდება სოციალურ მეცნიერებათა ბაკალავრის ხარისხი ფსიქოლოგიაში, წარმოდგენილია ინკლუზიური განათლების მიმართულებით ტრენინგების გავლის დოკუმენტები. მოცემული პოზიციისათვის დაწესებულების მიერ განსაზღვრული საკვალიფიკაციო მოთხოვნები ასევე ითვალისწინებს არანაკლებ 3 წლიან სამუშაო გამოცდილებას, რაც წარმოდგენილი დოკუმენტაციით არ დასტურდება. ინფორმაცია სამუშაო გამოცდილების შესახებ მოცემულია დასაქმებულის მხოლოდ რეზიუმეში; - აღნიშნული დოკუმენტის მიხედვით, ზოგიერთი პოზიციის (მაგალითად, დამლაგებელი, დამლაგებელ-დიასახლისი, მძღოლი) საკვალიფიკაციო მოთხოვნად მითითებულია პროფესიული ან/და სრული ზოგადი განათლება. კოლეჯში დასაქმებულ ერთ-ერთ მძღოლს მხოლოდ უდასტურდება საბაზო (არასრული საშუალო) განათლება; - არ უდასტურდება კვალიფიკაცია შრომის უსაფრთხოების სპეციალისტს, რომელსაც კანონმდებლობით დადგენილი წესით გავლილი უნდა ჰქონდეს შრომის უსაფრთხოების აკრედიტებული პროგრამა. აღნიშნული პრობლემის აღმოფხვრის მიზნით, კოლეჯის დირექტორის ბრძანებით განხორციელდა საკადრო ცვლილება და კოლეჯის 2022 წლის 14 ივნისის №02-105 ბრძანებით კოლეჯის შრომის უსაფრთხოების პოზიციაზე დანიშნულ იქნა ამავე კოლეჯის სხვა პოზიციაზე დასაქმებული პირი, რომელსაც უდასტურდება შრომის უსაფრთხოების შესახებ საქართველოს ორგანული კანონის მიხედვით განსაზღვრული მოთხოვნები. დაწესებულებას რიგ შემთხვევებში გაწერილი აქვს მაღალი საკვალიფიკაციო

მოთხოვნები, უმჯობესი იქნება აღნიშნული შეფასდეს რეალისტურად და მოვიდეს პოზიციის შინაარსთან შესაბამისობაში. თუმცა, კოლეჯის დირექტორის 2020 წლის 29 მაისის №04-78 ბრძანებით (ბოლო ცვლილება განხორციელებულია 2022 წლის 9 მარტს, ბრძანება №04-55) დამტკიცებულია „კოლეჯის შესაბამისობის უზრუნველყოფის გეგმა“, რომლის ერთ-ერთ აქტივობად განსაზღვრულია ავტორიზაციის მეოთხე სტანდარტის სრულად დაკმაყოფილება, აღნიშნული აქტივობას აქვს რამდენიმე ქვეაქტივობა, რომელთაგან ერთი ეხება თანამშრომელთა საკვალიფიკაციო მოთხოვნების, სამუშაო აღწერილობების და ფუნქცია მოვალეობების გადახედვა/დარეგულირებას, ქვეაქტივობის შესრულების ვადად განსაზღვრულია 2022 წლის 30 ივნისი - რეკომენდაცია შესრულებულია.

ინდიკატორი 4.1.2.2 მეტწილადაა დაკმაყოფილებული, დაწესებულების პერსონალის შერჩევის პოლიტიკა და პროცედურები ვერ უზრუნველყოფს პოზიციის შესაბამისი კვალიფიკაციის კადრების მოზიდვასა და დასაქმებას ობიექტურობის და გამჭვირვალობის პრინციპის დაცვით, თუმცა მიმდინარე წლის 26 აგვისტოს სსიპ განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის MES 6 22 0000950922 კორესპოდენციით მოგვეწოდა კოლეჯის არგუმენტირებული პოზიცია, კოლეჯის დირექტორის 2022 წლის 25 აგვისტოს N04- 143 ბრძანებით განხორციელებული ცვლილების საფუძველზე დამტკიცებული ავტორიზაციის სტანდარტებთან კოლეჯის შესაბამისობის გეგმა, რომლის მე-3 აქტივობა გულისხმობს „პერსონალის შერჩევის პოლიტიკა და პროცედურები უზრუნველყოფს პოზიციის შესაბამისი კვალიფიკაციის კადრების მოზიდვასა და დასაქმებას ობიექტურობის და გამჭვირვალობის პრინციპის დაცვით“. აქტივობის ფარგლებში კოლეჯს განსაზღვრული აქვს 5 ქვეაქტივობა, მათ შორის - "1. კოლეჯმა უზრუნველყოს დასაქმებული კადრების კვალიფიკაციის ამაღლება (სტაჟირებების გზით). (ინდიკატორი 4.1.2.2) 2. კოლეჯი გადახედავს და ცვილელბას შეიტანს კადრების შერჩევის მარეგულირებელ დოკუმენტში. (ინდიკატორი 4.1.2.2), 3. კოლეჯის ბაზაზე სტაჟირებების გამოცხადება და კადრების მომზადება (ინდიკატორი 4.1.2.2); 4. კოლეჯმა უზრუნველყოს დასაქმებული კადრების ტრანსპორტირება (ინდიკატორი 4.1.2.2); 5. კოლეჯის ბაზაზე მოხდეს საკვები ობიექტის რეაბილიტაცია. (ინდიკატორი 4.1.2.2) 6. ადამიანური რესურსების (HR) და აგრარული მიმართულების მენეჯერის შტატის დამატება (ინდიკატორი 4.1.2.2)". აქტივობათა შესრულებისათვის კოლეჯის მიერ განსაზღვრულია 6 თვე. ექსპერტთა ჯგუფი შესაძლებლად მიიჩნევს 4.1.2.2 ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის უზრუნველყოფის ღონისძიებათა განხორციელებას კოლეჯის მიერ განსაზღვრულ დროში, მათ შორის ძირითად ღონისძიებად მიჩნეულია პერსონალის შერჩევის პროცედურების გადახედვა და შესაბამისი ცვლილებების განხორციელება. რეკომენდაცია შესრულებულია.

ინდიკატორი 4.2.1.1 მეტწილადაა დაკმაყოფილებული, კოლეჯს არ განუხორციელებია პერსონალის საქმიანობის შეფასება და პროფესიული განვითარების საჭიროებათა კვლევა. რეკომენდაცია შესრულებულია.

ინდიკატორი 5.1.1.5 მეტწილადაა დაკმაყოფილებული, დაწესებულებაში მოქმედებს კანონმდებლობით დადგენილი შრომის უსაფრთხოების უზრუნველყოფის მექანიზმები, თუმცა დაწესებულებაში პერსონალის რაოდენობის გათვალისწინებით, კანონმდებლობის შესაბამისად, უნდა ჰყავდეს არანაკლებ 2 შრომის უსაფრთხოების სპეციალისტი, რისთვისაც კოლეჯის დირექტორის 2020 წლის 29 მაისის №04-78 ბრძანებით (ბოლო ცვლილება განხორციელებულია 2022 წლის 9 მარტს, ბრძანება №04-55) დამტკიცებულია „კოლეჯის შესაბამისობის უზრუნველყოფის გეგმა“, რომლის ერთ-ერთ აქტივობად განსაზღვრულია მატერიალური, ფინანსური რესურსის გაუმჯობესება, უსაფრთხოების ნორმების დაცვის

გაუმჯობესება, ხოლო ქვეატივობად მოცემულია შრომის უსაფრთხოების სპეციალისტის გადამზადება, აქტივობის შესრულების ვადად განსაზღვრულია 2022 წლის 30 აგვისტო - რეკომენდაცია შესრულებულია.

ინდიკატორი 5.1.2.3 მეტწილადაა დაკმაყოფილებული, დაწესებულებაში მოქმედებს საგანგებო სიტუაციების მართვის მექანიზმი, თუმცა საგანგებო სიტუაციების მართვის გეგმა შეთანხმებული არ არის კომპეტენტურ ორგანოსთან. აღნიშნულთან დაკავშირებით, კოლეჯმა წარმოადგინა წერილი, რის მიხედვითაც დასტურდება, რომ კოლეჯის მოთხოვნა საგანგებო სიტუაციების მართვის გეგმა შეთანხმებული იყოს კომპეტენტურ ორგანოსთან, საგანგებო სიტუაციების მართვის სამსახურში რეგისტრირებულია შემდეგი ნომრით №1513980; 07.06.2022წ. ამასთან, კოლეჯის დირექტორის 2020 წლის 29 მაისის №04-78 ბრძანებით (ბოლო ცვლილება განხორციელებულია 2022 წლის 9 მარტს, ბრძანება №04-55) დამტკიცებულია „კოლეჯის შესაბამისობის უზრუნველყოფის გეგმა“, რომლის ერთ-ერთ აქტივობად განსაზღვრულია მატერიალური, ფინანსური რესურსის გაუმჯობესება, უსაფრთხოების ნორმების დაცვის გაუმჯობესება, ხოლო ქვეატივობად მოცემულია უსაფრთხოების ნორმების გაუმჯობესება, აქტივობის შესრულების ვადად განსაზღვრულია 2022 წლის 30 აგვისტო - რეკომენდაცია შესრულებულია.

მეორე სტანდარტი - პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამა „ელექტროობა“
2.2.1.1. - დაწესებულებამ „შესაბამისობის უზრუნველყოფის გეგმით“ დადგენილ ვადებში უზრუნველყოს დაწესებულების მფლობელობაში არსებულ შესაბამისი სასწავლო გარემო მატერიალური რესურსებით, კერძოდ, C-სასწავლო გარემოში განთავსდეს 220/380 V კარადა, სადაც პრაქტიკული მეცადინეობის დროს უნდა მოხდეს ძაბვის დაერთება, განხორციელდეს სასწავლო გარემოს CAD პროგრამით უზრუნველყოფა და დაკონკრეტდეს პარტნიორ კომპანიასთან გაფორმებული ხელშეკრულების შინაარსი სტანდარტის მოთხოვნების შესაბამისად.
2.4.1.3. - დაწესებულებამ „შესაბამისობის უზრუნველყოფის გეგმით“ დადგენილ ვადებში უზრუნველყოს სწავლების თანამედროვე მეთოდებისა და დარგის შესაბამისი ტექნოლოგიების გამოყენება, კერძოდ, C-სასწავლო გარემოში განთავსდეს 220/380 V კარადა, სადაც პრაქტიკული მეცადინეობის დროს უნდა მოხდეს ძაბვის დაერთება, განხორციელდეს სასწავლო გარემოს CAD პროგრამით უზრუნველყოფა რეკომენდაცია შესრულებულია.

მეორე სტანდარტი - პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამა „მეხილეობა“
2.4.1.3. დაწესებულებამ „შესაბამისობის უზრუნველყოფის გეგმით“ დადგენილ ვადებში უზრუნველყოს უნიკალური ხეხილის ბაღის მოვლა - პატრონობა. რეკომენდაცია შესრულებულია.

პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამა - “მებაღეობა”
2.2 კომპონენტი შეფასებულია როგორც „მეტწილი შესაბამისობა“, ვინაიდან ინდიკატორი 2.2.1.1 შეფასდა მეტწილი შესაბამისობით, პროგრამით გათვალისწინებული სწავლის შედეგების მიღწევისათვის არ არის უზრუნველყოფილი სასწავლო საწარმოს მფლობელობაში არსებული მატერიალური რესურსით, პროფესიულ სტუდენტთა ზღვრული რაოდენობის გათვალისწინებით ზემოაღნიშნული ინდიკატორის უარყოფითად შეფასების გარემოებას წარმოადგენს: დუალური მიდგომით სწავლებისათვის კოლეჯსა და სასწავლო საწარმოებს შორის გაფორმებულ ხელშეკრულებებში არის შემდეგი შეუსაბამობები:
- ერთ ხელშეკრულებას (ი/მ ნიკოლოზ სინაძე) არ ახლავს სასწავლო გეგმა, მოდულების და სწავლის შედეგების ჩამონათვალი, საჭირო რესურსების ნუსხა;
- დანარჩენ ორ ხელშეკრულებაში აკლია 1 მოდულის (კერძოდ, მცენარეთა მავნე ორგანიზმების იდენტიფიცირების პრაქტიკული სწავლის შედეგი). ხელშეკრულებებს, რომელთაც ახლავთ

მატერიალური რესურსის ჩამონათვალი, ფორმაში - „აღნიშვნა საწარმოში არსებობის შესახებ“, რიგი მატერიალური აღჭურვილება აღნიშნულია როგორც „არ არის საწარმოში“, ან არ ფიქსირდება აღნიშვნა, მათი არსებობის შესახებ. კოლეჯის წარმომადგენელთან ინტერვიურებისას გაირკვა, რომ აღნიშვნის არარსებობა ან უარყოფითი აღნიშვნა ნიშნავს, რომ ეს რესურსი სასწავლო საწარმოში არ არსებობს. შესაბამისად:
1. საქართველოს დეკორატიული და ტყის შემქმნელი ენდემური სახეობების მწარმოებელთა ასოციაციაში ხელშეკრულების მიხედვით არ დასტურდება შემდეგი ინვენტარის არსებობა: - ბენზინისძრავიანი ხერხი, ბენზინისძრავიანი ბორდიურის მაკრატელი, კომპოსტის დასამზადებელი კონტეინერი, მენზურა, მექანიკური სატკეპნი მოწყობილობა, მცენარის დასარგავი ბურღი, სამყნობი აპარატი, სამყნობი დანა, უთო სარწყავი მილებისთვის, სხვადასხვა ზომის საცერი.
2. ფიზიკური პირზე, სასწავლო საწარმოში ხელშეკრულების მიხედვით არ დასტურდება შემდეგი ინვენტარის არსებობა: - ბენზინისძრავიანი ხერხი, მფრქვევანა 180 (რაოდენობა შეადგენს ორს, თუმცა საწარმოში მითიტებულია მხოლოდ ერთის არსებობა), მფრქვევანა 360, PH მეტრი, ბუჩქის საკრეჭი მაკრატელი, კომპოსტის დასამზადებელი კონტეინერი, კონტეინერი (ნედლეულისთვის, ნარჩენებისთვის), ლითონის კარკასი ცოცხალი კედლისთვის, ლუპა, მანძილმზომი, მარაოსებური ფოცხი, მექანიკური სატკეპნი მოწყობილობა, მცენარის დასარგავი ბურღი, ნიადგის საზომი აპარატი, რეზინის მილი, საბაღე ნარჩენების კონტეინერი, საზომი ლენტი 20მ, 50 მ, სამყნობი აპარატი, სამყნობი დანა, სარგავი კონუსი, სარეველას ამოსაღები, სარწყავი პისტოლეტი, სასწორი, სასხურებელი, სატკეპნი მოწყობილობა, საფხვიერებელი, საცერი (3 დან 1 ცალია საწარმოში), საჰაერო მაკრატელი, უთო სარწყავი მილებისთვის, ურიკა (2-დან 1 არის), ფოცხი (4-დან არის 1), შესასხურებელი ზურგის აპარატი მექანიკური, ჯამები თესლებისთვის, ჰაერის ტენიანობის საზომი, ფოცხი (2-დან 1 არის), წერაქვი (2-დან 1 არის), ხელის ნიჩაბი(5-დან 3, ხერხი (5-დან 2).
3.სასწავლო საწარმოსთან გაფორმებულ ხელშეკრულებას არ ახლავს ინვენტარის ნუსხა. რეკომენდაცია შესრულებულია.

პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამა - აღმზრდელი
2.2 კომპონენტი შეფასებულია როგორც „მეტწილი შესაბამისობა“, ვინაიდან ინდიკატორი 2.2.1.4 შეფასდა მეტწილი შესაბამისობით, საგანმანათლებლო პროგრამას არ ჰყავს დაწესებულების მიერ განსაზღვრული, შესაბამისი დარგობრივი კომპეტენციის მქონე ხელმძღვანელი.

ზემოაღნიშნული ინდიკატორის უარყოფითად შეფასების გარემოებას წარმოადგენს:
კოლეჯის დირექტორის 2020 წლის 30 აპრილის N04-65 ბრძანებით დამტკიცებული „სსიპ ილია წინამძღვრიშვილის სახელობის კოლეჯში საშტატო ნუსხითა და შრომითი ხელშეკრულებით გათვალისწინებულ თანამშრომელთა პოზიციების დასაკავებლად საკვალიფიკაციო მოთხოვნები და უფლებამოსილებები/უფლებამოვალეობების“ დოკუმენტის 46-ე მუხლის 1-ლი პუნქტის თანახმად, პროგრამის ხელმძღვანელს კვალიფიკაცია/კომპეტენციასთან ერთად უნდა უდასტურდებოდეს დარგში არანაკლებ ერთწლიანი სამუშაო გამოცდილება, რაც ვერ დადასტურდა პროგრამის ხელმძღვანელის პირად საქმეში წარმოდგენილი დოკუმენტაციით.რეკომენდაცია შესრულებულია.

2.4 კომპონენტი შეფასებულია როგორც „მეტწილი შესაბამისობა“, ვინაიდან ინდიკატორი 2.4.2.1 შეფასდა მეტწილი შესაბამისობით, რადგან პროგრამის მიზნებისთვის გამოყენებული შეფასების სისტემა არ არის ვალიდური.

ზემოაღნიშნული ინდიკატორის უარყოფითად შეფასების გარემოებას წარმოადგენს:
ექსპერტთა ჯგუფის მიერ პროფესიულ სტუდენტთა პორტფოლიოების შერჩევით შემოწმების შედეგად აღმოჩნდა, რომ რიგ შემთხვევებში შეფასების ინსტრუმენტები საჭიროებს

გაუმჯობესებას, რიგ შემთხვევებში საჭიროა შეფასების საკითხების დაზუსტება, შინაარსობრივი სრულყოფა, შეფასების მტიცებულებების სანდოობის უზრუნველყოფა. მაგალითად, მოდულის ,,ჯანმრთელობა და უსაფრთხოება“ შეფასების ინსტრუმენტში შეფასების მიმართულება არ შეესაბამება მოდულით განსაზღვრულ სწავლის შედეგის შეფასების მიმართულებას. მოდულში (0211714) ყველა (5) სწავლის შედეგის შეფასების მიმართულება არის პრაქტიკული დავალება და შეფასების ინსტრუმენტში კი გამოყენებულია დახურული კითხვებით შექმნილი ტესტი. ასევე დისტრაქტორები არაერთგვაროვანია და იძლევა საშუალებას სტუდენტმა ამოიცნოს სწორი პასუხი. ექსპერტების მიერ შესწავლილი იქნა ამავე შეფასების ინსტრუმენტის ვალიდაციის კითხვარი, სადაც შეფასების ინსტრუმენტის ჩეკლისტში მითითებულია სხვა ტიპის შენიშვნა და აღნიშნულია, რომ შეფასების მიმართულება შეესაბამება მოდულში განსაზღვრულ სწავლის შედეგის შეფასების მიმართულებას. რეკომენდაცია შესრულებულია

პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამა - სასმელების წარმოება
2.2 კომპონენტი შეფასებულია როგორც „მეტწილი შესაბამისობა“, ვინაიდან ინდიკატორი 2.2.1.1 შეფასდა მეტწილი შესაბამისისობით, პროგრამით გათვალისწინებული სწავლის შედეგების მიღწევა არასათანდოდაა უზრუნველყოფილი პრაქტიკის ობიექტის მფლობელობაში არსებული მატერიალური რესურსით, პროფესიულ სტუდენტთა ზღვრული რაოდენობის გათვალისწინებით. ზემოაღნიშნული ინდიკატორის უარყოფითად შეფასების გარემოებას წარმოადგენს: ექსპერტთა ჯგუფი გაესაუბრა პრაქტიკის ორი ობიექტის წარმომადგენელს, ერთი ობიექტის წამორმადგენლმა საუბრისას აღნიშნა, რომ ვერ დაუშვებს პროფესიულ სტუდენტებს სასმელების წარმოების პროცესში, ისინი შეძლებენ პროცესის მიმდინარეობის ყურებას ოპერატორის ზედამხედველობის ქვეშ. ექსპერტთა ჯგუფის კითხვაზე, თუ როგორ ხდება პროფესიული სტუდენტების შეფასება, მან აღნიშნა, რომ პროფესიული სტუდენტები აღწერენ წარმოების პროცესს. შესაბამისად, ის სწავლის შედეგები, რაც კოლეჯის მიერ განაწილებულია მოცემულ სასწავლო საწარმოზე, ვერ იქნება მიღწეული. რეკომენდაცია შესრულებულია.

2.4 კომპონენტი შეფასებულია როგორც „მეტწილი შესაბამისობა“, ვინაიდან ინდიკატორი 2.4.1.3 შეფასდა მეტწილად, სასწავლო პროცესში არასათანადოდ გამოყენება სწავლების თანამედროვე მეთოდები და დარგის შესაბამისი ტექნოლოგიები. რეკომენდაცია შესრულებულია.

პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამა - „ვეტერინარია“
ექსპერტის განმარტებით, დაწესებულების გადაწყვეტილება განახორციელოს ვეტერინარიის პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამა რელევანტურია, წინააღმდეგობაში არ მოდის მისიასა და სტრატეგიული განვითარების გეგმასთან, აღსანიშნავია, რომ წარმოდგენილ მიზანშეწონილობის დოკუმენტში მოხსენიებულია დაწესებულების მიერ ჩატარებული კვლევები და კვლევის შედეგად გამოკვეთილი გარემოებები - დარგის მიმართულების შრომის ბაზრის მოთხოვნების დასაკმაყოფილებლად.პსდ საგანმანათლებლო პროგრამისთვის პროფესიულ სტუდენტთა ზღვრულ ოდენობას განსაზღვრავს შესაბამისი მეთოდოლოგიის მიხედვით, საგანმანათლებლო პროგრამით გათვალისწინებული რესურსები, მათ შორის საგანმანათლებლო რესურსი, უზრუნველყოფს პროფესიული სტუდენტის მიერ პროგრამით გათვალისწინებული სწავლის შედეგების მიღწევას.

ექსპერტის განცხადებით, პროგრამით გათვალისწინებული სწავლის შედეგების მიღწევა უზრუნველყოფილია დაწესებულების მფლობელობაში არსებული მატერიალური რესურსით, პროფესიულ სტუდენტთა ზღვრული რაოდენობის გათვალისწინებით სსიპ „ილია წინამძრვრიშვილის სახელობის კოლეჯს“ პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის „ვეტერინარია“ -მიზნებისათვის აქვს: მცხეთის რაიონის სოფ. წინამძღვრიანთკარში არსებული

შესაბამისი სასწავლო A და B გარემოები, პროგრამის დუალური მიდგომით განხორციელებისთვის გაფორმებული აქვს ხელშეკრულებები პრაქტიკის ობიექტებთან, სადაც მოწყობილია C გარემო და ტექნიკური აღჭურვილობით უზრუნველყოფილი სასწავლო ლაბორატორია; მრავალფეროვანი და ხელმისაწვდომი საგანმანათლებლო რესურსი, რაც საგანმანათლებლო პროგრამით განსაზღვრული სწავლის შედეგების მიღწევის შესაძლებლობას იძლევა; ექსპერტთა ვიზიტის ფარგლებში გადამოწმდა კოლეჯის მფლობელობაში საგანმანათლებლო პროგრამის „ვეტერინარია“ განხორციელებისათვის საჭირო მატერიალურ - ტექნიკური რესურსი, რომელიც შესაბამისობაშია საგანმანათლებლო პროგრამაში განსაზღვრულ მატერიალურ - ტექნიკური რესურსის ჩამონათვალთან. ვიზუალური დათვალიერებით დადასტურდა, რომ პროგრამით გათვალისწინებული სწავლის შედეგების მიღწევა უზრუნველყოფილია დაწესებულების მფლობელობაში არსებული მატერიალური რესურსით კოლეჯის მიერ განსაზღვრული პროფესიულ სტუდენტთა ზღვრული რაოდენობისთვის, რისთვისაც კოლეჯში მოწყობილია A და B გარემოები, რომელიც აღჭურვილია საჭირო სასწავლო ინვენტარითა და კომპიუტერული ტექნიკით (კომბაინები, პროექტორები, კომპიუტერები). პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამისთვის „ვეტერინარია“ განსაზღვრული პროფესიული განათლების მასწავლებელთა რაოდენობა არის - 24 განმახორციელებელი, მათ შორის 2 დარგის სპეციალისტი. საგანმანათლებლო პროგრამაში მითითებული საგანმანათლებლო რესურსი ხელმისაწვდომია ელექტრონული სახით ან დაწესებულების ბიბლიოთეკაში მატერიალური სახით და გამოიყენება სასწავლო პროცესში. „სასწავლო პროცესის მარეგულირებელი წესის“ მე-14 მუხლით კოლეჯი ახორციელებს ინკუზიური განათლების დანერგვას, რაც გულისხმოს შეზღუდული შესაძლებლობის (შშმ) და სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების მქონე (სსსმ) სტუდენტთა ჩართვას სასწავლო პროცესში და მათთვის შესაბამისი სასწავლო გარემოს შექმნის უზრუნველყოფას, სასწავლო პროცესი მიმდინარეობს უსაფრთხო სასწავლო/სამუშაო გარემოში, პროგრამის სპეციფიკის გათვალისწინებით.

პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამა- „რძის პროდუქტების წარმოება“
ექსპერტის განცხადებით,დაწესებულების გადაწყვეტილება განახორციელოს ვეტერინარიის პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამა რელევანტურია, წინააღმდეგობაში არ მოდის მისიასა და სტრატეგიული განვითარების გეგმასთან, აღსანიშნავია, რომ წარმოდგენილ მიზანშეწონილობის დოკუმენტში მოხსენიებულია დაწესებულების მიერ ჩატარებული კვლევები და კვლევის შედეგად გამოკვეთილი გარემოებები - დარგის მიმართულების შრომის ბაზრის მოთხოვნების დასაკმაყოფილებლად, რადგან საგანმანათლებლო პროგრამაზე დაშვების წინაპირობები და პროცედურები უზრუნველყოფს პროგრამაზე ისეთ პირთა დაშვებას, რომელთა წინარე ცოდნა, უნარები ან/და გამოცდილება უზრუნველყოფს პროგრამის განხორციელების ვადაში პროგრამით განსაზღვრული სწავლის შედეგების მიღწევას; დაწესებულებას შეიმუშავებული აქვს „პროგრამაზე მოთხოვნილი სტუდენტთა ზღვრული რაოდენობის დასაბუთება“ „რძის პროდუქტების წარმოების“ პროგრამისთვის. კონტინგენტის დაგეგმვისას ამოსავალი ძირითადად პროგრამის განსახორციელებლად საჭირო ადამიანური, მატერიალური და ფინანსური რესურსებია. გათვალისწინებულია, რომ ერთიდაიგივე რესურსი შესაძლებელია სხვადასხვა პროგრამის მიზნებისათვის იქნას გამოყენებული - ასეთია უცხო ენის კაბინეტი 15 სტუდენტისათვის და B სასწავლო გარემო, სადაც არის ადგილი 30 პროფესიული სტუდენტისათვის (ოთახი N213 და N210, თითოეულში 15 ადგილი), გამოყოფილია A სასწავლო გარემო, სადაც არის სამუშაო ადგილი ერთდროულად 15 პროფესიული სტუდენტისათვის, პროგრამის ფარგლებში კოლეჯს გაფორმებული აქვს ურთიერთთანამშრომლობის მემორანდუმები სამ რძის გადამამუსავებელ კომპანიასთან. ესენია: შპს „ქართული რძის პროდუქტები“ (თბილისი, მარნეულის ქუჩა N43), შპს „ჩვენი ფერმერი“ (თბილისი, ქავთარაძის N11) და შპს „რესპუბლიკა“ (თბილისი, ორხევი, ახვლედიანის ქუჩა N26ა), რომელებიც თითოეული უზრუნველყოფს 15 პროფესიული სტუდენტის პრაქტიკულ

სწავლებას. კოლეჯის მიერ შემენილი მატერიალურ-ტექნიკური აღჭურვილობა გათვლილია 15 პროფესიულ სტუდენტზე, პროგრამის ფარგლებში შრომითი ხელშეკრულებები გაფორმებულია 31 პროფესიულ მასწავლებელთან. ყველა ზემოთ ჩამოთვლილი არგუმენტების გათვალისწინებით, კოლეჯს შეუძლია ერთდროულად 15 პროფესიული სტუდენტის მიღება პროგრამაზე. საგანმანათლებლო პროგრამით გათვალისწინებული რესურსები, მათ შორის საგანმანათლებლო რესურსი, უზრუნველყოფს პროფესიული სტუდენტის მიერ პროგრამით გათვალისწინებული სწავლის შედეგების მიღწევას.პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის - „რძის პროდუქტების წარმოება“ განხორციელებაში წინამძღვრიანთკარის მისამართზე სულ ჩართულია 31 პროფესიული განათლების მასწავლებელი, მათ შორის 29 არის ზოგადი მოდულების განმახორციელებელი, 3 ახორციელებს პროფესიულ მოდულებს.„სასწავლო პროცესის მარეგულირებელი წესის“ მე-14 მუხლით კოლეჯი ახორციელებს ინკუზიური განათლების დანერგვას, რაც გულისხმოს შეზღუდული შესაძლებლობის (შშმ) და სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების მქონე (სსსმ) სტუდენტთა ჩართვას სასწავლო პროცესში და მათთვის შესაბამისი სასწავლო გარემოს შექმნის უზრუნველყოფას;

პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამა- „მებაღეობა“
ექსპერტის განცხადებით, დაწესებულების გადაწყვეტილება საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების შესახებ ეფუძნება შესაბამის დასაბუთებას და შეესაბამება დაწესებულების მისიას და სტრატეგიული განვითარების გეგმას. .კოლეჯის დირექტორის 2019 წლის 11 იანვრის N04-03 ბრძანებით დამტკიცებულია ,,პროფესიულ სტუდენტთა ზღვრული რაოდენობის განსაზღვრის წესი'', რის მიხედვითაც პროფესიულ სტუდენტთა ზღვრული რაოდენობის განსაზღვრისას დაწესებულება აფასებს შემდეგ ფაქტორებს: A სასწავლო გარემოში პროფესიულ სტუდენტთა სამუშაო ადგილების რაოდენობა; B სასწავლო გარემოში (კომპიუტერულ კლასში) პროფესიულ სტუდენტთა სამუშაო ადგილების რაოდენობა; C სასწავლო გარემოში პროფესიულ სტუდენტთა სამუშაო ადგილების რაოდენობა; პროფესიული სტუდენტების პრაქტიკის ობიექტზე ყოფნის პერიოდი; პროფესიული პროგრამების პრაქტიკის ხანგრძლივობა; ორ ცვლაში სწავლების შესაძლებლობა; კომბინირებული გარემოს არსებობის შესაძლებლობა, მაგალითად A და B გარემო ან A და C ერთ სივრცეში; სტუდენტთა ჯგუფების რაოდენობა (ერთი ან რამდენიმე პროგრამის ფარგლებში), რომელიც სარგებლობს აღნიშნული სასაწავლო გარემოთი; პროგრამის სასწავლო გეგმის თავისებურებანი; პროგრამის დუალური მიდგომით განხორციელების შესაძლებლობა; სასწავლო გარემოთა მაქსიმალური დატვირთვის ანალიზი.კოლეჯის მიერ წარმოდგენილია პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის პროფესიულ სტუდენტთა ზღვრული რაოდენობის განსაზღვის ანალიზი და დასაბუთება, რის მიხედვითაც:
- A სასწავლო გარემოში არის სამუშაო ადგილი 15 პროფესიული სტუდენტისათვის. გარდა ამისა, უცხოური ენის მოდულისთვის გამოიყენება უცხოური ენის კაბინეტი, სადაც ასევე არის სამუშაო ადგილი 15 პროფესიული სტუდენტისათვის;
- B სასწავლო გარემოში არის სამუშაო ადგილი 30 პროფესიული სტუდენტისათვის (ორი აუდიტორია, (ოთახი N213 და N210, თითოეულში 15 ადგილი);
- C პროგრამის ფარგლებში კოლეჯს გაფორმებული აქვს ურთიერთთანამშრომლობის ხელშეკრულებები სამ ობიექტთან/სასწავლო საწარმო, რომელთაგანაც თითოეული უზრუნველყოფს 3 პროფესიული სტუდენტის პრაქტიკულ სწავლებას დუალური მიდგომით.
- პროგრამის ფარგლებში შრომითი ხელშეკრულებები გაფორმებულია 22 პროფესიულ მასწავლებელთან. დასახელებული ადამიანური და მატერიალური რესურსის გათვალისწინებით, სსიპ - ილია წინამძღვრიშვილის სახელობის კოლეჯს შეუძლია 15 პროფესიული სტუდენტის მიღება მებაღეობის პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამაზე. შესაბამისად, პროგრამაზე პროფესიულ სტუდენტთა ზღვრულ რაოდენობად შესაძლებელია, განისაზღვროს 15 სტუდენტი.

ექსპერტის განცხადებით, საგანმანათლებლო პროგრამით გათვალისწინებული რესურსები, მათ შორის საგანმანათლებლო რესურსი, უზრუნველყოფს პროფესიული სტუდენტის მიერ პროგრამით გათვალისწინებული სწავლის შედეგების მიღწევას.პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის - მებაღეობა განხორციელებაში სულ ჩართულია 22 პროფესიული განათლების მასწავლებელი, მათ შორის 13 არის ზოგადი მოდულების განმახორციელებელი, 9 ახორციელებს პროფესიულ მოდულებს. საგანმანათლებლო პროგრამას ჰყავს დაწესებულების მიერ განსაზღვრული, შესაბამისი დარგობრივი კომპეტენციის მქონე ხელმძღვანელი.„სასწავლო პროცესის მარეგულირებელი წესის“ მე-14 მუხლით კოლეჯი ახორციელებს ინკუზიური განათლების დანერგვას, რაც გულისხმოს შეზღუდული შესაძლებლობის (შშმ) და სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების მქონე (სსსმ) სტუდენტთა ჩართვას სასწავლო პროცესში და მათთვის შესაბამისი სასწავლო გარემოს შექმნის უზრუნველყოფას.

პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამა- „მევენახეობა და მეღვინეობა“
ექსპერტის განმარტებით, დუალური პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის - მევენახეობა და მეღვინეობა, განხორციელებისათვის სსიპ ,,ილია წინამძღვრიშვილის სახელობის კოლეჯი'' არსებობის ვადით, სარგებლობის უფლებით, ფლობს ძირითად სასწავლო ფართს, რომელიც მდებარეობს მცხეთის რაიონში სოფელ წინამძღვრიანთკარში. პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელებისათვის დაწესებულების მიერ შერჩეული სასწავლო გარემო შეადგენს:
- A სასწავლო გარემო - შერჩეულია ერთი აუდიტორია, სადაც განთავსებულია 15 პროფესიული სტუდენტისათვის მაგიდა და სკამი, პროფესიული განათლების მასწავლებლისათვის მაგიდა და სკამი, 1 კომპლექტი კომპიუტერი პროფესიული განათლების მასწავლებლისათვის, დემონსტრირების ციფრული საშუალება - პროექტორი 1 ცალი, დაფა 1 ცალი. აუდიტორიაში თვალსაჩინოებისათვის წარმოდგენილია: ღვინის ბოთლების დასაწყობი თარო, ბოთლების საწრეტი, ქაღალდის ფილტრი და ტუმბო, სხვადასხვა მცირე ზომის მუხის კასრები და ქვევრი, ბოთლებში ღვინის მექანიკური ჩამოსასხმელი, წარმოდგენილია სხვადასხვა სახის პროფესიული ლიტერატურა წიგნების და კატალოგებისა და პოსტერების სახით. ყოველივე ზემოაღნიშნული გამოიყენება სხვადასხვა მოდულის თეორიული სწავლების პროცესში.
- B სასწავლო გარემო - შერჩეულია 2 აუდიტორია, თითოეულში განთავსებულია მაგიდა და სკამი 15 პროფესიული სტუდენტისათვის, მაგიდა და სკამი პროფესიული განათლების მასწავლებლისათვის, 15 კომპლექტი კომპიუტერი პროფესიული სტუდენტებისათვის; 1 კომპლექტი კომპიუტერი პროფესიული განათლების მასწავლებლისათვის, დემონსტრირების ციფრული საშუალება - პროექტორი 1 ცალი, დაფა 1 ცალი, კომბაინი (პრინტერი, სკანერი, ასლგადამღები) 1 ცალი.
- C სასწავლო გარემოში - მარანში წარმოდგენილია ფილტრი, ტუმბო, მუხის კასრი, ღვინის ბოთლში ჩამოსასხმელი მოწყობილობა, ბოთლის საწრეტი, საცობის დამრტყმელი, მექანიკური წნეხი, ყურძნის საჭყლეტი, რამდენიმე უჟანგავი მეტალის კასრი და პოლიმერული მასალისაგან დამზადებული სხვადასხვა ზომის ჭურჭელი. პსდ-ს წარმომადგენლის თქმით აქ მიმდინარეობს ღვინის დაყენება. თუმცა, C გარემო სრულად ვერ შეასრულებს სასწავლო გარემოს ფუნქციას, რადგან არ არის საკმარისი ფართი, თუმცა, საგულისხმოა ის ფაქტი, რომ პროგრამა ხორციელდება დუალური ფორმით, ყველა ის სწავლის შედეგი, რომლის მიღწევისათვისაც აუცილებელია სასწავლო პროცესის განხორციელება C გარემოში, ხორციელდება პრაქტიკის ობიექტებზე, ხოლო დაწესებულების ტერიტორიაზე, მის საკუთრებაში არსებული C გარემო (მარანი) გამოიყენება მხოლოდ დაწესებულების ტერიტორიაზე არსებული ვენახებიდან მოკრეფილი ყურძნის გადამუშავებისათვის, სადაც სტუდენტებს სურვილის შემთხვევაში შესაძლებლობა აქვთ პროგრამის განმახორციელებელის ზედამხედველობის ქვეშ თავად წარმართონ მარანში მიმდინარე პროცესები. დაწესებულების დირექტორმა აღნიშნა და

ვიზუალური დათვალიერებითაც დადასტურდა, რომ მიმდინარეობს დაწესებულების ტერიტორიაზე არებული ისტორიული მარნის აღდგენითი სამუშაოები, რომელშიც აღდგენის შემდეგ განთავსდება ყველა ის მანქანა-დანადგარი და აღჭურვილობა, რაც საჭიროა C სასწავლო გარემოსათვის. დირექტორმა აღნიშნა, რომ მარნის სრულად აღდგენის შემდეგ იგეგმება მისი ჩართვა სასწავლო პროცესში, როგორც C გარემოსი. დაწესებულებას აქვს ქიმიის ლაბორატორია, რომელიც აღჭურვილია ღვინისა და ყურძნისეული წარმოშობის სხვა ალკოჰოლური და უალკოჰოლო სასმელების ზოგიერთი ანალიზის ჩატარებისათვის საჭირო ლაბორატორიული ჭურჭლით, მოწყობილობებითა და ინვენტარით, ლაბორატორია მოწყობილია 15 პროფესიულ სტუდენტზე ინდივიდუალური სამუშაო სივრცით.

ექსპერტის განცხადებით, დუალური პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის - „მევენახეობა და მეღვინეობა“ განხორციელებაში სულ ჩართულია 18 პროფესიული განათლების მასწავლებელი, მათ შორის 11 არის ზოგადი მოდულების, ხოლო 7 - პროფესიული მოდულების განმახორციელებელი პირი. საგანმანათლებლო პროგრამას ჰყავს პსდ-ს მიერ განსაზღვრული, შესაბამისი დარგობრივი კომპეტენციის მქონე ხელმძღვანელი.„სასწავლო პროცესის მარეგულირებელი წესის“ მე-14 მუხლით კოლეჯი ახორციელებს ინკუზიური განათლების დანერგვას, რაც გულისხმოს შეზღუდული შესაძლებლობის (შშმ) და სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების მქონე (სსსმ) სტუდენტთა ჩართვას სასწავლო პროცესში და მათთვის შესაბამისი სასწავლო გარემოს შექმნის უზრუნველყოფას.

პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამა- „კულინარიის ხელოვნება“
ექსპერტის განმარტებით, დაწესებულების გადაწყვეტილება დუალური მიდგომით განახორციელოს კულინარიის ხელოვნების პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამა რელევანტურია, წინააღმდეგობაში არ მოდის მისიასა და სტრატეგიული განვითარების გეგმასთან, აღსანიშნავია, რომ წარმოდგენილ მიზანშეწონილობის დოკუმენტში ასევე მოხსენიებულია დაწესებულების მიერ ჩატარებული კვლევები და კვლევის შედეგად გამოკვეთილი გარემოებები - დარგის მიმართულების შრომის ბაზრის მოთხოვნების დასაკმაყოფილებლად. კულინარიის ხელოვნებისთვის, პროფესიულ სტუდენტთა რაოდენობად განსაზღვრა 15 სტუდენტი, საგანმანათლებლო პროგრამით გათვალისწინებული რესურსები, მათ შორის საგანმანათლებლო რესურსი, უზრუნველყოფს პროფესიული სტუდენტის მიერ პროგრამით გათვალისწინებული სწავლის შედეგების მიღწევას;

ექსპერტთა ვიზიტის ფარგლებში გადამოწმდა კოლეჯის მფლობელობაში საგანმანათლებლო პროგრამის „კულინარიის ხელოვნების“ განხორციელებისათვის საჭირო მატერიალურ - ტექნიკური რესურსი, რომელიც შესაბამისობაშია საგანმანათლებლო პროგრამაში განსაზღვრულ მატერიალურ - ტექნიკური რესურსის ჩამონათვალთან. ვიზუალური დათვალიერებით დადასტურდა, რომ პროგრამით გათვალისწინებული სწავლის შედეგების მიღწევა უზრუნველყოფილია დაწესებულების მფლობელობაში არსებული მატერიალური რესურსით კოლეჯის მიერ განსაზღვრული პროფესიულ სტუდენტთა ზღვრული რაოდენობისთვის, რისთვისაც კოლეჯში მოწყობილია A და B გარემოები,რომელიც აღჭურვილია საჭირო სასწავლო ინვენტარითა და კომპიუტერული ტექნიკით (კომბაინები, პროექტორები, კომპიუტერები). დუალური მიდგომით სწავლების უზრუნველსაყოფად დაწესებულებასა და საწარმოებს შორის გაფორმებულია სამმხრივი ხელშეკრულებები 4 საწარმოსთან: • ზერო ვაინ ბარს თბილისი, ლ. ქიაჩელის 10; შპს სევსამორა მენეჯმენტი; შპს კრუიზი რესტორანი „ოქროს საწმისი“ და რესტორანი - „აი ღვინის სახლი“, ; პროგრამაზე ერთობლივად მისაღები პროფესიული სტუდენტების რაოდენობას, კერძოდ თითო საწარმოში 15-15 პროფესიულ სტუდენტს. ამ ეტაპზე პროგრამაზე ირიცხება 8 აქტიური სტუდენტი, რომლებიც განაწილებულები არიან შემდეგნაირად: 3 მათგანი შპს სევსამორა მენეჯმენტში და 5

მათგანი შპს კრუიზი რესტორანში „ოქროს საწმისი“. პროგრამისთვის „კულინარიის ხელოვნება“ განსაზღვრული პროფესიული განათლების მასწავლებელთა რაოდენობა არის - 24 განმახორციელებელი, მათ შორის 3 დარგის სპეციალისტი.„სასწავლო პროცესის მარეგულირებელი წესის“ მე-14 მუხლით კოლეჯი ახორციელებს ინკუზიური განათლების დანერგვას, რაც გულისხმოს შეზღუდული შესაძლებლობის (შშმ) და სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების მქონე (სსსმ) სტუდენტთა ჩართვას სასწავლო პროცესში და მათთვის შესაბამისი სასწავლო გარემოს შექმნის უზრუნველყოფას. პსდ-ს ფინანსური რესურსით უზრუნველყოფილია საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების მდგრადობა, პროგრამის შეფასების მექანიზმი ითვალისწინებს შრომის ბაზრის მოთხოვნებს, უკუკავშირს დაინტერესებული მხარეებისგან, საუკეთესო ადგილობრივ ან/და საერთაშორისო პრაქტიკას და სხვ.

პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამა- „ხილისა და ბოსტნეულის გადამუშავება“
ექსპერტის განცხადებით,პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელებისათვის დაწესებულების მიერ შერჩეული სასწავლო გარემო შეადგენს: A სასწავლო გარემო - შერჩეულია ერთი აუდიტორია, სადაც განთავსებულია 15 პროფესიული სტუდენტებისათვის მაგიდა და სკამი; პროფესიული განათლების მასწავლებლისათვის მაგიდა და სკამი; 1 კომპლექტი კომპიუტერი პროფესიულიგანათლების მასწავლებლისათვის; დემონსტრირების ციფრული საშუალება - პროექტორი, 1 ცალი; თვალსაჩინოებები; დაფა 1 ცალი, ზოგიერთი აღჭურვილობა პრაქტიკული სამუშაოსათვის. B სასწავლო გარემო - შერჩეულია ორი აუდიტორია, სადაც განთავსებულია 15-15 პროფესიული სტუდენტებისათვის მაგიდა და სკამი; პროფესიული განათლების მასწავლებლისათვის მაგიდა და სკამი; 15 კომპლექტი კომპიუტერი პროფესიული სტუდენტებისათვის; 1 კომპლექტი კომპიუტერი პროფესიული განათლების მასწავლებლისათვის; დემონსტრირების ციფრული საშუალება - პროექტორი, 1 ცალი; დაფა 1 ცალი; კომბაინი (პრინტერი, სკანერი, ასლგადამღები) 1 ცალი; C. სასწავლო გარემო - შერჩეულია კოლეჯის ტერიტორიაზე არსებული ცალკე მდგომი შენობის სახით, სადაც განთავსებულია პროგრამის განხორციელებისთვის საჭირო მატერიალურ ტექნიკური რესურსი. დუალური მიდგომით სწავლების უზრუნველსაყოფად დაწესებულებასა და საწარმოებს შორის გაფორმებულია ხელშეკრულება ,,კულას წვენების გადამამუშვებელ საწარმოსთან (შპს გსქ კულა'' გორი, შინდისის გზატკეცილი) , რომელიც უზრუნველყოფს ერთდროულად 15 პროფესიული სტუდენტის პრაქტიკულ სწავლებას. ამ ეტაპზე პროგრამაზე ირიცხება 2 აქტიური სტუდენტი, რომლებიც პრაქტიკულ კომპონენტს გადიან ზემოაღნიშნულ საწარმოში. პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის - „ხილისა და ბოსტნეულის გადამუშავება“ განხორციელებაში წინამძღვრიანთკარის მისამართზე სულ ჩართულია 34 პროფესიული განათლების მასწავლებელი, მათ შორის 21 არის ზოგადი მოდულების განმახორციელებელი, 13 ახორციელებს პროფესიულ მოდულებს.„სასწავლო პროცესის მარეგულირებელი წესის“ მე-14 მუხლით კოლეჯი ახორციელებს ინკლუზიური განათლების დანერგვას, რაც გულისხმოს შეზღუდული შესაძლებლობის (შშმ) და სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების მქონე (სსსმ) სტუდენტთა ჩართვას სასწავლო პროცესში და მათთვის შესაბამისი სასწავლო გარემოს შექმნის უზრუნველყოფას;

პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამა - „აღმზრდელი“
ექსპერტის განცხადებით, წარმოდგენილი მოდულური პროგრამის განსახორციელებლად კოლეჯს გააჩნია შესაბამისი პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამით განსაზღვრული ერთი A და ერთი B გარემო. ვიზიტის მიმდინარეობისას ექსპერტების მიერ მოხდა აღნიშნული აუდიტორიების გადამოწმება, აღმოჩნდა, რომ თითოეული მათგანი აღჭურვილია საჭირო რესურსით 15 პროფესიულ სტუდენტზე. კერძოდ, დაწესებულებას მფლობელობაში აქვს 15 პროფესიული სტუდენტისათვის მაგიდა და სკამი; პროფესიული განათლების მასწავლებლისათვის 1 მაგიდა და სკამი; 1 კომპლექტი კომპიუტერი პროფესიული განათლების

მასწავლებლისათვის; 1 კომპლექტი კომპიუტერი პროფესიული განათლების სტუდენტებისათვის; 1 ცალი დემონსტრირების ციფრული საშუალება - პროექტორი; დაფა 1 ცალი; კომბაიანი 1 ცალი. საგანმანათლებლო პროგრამა „აღმზრდელი“ ითვალისწინებს ორი პრაქტიკული კომპონენტის შემცველი მოდულის სწავლებას. ესენია „გაცნობითი პრაქტიკა სკოლამდელი აღზრდა და განათლება“ და „პრაქტიკული პროექტი – სკოლამდელი აღზრდა და განათლება“. პრაქტიკული კომპონენტის განხორციელების მიზნით კოლეჯს გაფორმებული აქვს ურთიერთთანამშრომლობის მემორანდუმი ა(ა)იპ მცხეთის მუნიციპალიტეტის სკოლამდელი აღზრდის დაწესებულებათა გაერთიანებასთან. პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის „აღმზრდელი“ განხორციელებაში ჩართულია 22 შესაბამისი კვალიფიკაციის მქონე პროფესიული განათლების მასწავლებელი, მათ შორის 13 პროფესიული მოდულის, ხოლო 9 ზოგადი მოდულის განმახორციელებელი პირი. საგანმანათლებლო პროგრამაში მითითებული საგანმანათლებლო რესურსი ხელმისაწვდომია ელექტრონული სახით ან დაწესებულების ბიბლიოთეკაში მატერიალური სახით და გამოიყენება სასწავლო პროცესში. დაწესებულება უზრუნველყოფს სასწავლო პროცესის ორგანიზებას პროფესიულ სტუდენტთა ინტერესების გათვალისწინებით და მოქნილად რეაგირებს შემხვედრ საჭიროებებზე.სასწავლო პროცესი მიმდინარეობს უსაფრთხო სასწავლო/სამუშაო გარემოში,პროფესიულ სტუდენტთა შეფასების სისტემა ითვალისწინებს ვერიფიკაციის მექანიზმს, დაწესებულება უზრუნველყოფს შეფასებასთან დაკავშირებული მონაცემების/ინფორმაციის/მტკიცებულებების სათანადო აღრიცხვასა და შენახვას შეფასების უწყისის გაფორმებიდან 3 წლის ვადით.

პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამა - „ელექტროობა“
პროგრამა ხორციელდება საგანმანათლებლო დაწესებულების მატერიალური რესურსით. ექსპერტთა ჯგუფმა გადავამოწმეთ რესურსების ფიზიკური არსებობა და საკმარისობა. საგანმანათლებლო პროგრამა „ელექტროობა“-ს განსახორციელებლად გათვალისწინებული აქვს A.B.C გარემო მისამართზე - მცხეთის რაიონი, სოფელი წინამძღვრიათკარი.

A სასწავლო გარემო აუდიტორია № 106 – 15 სტუდენტზე, თეორიული მეცადინეობის და ჯგუფური მუშაობისათვის, რომელიც აღჭურვილია პროფესიული სტუდენტის სამუშაო ადგილებით (15 მაგიდა და სკამი); პროფესიული განათლების მასწავლებლის სამუშაო ადგილით (1 მაგიდა და სკამი); დემონსტრირების ციფრული საშუალება -პროექტორი, დაფა, კომპიუტერი პროფესიული განათლების მასწავლებლისათვის.

B სასწავლო გარემო, ლაბორატორია N 209 -15 სტუდენტზე, რომელიც სრულადაა აღჭურვილი პროფესიული სტუდენტის სამუშაო ადგილებით (15 მაგიდა და სკამი -15 კომპიუტერი) პროფესიული განათლების მასწავლებლის სამუშაო ადგილით (1 მაგიდა და სკამი) და 1 კომპიუტერით, პროექტორი, დაფა.

C- სასწავლო გარემოს ლაბორატორია, N 306 -15 სტუდენტზე. აღჭურვილია პროფესიული სტუდენტის სამუშაო ადგილებით (15 მაგიდა და სკამი); პროფესიული განათლების მასწავლებლის სამუშაო ადგილით (1 მაგიდა და სკამი); დაფა, კომპიუტერი პროფესიული განათლების მასწავლებლისათვის. სამუშაო გარემოში განთავსებულია: მოძრავი სტენდი პრაქტიკული დავალებისთვის; ვოლტმერი; ამპერმეტრი ციფრული; ცვლადი დენის კონდესატორი; ერთ სხივიანი ოსცილოგრაფი; ლაბორატორიული რეოსტატი; სიხშირმზომი, თვალსაჩინო ადგილას განთავსებულია მოქცევის წესები, ოთახში განთავსებულია პირველადი დახმარების ყუთი. აღჭურვილობა ხელმისაწვდომია მასწავლებლებისთვის, სტუდენტებისთვის და გამოიყენება საწავლო პროცესში. პროგრამის ფარგლებში დაწესებულებას გაფორმებული აქვს ხელშეკრულება ს/ს “ენერგო-პრო ჯორჯიასთან“. 30 სტუდენტზე, ერთჯერადად. ელექტროობის სასწავლო პროგრამისთვის განსაზღვრულ პროფესიული განათლების მასწავლებლების რაოდენობაა 21, მათ შორის, პროფესიული მოდულების განმახორციელებელი

პროფესიული მასწავლებელია 8 პირი. პროფესიული მასწავლებლების კვირეული დატვირთვა არ აღემატება 40 საათს. პროგრამას ჰყავს პსდ-ს მიერ განსაზღვრული, შესაბამისი დარგობრივი კომპეტენციის მქონე ხელმძღვანელი.კოლეჯის ფინანსური რესურსით უზრუნველყოფილია საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების მდგრადობა,სასწავლო გეგმების მიხედვით პროფესიული სტუდენტის კვირეული დატვირთვა არ აღემატება 40 საათს.

პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამა - „სასმელების წარმოება“
ექსპერტის განმარტებით, პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის - „სასმელების წარმოების“, განხორციელებისათვის სსიპ ,,ილია წინამძღვრიშვილის სახელობის კოლეჯი'' არსებობის ვადით, სარგებლობის უფლებით, ფლობს ძირითად სასწავლო ფართს, რომელიც მდებარეობს მცხეთის რაიონში სოფელ წინამძღვრიანთკარში. პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელებისათვის დაწესებულების მიერ შერჩეული სასწავლო გარემო შეადგენს:
- A სასწავლო გარემო - შერჩეულია ერთი აუდიტორია, სადაც განთავსებულია 15 პროფესიული სტუდენტისათვის მაგიდა და სკამი, პროფესიული განათლების მასწავლებლისათვის მაგიდა და სკამი, 1 კომპლექტი კომპიუტერი პროფესიული განათლების მასწავლებლისათვის, დემონსტრირების ციფრული საშუალება - პროექტორი 1 ცალი, დაფა 1 ცალი.
- B სასწავლო გარემო - შერჩეულია 2 აუდიტორია, თითოეულში განთავსებულია მაგიდა და სკამი 15 პროფესიული სტუდენტისათვის, მაგიდა და სკამი პროფესიული განათლების მასწავლებლისათვის, 15 კომპლექტი კომპიუტერი პროფესიული სტუდენტებისათვის; 1 კომპლექტი კომპიუტერი პროფესიული განათლების მასწავლებლისათვის, დემონსტრირების ციფრული საშუალება - პროექტორი 1 ცალი, დაფა 1 ცალი, კომბაინი (პრინტერი, სკანერი, ასლგადამღები) 1 ცალი. - კოლეჯს პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების განხორციელებისათვის მიზნებისათვის მოწყობილი აქვს ოთხი B სასწავლო გარემო, თითოეული აუდიტორია გათვლილია 15 პროფესიული სტუდენტისათვის და აღჭურვილია მოცემული სასწავლო გარემოს აღჭურვილობისათვის განსაზღვრული მატერიალური რესურსით.
- C სასწავლო გარემო - ქიმიური ლაბორატორია. კოლეჯში მოწყობილია ქიმიური ლაბორატორია. მასალა-ნედლეული (მაგ. ქიმიური რეაქტივები) არის მოთავსებული კონტეინერებში, წარწერებით და ინახება მათთვის განკუთვლილ ცალკე სათავსებში. ქიმიურ ლაბორატორაში არსებული აღჭურვილობები (გაზქურები, სინჯარები, კოლებები და სხვა) მოხმარებაშია. პროფესიული სტუდენტები სარგებლობენ ყველა საჭირო რესურსით. - პროგრამის განხორციელების მიზნებისათვის კოლეჯს გაფორმებული აქვს მემორანდუმი ოთხ საწარმოსთან: შპს ქართული ლეგენდა; შპს ქართული ლიმონათი; სს ქართული ლუდის კომპანია; სს სარაჯიშვილი. პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის - „სასმელების წარმოება“ განხორციელებაში სულ ჩართულია 34 პროფესიული განათლების მასწავლებელი, მათ შორის 17 არის ზოგადი მოდულების, ხოლო 17 - პროფესიული მოდულების განმახორციელებელი პირი. საგანმანათლებლო პროგრამაში მითითებული საგანმანათლებლო რესურსი ხელმისაწვდომია ელექტრონული სახით ან დაწესებულების ბიბლიოთეკაში მატერიალური სახით და გამოიყენება სასწავლო პროცესში.

პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამა- „მეხილეობა“
ექსპერტის განცხადებით, პროგრამა ხორციელდება სასწავლო გეგმის შესაბამისად. კოლეჯის ადმინისტრაცია უზრუნველყოფს სასწავლო პროცესის ორგანიზებას პროფესიულ სტუდენტთა ინტერესების გათვალისწინებით და მოქნილად რეაგირებს შემხვედრ საჭიროებებზე;სასწავლო პროცესში გათვალისწინებულია სწავლების თანამედროვე მეთოდები და დარგის შესაბამისი ტექნოლოგიები;დ, დაწესებულების სამუშაო გარემოში დაცულია უსაფრთხოების წესები

დარგის სპეციფიკის გათვალისწინებით. დაწესებულება უზრუნველყოფს შეფასებასთან დაკავშირებული მონაცემების/ინფორმაციის/მტკიცებულებების სათანადო აღრიცხვასა და შენახვას შეფასების უწყისის გაფორმებიდან 3 წლის ვადით.

საბჭოს თავმჯომარემ მიმართა დაწესებულების წარმომადგენელს დაეფიქსირებინა საკუთარი პოზიცია განხილულ საკითხებთან მიმართებით.

დაწესებულების წარმომადგენელმა მადლობა გადაუხადა ექსპერტებსა და საბჭოს წევრებს პროფესიონალიზმისთვის. მან აღნიშნა, რომ კოლეჯმა ძალიან ბევრი პროგრამა დაიმატა და ამისათვის დიდი შრომა გასწია. რეგიონთან მიმართებით ნამდვილად იყო პროფესიული განათლება საჭირო და მოთხოვნადი. დაწესებულება ძალიან აქტიურობდა, რომ გაეზარდა ინტეგრირებული პროგრამები.

საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა საბჭოს წევრებს, ჰქონდათ თუ არა კითხვები განხილულ საკითხებთან დაკავშირებით. საბჭოს წევრებს განხილულ საკითხთან მიმართებით კითხვები არ ჰქონდათ.

საბჭოს თავმჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა სსიპ - ილია წინამძღვრიშვილის სახელობის კოლეჯის საგანმანათლებლო პროგრამებში -„მებაღეობა“, მევენახეობა და მეღვინეობა“, „ხილისა და ბოსტნეულის გადამუშავება“, „ვეტერინარია“, „კულინარიის ხელოვნება“, „რძის პროდუქტების წარმოება“, „აღმზრდელი“, ელექტროობა“, „სასმელების წარმოება“, „მეხილოება“ განხორციელებული მონიტორინგის შესახებ საკითხი.

კენჭისყრის შედეგი:
მომხრე: 9
წინააღმდეგი: 0

გადაწყვეტილება: პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნის, პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს სხდომაზე დაინტერესებული მხარის მიერ დაფიქსირებული პოზიციის შესწავლის, შეფასებისა და ურთიერთშეჯერების საფუძველზე, შეწყდეს ადმინისტრაციული წარმოება სსიპ - ილია წინამძღვრიშვილის სახელობის კოლეჯში (ს/კ:236098851) საგანმანათლებლო პროგრამების "მებაღეობა", "მევენახეობა და მეღვინეობა", " ხილისა და ბოსტნეულის გადამუშავება", "ვეტერინარია", "კულინარიის ხელოვნება", "რძის პროდუქტების წარმოება", "აღმზრდელი", "ელექტროობა", "სასმელების წარმოება", "მეხილეობა" ფარგლებში განხორციელებულ მონიტორინგთან დაკავშირებით.

საბჭოს წევრებმა ნატალია კვაჭანტირაძემ და რუსუდან გიგაშვილმა დატოვეს საბჭოს სხდომა.

მეოთხე საკითხი: შპს ცხუმ-ეგრისისთვის „საექთნო საქმის“ პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამაზე პროფესიულ სტუდენტთა ადგილების რაოდენობის გაზრდის შესახებ საკითხის განხილვა.

საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა დაწესებულების წარმომადგენლებს, ხომ არ ჰქონდათ საბჭოს წევრების მიმართ აცილება.

საგანმანათლებლო დაწესებულების მიერ საბჭოს წევრ(ებ)ის აცილება

- **არა**

საბჭოს თავმჯდომარემ საბჭოს წევრებს მიმართა, ხომ არ ჰქონდათ განსახილველ საკითხთან მიმართებით თვითაცილება და/ან აცილება.

ავტორიზაციის საბჭოს წევრ(ებ)ის თვითაცილება

- **არა**

საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა საბჭოს წევრებს, დაედასტურებინათ, რომ იცნობდნენ ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნასა და დასკვნის პროექტზე დაწესებულების მიერ წარმოდგენილ არგუმენტირებულ პოზიციებს. საბჭოს წევრებმა დაადასტურეს, რომ იცნობდნენ საქმის მასალებს. საბჭოს თავმჯდომარემ ჰკითხა დაინტერესებული მხარის წარმომადგენლებს, იცნობდნენ თუ არა ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას. წარმომადგენლებმა დაადასტურეს, რომ იცნობდნენ დასკვნას. შესაბამისად, საბჭოს თავმჯდომარემ სთხოვა სხდომის მდივანს, რომ ექსპერტთა ჯგუფის დასკვნა დაერთო ოქმისთვის, როგორც მისი განუყოფელი ნაწილი.

საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა ექსპერტებს, დაეფიქსირებინათ თავიანთი მოსაზრებები განსახილველ საკითხებთან დაკავშირებით.

ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარე ლევან მადათოვი მიესალმა დამსწრე პირებს და საუბარი დაიწყო ვიზიტის საერთო მიმოხილვით.

მისი განცხადებით, სსიპ - განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის 2023 წლის 7 აპრილის №392530 ბრძანების საფუძველზე, 2023 წლის 26 აპრილს განხორციელდა ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის ვიზიტი შპს ცხუმ-ეგრისში (ქ.ზუგდიდი, კოსტავას ქ. №32) ,,საექთნო საქმის“ პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამაზე პროფესიულ სტუდენტთა ადგილების რაოდენობის გაზრდის შესახებ დაწესებულების განაცხადისა და თანდართული დოკუმენტაციის, ასევე პროფესიულ სტუდენტთა ზღვრული რაოდენობის განსაზღვრის მეთოდოლოგიის - პროგრამის სპეციფიკისა და დაწესებულების რესურსების გათვალისწინებით, საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2010 წლის 1 ოქტომბრის №99/ნ ბრძანებით დამტკიცებული „საგანმანათლებლო დაწესებულების ავტორიზაციის დებულების“ 31-ე მუხლის, მე-2 პუნქტის ბ) ქვეპუნქტით დადგენილ სტანდარტების "ბ.ბ" და "ბ.დ" კომპონენტების, აგრეთვე ე) ქვეპუნქტით დადგენილი სტანდარტების „ე.ა“ და ე.ბ“ კომპონენტებთან შესაბამისობის შეფასების მიზნით. პროფესიულ სტუდენტთა ადგილების რაოდენობის გაზრდის შესახებ განაცხადი, რომელიც ეფუძნება პროგრამაზე გაზრდილ მოთხოვნასა და ზღვრული რაოდენობის მეთოდოლოგიას. პროგრამაზე 2022 წელს დარეგისტრირებული იყო 42 აპლიკანტი და ჩაირიცხა 21, აქტიური პროფესიული სტუდენტების რაოდენობაა - 20. ახალი ნაკადის მისაღებად კოლეჯმა გაზარდა მატერიალური რესურსი (ფართი) კერძოდ, 2023 წლის 27 იანვარს მოხდა შეთანხმება იჯარის ხელშეკრულებაში ცვლილებისა და დამატების შეტანის შესახებ, რომლის საფუძველზე, იმავე მისამართზე (ქ.ზუგდიდი, კოსტავას ქ. №32) მოხდა 132,5 კვ.მ მეტრის დამატება, საერთო ჯამში საიჯარო ფართი გაიზარდა 313.8 კვ.მეტრიდან 446.3 კვ.მ მდე. გაიზარდა როგორც ადმინისტრაციული სივრცე, ასევე დაემატა 3 აუდიტორია (2 A და 1 B გარემო) ვიზიტი წარიმართა წინასწარ შედგენილი დღის წესრიგის შესაბამისად. წარმოდგენილი დოკუმენტაციის, ინტერვიურების

და დათვალიერებული მატერიალური რესურსის საფუძველზე, ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფს ,,საექთნო საქმის“ პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამაზე პროფესიულ სტუდენტთა ზღვრული რაოდენობის 20 სტუდენტიდან 40 სტუდენტამდე გაზრდა შესაძლებლად მიაჩნია.

ექსპერტმა დასაწყისშივე აღნიშნა, რომ პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის „საექთნო საქმე“ შესახებ ვიზიტის დროს ხარვეზი არ დაფიქსირებულა და არც რეკომენდაციები გაცემულა.

პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამა - „საექთნო საქმე“
ექსპერტის განცხადებით, პროგრამით გათვალისწინებული სწავლის შედეგების მიღწევა შესაძლებელია კოლეჯის მფლობელობაში არსებული მატერიალური რესურსით, რომელიც უზრუნველყოფს პროგრამის პრაქტიკული კომპონენტის განხორციელებასაც პროფესიულ სტუდენტთა ზღვრული რაოდენობის გათვალისწინებით - 40 პროფესიული სტუდენტი. პროგრამის განხორციელებისთვის კოლეჯში გამოყოფილია ორი A და ერთი B გარემო. სასწავლო გარემოებში არის 40 პროფესიული სტუდენტის სამუშაო ადგილი, პროგრამის განმახორციელებელი პირის სამუშაო ადგილი, პროექტორი, საპროექციო დაფა, ხმის გამაძლიერებელი. B(N18 აუდიტორია) გარემოში განთავსებულია: 20 კომპიუტერი პროფესიული სტუდენტებისათვის, ერთი კომპიუტერი პროგრამის განმახორციელებელი პირისთვის 2 მულტიფუნქციური პრინტერი, პროექტორი და შესაბამისი საპროექციო დაფა. ამავე აუდიტორიაში განთავსებულია პროგრამით გათვალისწინებული შესაბამისი რესურსი. პრაქტიკული სწავლების მოდულების, ასევე კლინიკური სწავლების მოდულების განხორციელება იგეგმება შესაბამის სამედიცინო დაწესებულებებში: შპს სენაკის ფსიქიკური ჯანმრთელობის და ნარკომანიის პრევენციის ცენტრი“ 20 პროფესიულ სტუდენტზე; შპს ქუთაისის ფსიქიკური ჯანმრთელობის და ნარკომანიის პრევენციის ცენტრი“ 20 პროფესიულ სტუდენტი; სს „ევექსის ჰოსპიტლები “ ; მრავალპროფილური სამედიცინო ცენტრი შპს ნლი სს “ევექსის ჰოსპიტლები“ -ზუგდიდის რეფერალური ჰოსპიტალი - 50 პროფესიული სტუდენტი. „საექთნო საქმის“ პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელებაში ჩართულია 31 პროგრამის განმახორციელებელი პირი. ისინი არიან სხვადასხვა პროფილის მოქმედი ექიმები და ექთნები. თითოეული მათგანი შერჩეულია შესაბამისი კვალიფიკაციის მიხედვით. გათვალისწინებულია პროფესიული განათლების მასწავლებელთა დატვირთვა, რაც უზრუნველყოფს საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების მდგრადობას. მათი კვირეული დატვირთვა არ აღემატება 40 საათს. განმახორციელებელი პირების საერთო რაოდენობა პროგრამაზე შეადგენს 31 პროფესიული განათლების მასწავლებელს.აქედან: 6 ზოგადი მოდულების მასწავლებელი, 2 ქართული ენის, 23 პროფესიული მოდულების განმახორციელებელი პირი, .სსსმ პირებს წვდომა აქვთ პროგრამით გათვალისწინებულ ან ინდივიდუალური სასწავლო გეგმით გათვალისწინებულ სასწავლო რესურსებთან, რომლებიც ადაპტირებულია სსსმ პირების საჭიროებებისა და მოთხოვნილებების შესაბამისად.

საბჭოს თავმჯომარემ მიმართა დაწესებულების წარმომადგენელს დაეფიქსირებინა საკუთარი პოზიცია განხილულ საკითხთან მიმართებით.

დაწესებულების წარმომადგენელმა მადლობა გადაუხადა ექსპერტებსა, საბჭოს წევრებს პროფესიონალიზმისთვის და აღნიშნა, რომ გაცემული რეკომენდაციები აუცილებლად იქნებოდა გათვალისწინებული.

საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა საბჭოს წევრებს, ჰქონდათ თუ არა კითხვები განხილულ საკითხებთან დაკავშირებით. საბჭოს წევრებს განხილულ საკითხთან მიმართებით კითხვები არ ჰქონდათ.

საბჭოს თავმჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა საკითხი შპს ცხუმ-ეგრისისთვის, პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამაზე „საექთნო საქმე“ პროფესიულ სტუდენტთა ადგილების გაზრდის შესახებ საკითხი.

კენჭისყრის შედეგი:
მომხრე: 7
წინააღმდეგი: 0

გადაწყვეტილება: პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულების მიერ პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამაზე პროფესიულ სტუდენტთა ადგილების რაოდენობის გაზრდის განაცხადში ასახული ინფორმაციის, ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნისა და პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს სხდომაზე დაინტერესებული მხარის მიერ დაფიქსირებული პოზიციის შესწავლის, შეფასებისა და ურთიერთშეჯერების საფუძველზე, საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2010 წლის 1 ოქტომბრის №99/ნ ბრძანებით დამტკიცებული ,,საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის დებულების“ 56-ე მუხლის შესაბამისად, შპს ცხუმ-ეგრისს(ს/კ:220377759) დანართით განსაზღვრულ „საექთნო საქმის" პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამაზე გაეზარდოს პროფესიულ სტუდენტთა ადგილების ზღვრული რაოდენობა და განესაზღვროს 40-ით **(დანართი 1).**

მეხუთე საკითხი: შპს ცხუმ-ეგრისისთვის „აღმზრდელის“ პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამაზე პროფესიულ სტუდენტთა ადგილების რაოდენობის გაზრდის შესახებ საკითხის განხილვა.

საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა დაწესებულების წარმომადგენლებს, ხომ არ ჰქონდათ საბჭოს წევრების მიმართ აცილება.

საგანმანათლებლო დაწესებულების მიერ საბჭოს წევრ(ებ)ის აცილება

- **არა**

საბჭოს თავმჯდომარემ საბჭოს წევრებს მიმართა, ხომ არ ჰქონდათ განსახილველ საკითხთან მიმართებით თვითაცილება და/ან აცილება.

ავტორიზაციის საბჭოს წევრ(ებ)ის თვითაცილება

- **არა**

საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა საბჭოს წევრებს, დაედასტურებინათ, რომ იცნობდნენ ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნასა და დასკვნის პროექტზე დაწესებულების მიერ წარმოდგენილ არგუმენტირებულ პოზიციებს. საბჭოს წევრებმა დაადასტურეს, რომ იცნობდნენ საქმის მასალებს. საბჭოს თავმჯდომარემ ჰკითხა დაინტერესებული მხარის წარმომადგენლებს, იცნობდნენ თუ არა ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას. წარმომადგენლებმა დაადასტურეს, რომ იცნობდნენ დასკვნას. შესაბამისად, საბჭოს თავმჯდომარემ სთხოვა სხდომის მდივანს, რომ ექსპერტთა ჯგუფის დასკვნა დაერთო ოქმისთვის, როგორც მისი განუყოფელი ნაწილი.

საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა ექსპერტებს, დაეფიქსირებინათ თავიანთი მოსაზრებები განსახილველ საკითხებთან დაკავშირებით.

ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარე ლევან მადათოვი მიესალმა დამსწრე პირებს და საუბარი დაიწყო ვიზიტის საერთო მიმოხილვით.

მისი განცხადებით, სსიპ - განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის 2023 წლის 7 აპრილის N392529 ბრძანების საფუძველზე შეიქმნა პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფი შემდეგი შემადგენლობით: ა) ნიკა ჯიაძე - პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის ექსპერტი (თავმჯდომარე); ბ) ქეთევან ღვანიძე - დარგის ექსპერტი (წევრი). ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფს დაევალა „აღმზრდელის" პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის პროფესიულ სტუდენტთა ადგილების რაოდენობის გაზრდის შესახებ განაცხადისა და მასზე თანდართული დოკუმენტაციის შესწავლა, პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულების პროფესიული სტუდენტების ზღვრული რაოდენობის განსაზღვრის მეთოდოლოგიის – პროგრამის სპეციფიკისა და დაწესებულების რესურსების გათვალისწინებით. დაწესებულებაში, წინასწარ გაწერილი დღის წესრიგის მიხედვით, ვიზიტი განხორციელდა 2023 წლის 26 აპრილს. ვიზიტის ფარგლებში ექსპერტთა ჯგუფმა შეამოწმა საგანმანათლებლო პროგრამის პროფესიული განათლების მასწავლებლებისა და პროგრამის ხელმძღვანელის პირადი საქმეები, გაანალიზა დაწესებულების განაცხადი პროფესიულ სტუდენტთა რაოდენობის გაზრდასთან დაკავშირებით დაწესებულების პროფესიული სტუდენტების ზღვრული რაოდენობის განსაზღვრის მეთოდოლოგიის – პროგრამების სპეციფიკისა და დაწესებულების რესურსების გათვალისწინებით, ჩაატარა გასაუბრება დაწესებულების ადმინისტრაციის წარმომადგენლებთან, საგანმანათლებლო პროგრამის ხელმძღვანელებთან, პროფესიული განათლების მასწავლებლებთან, პროფესიულ სტუდენტებთან და პრაქტიკის ობიექტების წარმომადგენლებთან. ადგილზე გაეცნო საგანმანათლებლო პროგრამის მატერიალურ და საგანმანათლებლო რესურსებს. პროფესიულ სტუდენტთა ადგილების რაოდენობის გაზრდის საფუძველს წარმოადგენს პროგრამაზე გაზრდილი მოთხოვნის (მიმართვიანობის), პარტნიორი ორგანიზაციების მხრიდან გაცხადებული პროფესიონალი კადრების საჭიროება და მეორე მხრივ, სახელწიფოს განათლებისა და მეცნიერების ერთიანი სტრატეგია, რომლის ერთ-ერთი მიზანია „მაღალი ხარისხის სკოლამდელ განათლებაზე ხელმისაწვდომობის გაზრდა და სკოლის ასაკის ბავშვების სკოლისთვის მომზადების უზრუნველყოფა. ახალი ნაკადის მისაღებად კოლეჯმა გაზარდა მატერიალური რესურსი (ფართი) კერძოდ, 2023 წლის 27 იანვარს მოხდა შეთანხმება იჯარის ხელშეკრულებაში ცვლილებისა და დამატების შეტანის შესახებ, რომლის საფუძველზე, იმავე მისამართზე (ქ.ზუგდიდი, კოსტავას ქ. №32) მოხდა მეორე 132,5 კვ.მ მეტრის დამატება, საერთო ჯამში საიჯარო ფართი გაიზარდა 313.8 კვ.მეტრიდან 446.3 კვ.მ მდე. გაიზარდა როგორც ადმინისტრაციული სივრცე ასევე დაემატა 3 აუდიტორია (2 A და 1 B გარემო). პროგრამაზე პროფესიულ სტუდენტთა ზღვრული რაოდენობა შეადგენს 10 პროფესიულ სტუდენტს (ავტორიზაციის საბჭოს 2020 წლის 7 თებერვლის გადაწყვეტილება N15) და ათივე პროფესიული სტუდენტი აქტიური სტატუსით სარგებლობს. ვიზიტი წარიმართა წინასწარ შედგენილი დღის წესრიგის შესაბამისად. წარმოდგენილი დოკუმენტაციის, ინტერვიურების და დათვალიერებული მატერიალური რესურსის საფუძველზე, ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფს „აღმზრდელის“ პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამაზე პროფესიულ სტუდენტთა ზღვრული რაოდენობის 10 სტუდენტიდან 40 სტუდენტამდე გაზრდა შესაძლებლად მიაჩნია.

ექსპერტმა დასაწყისშივე აღნიშნა, რომ პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის „აღმზრდელი“ შესახებ ვიზიტის დროს ხარვეზი არ დაფიქსირებულა და არც შესაბამისობის რეკომენდაციები გაცემულა. გაიცა განმავითარებელი რეკომენდაციები.

პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამა- „აღმზრდელი“
ექსპერტის განცხადებით, პროგრამით გათვალისწინებული სწავლის შედეგების მიღწევა უზრუნველყოფილია დაწესებულების/სასწავლო საწარმოს/პრაქტიკის ობიექტის მფლობელობაში არსებული მატერიალური რესურსით, პროფესიულ სტუდენტთა ზღვრული რაოდენობის გათვალიწინებით.პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს გადაწყვეტილებით, პროფესიულ სტუდენტთა რაოდენობა განსაზღვრულია 10 სტუდენტით, აქტიური სტატუსით სარგებლობს 10 პროფესიული სტუდენტი, შესაბამისად კოლეჯს სრულად აქვს ათვისებული საბჭოს მიერ მინიჭებული კვორა. კოლეჯს სურს დამატებით 30 სტუდენტის მიღების უფლების მოპოვება ორი ცვლის გათვალისწინებით. ვიზიტის პერიოდში ექსპერტებმა შეისწავლეს დაწესებულების მიერ წარმოდგენილი მატერიალური რესურსების შესყიდვის დოკუმენტაცია და შეამოწმეს პროგრამის განხორციელებისთვის გამოყოფილი აუდიტორიები. კოლეჯს აღნიშნული პროგრამის განსახორციელებლად გამოყოფილი ჰქონდა ერთი AC სასწავლო გარემო (აუდიტორია N7), ხოლო ზღვრული რაოდენობის გაზრდის მოთხოვნის შემდეგ დაიმატა კიდევ ერთი AC სასწავლო გარემო (აუდიტორია #2). თითოეული AC სასწავლო გარემო აღჭურვილია საჭირო რესურსით 20 პროფესიულ სტუდენტზე (მაგიდა, სკამი), ასევე თითოეულ აუდიტორიაში განთავსებულია 1 კომპიუტერი, 1 დაფა, 1 პროექტორი, 1 პრინტერი და პროფესიული განათლების მასწავლებლის სამუშაო ადგილი (მაგიდა, სკამი). დაწესებულებას პროგრამის „აღმზრდელი“ ზოგადი მოდულის განხორციელებისათვის გამოყოფილი აქვს B გარემო, კომპიუტერული კლასი (N18) აუდიტორია. B გარემოს აუდიტორია აღჭურვილია საჭირო რესურსით (მაგიდა, სკამი, კომპიუტერები, პრინტერი, პროექტორი) 20 პროფესიულ სტუდენტზე. საგანმანათლებლო პროგრამა „აღმზრდელი“ ითვალისწინებს მოდულებს: „გაცნობითი პრაქტიკა სკოლამდელი აღზრდა და განათლება“ და „პრაქტიკული პროექტი – სკოლამდელი აღზრდა და განათლება“, რომელთა განხორციელების მიზნით კოლეჯს გაფორმებული აქვს ხელშეკრულებები ქ. ზუგდიდის #15, #13 და ინგირის „წითელქუდა“ საბავშვო ბაგა–ბაღებთან. ხელშეკრულებების გაფორმების თარიღია 2023 წლის 07 თებერვალი და მოქმედებს ექვსი კალენდარული წლის ვადით.

ექსპერტის განცხადებით, პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის „აღმზრდელი“ განხორციელების მიზნით, პროფესიული სტუდენტების რაოდენობის გაზრდის მოთხოვნამდე დაწესებულებას განსაზღვრული ჰყავდა 13 შესაბამისი კვალიფიკაციის მქონე მასწავლებელი, აქედან 6 პროფესიული მოდულის, 5 ზოგადი მოდულის და 2 ქართული ენის განმახორციელებელი პირი. პროფესიული სტუდენტების რაოდენობის გაზრდის მიზნით კოლეჯმა დამატებით ხელშეკრულება გააფორმა 6 პროფესიულ მასწავლებელთან. საგანმანათლებლო პროგრამას ჰყავს დაწესებულების მიერ განსაზღვრული, შესაბამისი დარგობრივი კომპეტენციის მქონე ხელმძღვანელი. . სსსმ პირებს საჭიროების შემთხვევაში ექნებათ წვდომა პროგრამით გათვალისწინებულ ან ინდივიდუალური სასწავლო გეგმით გათვალისწინებულ სასწავლო რესურსებთან, რომლებიც ადაპტირებული იქნება სსსმ პირების საჭიროებებისა და მოთხოვნილებების შესაბამისად.

საბჭოს თავმჯომარემ მიმართა დაწესებულების წარმომადგენელს დაეფიქსირებინა საკუთარი პოზიცია განხილულ საკითხთან მიმართებით.

დაწესებულების წარმომადგენელმა მადლობა გადაუხადა ექსპერტებსა, საბჭოს წევრებს პროფესიონალიზმისთვის და აღნიშნა, რომ გაცემული რეკომენდაციები აუცილებლად იქნებოდა გათვალისწინებული.

საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა საბჭოს წევრებს, ჰქონდათ თუ არა კითხვები განხილულ საკითხებთან დაკავშირებით. საბჭოს წევრებს განხილულ საკითხთან მიმართებით კითხვები არ ჰქონდათ.

საბჭოს თავმჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა საკითხი შპს ცხუმ-ეგრისისთვის, პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამაზე „აღმზრდელი“ პროფესიულ სტუდენტთა ადგილების გაზრდის შესახებ საკითხი.

კენჭისყრის შედეგი:
მომხრე: 7
წინააღმდეგი: 0

გადაწყვეტილება: პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულების მიერ პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამაზე პროფესიულ სტუდენტთა ადგილების რაოდენობის გაზრდის განაცხადში ასახული ინფორმაციის, ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნისა და პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს სხდომაზე დაინტერესებული მხარის მიერ დაფიქსირებული პოზიციის შესწავლის, შეფასებისა და ურთიერთშეჯერების საფუძველზე, საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2010 წლის 1 ოქტომბრის №99/ნ ბრძანებით დამტკიცებული ,,საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის დებულების“ 56-ე მუხლის შესაბამისად, შპს ცხუმ-ეგრისს (ს/კ: 220377759) დანართით განსაზღვრულ „აღმზრდელის" პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამაზე გაეზარდოს პროფესიულ სტუდენტთა ადგილების ზღვრული რაოდენობა და განესაზღვროს 40-ით **(დანართი 2).**

საბჭოს წევრი ნატალია კვაჭანტირაძე შემოუერთდა საბჭოს სხდომას.

მეექვსე საკითხი: სსიპ კოლეჯი „აისის“ საგანმანათლებლო პროგრამის „მეფუტკრეობა“ მონიტორინგის შესახებ საკითხის განხილვა.

საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა დაწესებულების წარმომადგენლებს, ხომ არ ჰქონდათ საბჭოს წევრების მიმართ აცილება.

საგანმანათლებლო დაწესებულების მიერ საბჭოს წევრ(ებ)ის აცილება

- **არა**

საბჭოს თავმჯდომარემ საბჭოს წევრებს მიმართა, ხომ არ ჰქონდათ განსახილველ საკითხთან მიმართებით თვითაცილება და/ან აცილება.
ავტორიზაციის საბჭო სწევრ(ებ)ის თვითაცილება

- **არა**

საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა საბჭოს წევრებს, დაედასტურებინათ, რომ იცნობდნენ ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნასა და დასკვნის პროექტზე დაწესებულების მიერ წარმოდგენილ არგუმენტირებულ პოზიციებს. საბჭოს წევრებმა დაადასტურეს, რომ იცნობდნენ საქმის მასალებს. საბჭოს თავმჯდომარემ ჰკითხა დაინტერესებული მხარის წარმომადგენლებს, იცნობდნენ თუ არა ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას. წარმომადგენლებმა დაადასტურეს, რომ იცნობდნენ დასკვნას. შესაბამისად, საბჭოს თავმჯდომარემ სთხოვა სხდომის მდივანს, რომ ექსპერტთა ჯგუფის დასკვნა დაერთო ოქმისთვის, როგორც მისი განუყოფელი ნაწილი.

საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა ექსპერტებს, დაეფიქსირებინათ თავიანთი მოსაზრებები განსახილველ საკითხებთან დაკავშირებით.

ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარე მანანა მახარაშვილი მიესალმა დამსწრე პირებს და საუბარი დაიწყო ვიზიტის საერთო მიმოხილვით.

მისი განცხადებით, სსიპ კოლეჯში „აისი“ ვიზიტი განხორციელდა სსიპ განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის (შემდეგში „ცენტრი“) დირექტორის 2023 წლის 4 მაისის ბრძანების MES 8 23 0000500265 საფუძველზე, რომლის მიზანს წარმოადგენდა, კოლეჯის მიერ, ლაგოდეხის მუნიციპალიტეტის სოფელ შრომაში, პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის ,,მეფუტკრეობა", საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2010 წლის 1 ოქტომბრის №99/ნ ბრძანებით დამტკიცებული „საგანმანათლებლო დაწესებულების ავტორიზაციის დებულების“ 31-ე მუხლის მე-2 პუნქტის ბ.ბ) კომპონენტის შესრულების შეფასება. შეფასების საფუძველს, თავის მხრივ, წარმოადგენდა პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს შუამდგომლობა (პსდ-ების ავტორიზაციის საბჭოს სხდომის ოქმი, MES 1 23 0000325966, 22/03/2023). პსდ-ში ვიზიტი განახორციელდა 2023 წლის 16 მაისს ექსპერტთა შემდეგი შემადგენლობით: პროფესიული განათლების ხარისხის უზრუნველყოფის ექსპერტები - მანანა მახარაშვილი (თავმჯდომარე) და დარგის ექსპერტი თამარ ახალაძე. ვიზიტამდე, ექსპერტების მიერ, შესწავლილი იქნა დაწესებულების მიერ ცენტრში წარმოდგენილი მატერიალური რესურსის ფლობის დამდასტურებელი დოკუმენტაცია. შესწავლილი დოკუმენტაციისა და არსებული ფაქტობრივი გარემოებების გათვალისწინებით, ექსპერტთა მიერ, საგანმანათლებლო პროგრამის „მეფუტკრეობა“ „საგანმანათლებლო დაწესებულების ავტორიზაციის დებულების“ 31- ე მუხლის მე-2 პუნქტის ბ. ბ) ქვეპუნქტით განსაზღვრულ სტანდარტთან შესაბამისობა შეფასდა დადებითად. გაიცა განმავითარებელი შინაარსის რეკომენდაციები, რომელთა ნაწილი აღმოფხვრილია, რასაც ადასტურებს პსდ-ს მიერ წარმოდგენილი არგუმენტირებული პოზიციის კორესპონდენცია (MES 3 23 0000603590, 29.05.2023წ.) და თანდართული ფოტო მასალა.

წინა ვიზიტის ფარგლებში გაცემული რეკომენდაციების შესრულების შეფასება და აღწერა

პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის „მეფუტკრეობა“ ფარგლებში, წინა ვიზიტის დროს გაცემული იქნა შესაბამისობის რეკომენდაცია, პსდ-ის შესაბამისობის გეგმით განსაზღვრულ ვადებში, პროგრამის განხორციელებისთვის საჭირო სასწავლო გარემოს მოწყობა. რეკომენდაცია პსდ-ს მიერ სრულად აღმოფხვრილია. საგანმანათლებლო პროგრამის მოთხოვნების შესაბამისად მოწყობილია ყველა ტიპის სასწავლო გარემო (A გარემო, C გარემო და სადურგლო) შესაბამისი აუცილებელი აღჭურვილობით. შესრულებულია ასევე გაცემული განმავითარებელი რეკომენდაცია პერსონალის ტრენინგებთან დაკავშირებით. შერჩეული პროფესიული განათლების მასწავლებლები გადამზადდა მოდულური პროგრამების სწავლებისა და შეფასების საკითხებთან დაკავშირებით. აღნიშნულ თემატიკაზე განხორციელებულია შიდა ტრენინგი, რაც შეეხება მასწავლებელთა შრომის უსაფრთხოების და

სურსათის უვნებლობის სტანდარტებთან დაკავშირებით გადამზადებას, შესაბამისი აქტივობები შეტანილია მიმდინარე წლის გეგმაში.

პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამა - „მეფუტკრეობა“

ექსპერტის განცხადებით, პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამაზე „მეფუტკრეობა“პროფესიული სტუდენტების რაოდენობა შეადგენს 30-ს (15-15 პროფესიული სტუდენტი 2 ცვლაში). საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელება დაგეგმილია ლაგოდეხის მუნიციპალიტეტის სოფ. შრომაში, სადაც კოლეჯის მფლობელობაშია არასასოფლო-სამეურნეო მიწის ნაკვეთი და შენობანაგებობები, საიდანაც სასწავლო პროცესისთვის ამ ეტაპზე დატვირთულია ორსართულიანი ნაგებობა, რომელიც მოწყობილია და სრულად არის აღჭურვილი სასწავლო პროცესისთვის. აღნიშნულ სივრცეში, პროგრამის განხორციელების მიზნებისთვის გამოყოფილია ერთი A სასწავლო გარემო, პროფესიული სტუდენტისთვის 15 სამუშაო ადგილით (მერხი, სკამი), 1 სამუშაო ადგილი პროფესიული განათლების მასწავლებლისთვის (მერხი, სკამი, კომპიუტერი, პრინტერი ასლის გადაღების ფუნქციით). აუდიტორია აღჭურვილია დაფითა და სადემონსტრაციო საშუალებებით. დაწესებულების საგანმანათლებლო სივრცეები და საფუტკრე მეურნეობა, არსებული მატერიალური აღჭურვილობით, უზრუნველყოფს პროგრამით გათვალისწინებული სწავლის შედეგების მიღწევას, პროფესიული სტუდენტების ზღვრული რაოდენობის გათვალისწინებით. ამავე სივრცეშია გამოყოფილი B სასწავლო გარემო (კომპიუტერული კლასი), სადაც მოწყობილია 15 პროფესიული სტუდენტისთვის სამუშაო ადგილი (მერხი, სკამი, კომპიუტერი), 1 სამუშაო ადგილი პროფესიული განათლების მასწავლებლისთვის (მერხი, სკამი, კომპიუტერი, პრინტერი ასლის გადაღების ფუნქციით). აუდიტორია აღჭურვილია დაფითა და სადემონსტრაციო საშუალებებით. ექსპერტების მიერ გადამოწმდა B გარემოს გამტარუნარიანობა. აღნიშნულ მისამართზე, ამ ეტაპზე კოლეჯი ახორციელებს 6 პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამას („სატყეო საქმე“, „მებაღეობა“, „თაბაშირ-მუყაოს კონსტრუქციების მონტაჟი“, „იატაკისა და ფილის სამუშაოები“, „საოფისე საქმე“, ბუღალტრული აღრიცხვა“), რომელთა ფარგლებში ისწავლება მხოლოდ ინფორმაციული წიგნიერების მოდული, გარდა „საოფისე საქმისა“ და „ბუღალტრული აღრიცხვის“ პროგრამებისა, რომლებიც დამატებით საჭიროებს გარკვული სწავლის შედეგების/მოდულების განხორციელებისთვის B გარემოს. ლაგოდეხის მუნიციპალიტეტის ფილიალის არსებული კვოტის (ამ ეტაპზე სულ 90 პროფესიული სტუდენტი) ფარგლებში, გარემო გამტარუნარიანია. პროგრამის განხორციელების მიზნებისთვის, ცალკე მდგომ შენობაში მოწყობილია 3 აუდიტორია: A სასწავლო გარემო, 15 პროფესიული სტუდენტისთვის სამუშაო ადგილით (მერხი, სკამი), 1 სამუშაო ადგილი პროფესიული განათლების მასწავლებლისთვის (მერხი, სკამი, კომპიუტერი, პრინტერი ასლის გადაღების ფუნქციით). აუდიტორია აღჭურვილია დაფითა და სადემონსტრაციო საშუალებებით. აქვეა განთავსებული დარგობრივი მოდულების შესაბამისი 2 C სასწავლო გარემო: ფუტკრის პროდუქტების მიღება-დამუშავების და სადურგლო სამუშაოების წარმოებისთვის.

ექსპერტის განცხადებით, პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის „მეფუტკრეობა“ განხორციელების მიზნით, პსდ-ს განსაზღვრული ჰყავს 9 შესაბამისი კვალიფიკაციის მქონე პროფესიული განათლების მასწავლებელი, აქედან, დარგობრივი მოდულების განხორციელებაში ჩართულია მინიმუმ 2 პირი, რაც სავსებით უზრუნველყოფს პროგრამის განხორციელების მდგრადობას. საგანმანათლებლო პროგრამაში მითითებული საგანმანათლებლო რესურსი ხელმისაწვდომია დაწესებულების ბიბლიოთეკაში მატერიალური

და ელექტრონული სახით და გამოიყენება სასწავლო პროცესში. დაწესებულებაში არსებული გარემო უზრუნველყოფს ინკლუზიური განათლების შესაძლებლობებსა და შეთავაზებულ სერვისებზე ხელმისაწვდომობას.

საბჭოს თავმჯომარემ მიმართა დაწესებულების წარმომადგენელს დაეფიქსირებინა საკუთარი პოზიცია განხილულ საკითხთან მიმართებით.

დაწესებულების წარმომადგენელმა აღნიშნა, რომ ეთანხმებოდა გაცემულ რეკომენდაციებს და კოლეჯს ყოველთვის ჰქონდა მიმღებლობა რეკომენდაციებთან მიმართებაში. მისი თქმით, ყველა განმავითარებელი რეკომენდაცია იყო შესრულებული. დაწესებულება არასდროს არ კმაყოფილდებოდა მიღწეული შედეგებით და ყოველთვის ცდილობდა უფრო მეტ განვითარებას, მისი თქმით, აღნიშნული პროგრამა თავის მისიას შეასრულებდა იმიტომ, რომ რეგიონისათვის მოთხოვნადი პროგრამა იყო.

საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა საბჭოს წევრებს, ჰქონდათ თუ არა კითხვები განხილულ საკითხებთან დაკავშირებით. საბჭოს წევრებს განხილულ საკითხთან მიმართებით კითხვები არ ჰქონდათ.

საბჭოს თავმჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა სსიპ კოლეჯი „აისის“ საგანმანათლებლო პროგრამის „მეფუტკრეობის“ მონიტორინგის შეწყვეტის შესახებ საკითხი.

კენჭისყრის შედეგი:
მომხრე: 8
წინააღმდეგი: 0

გადაწყვეტილება: პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნის, პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს სხდომაზე დაინტერესებული მხარის მიერ დაფიქსირებული პოზიციის შესწავლის, შეფასებისა და ურთიერთშეჯერების საფუძველზე, შეწყდეს ადმინისტრაციული წარმოება სსიპ კოლეჯ „აისში“ (ს/კ: 227770800) საგანმანათლებლო პროგრამის „მეფუტკრეობა“ განხორციელებულ მონიტორინგთან დაკავშირებით.

დღის წესრიგით გათვალისწინებული საკითხების განხილვა დასრულდა 18:00 საათზე.

სსიპ-განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრი
პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭო
საბჭოს თავმჯდომარე
ჯაფარიძე შორენა

სსიპ-განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრი / პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭო
საბჭოს მდივანი
ჩხარტიშვილი ხათუნა

დანართი 1

პროგრამის სახელწოდება	საექთნო საქმე
პროფესიული განათლების დონე	მეხუთე
მისანიჭებელი კვალიფიკაცია	უმაღლესი პროფესიული კვალიფიკაცია საექთნო საქმეში
სპეციალიზაციის/სწავლის დეტალური სფეროს კოდი	0913
პროგრამის განხორციელების ენა	ქართული
პროგრამის განხორციელების ადგილი	ქ. ზუგდიდი, მ. კოსტავას ქ. N 32
პროგრამის განხორციელების ფორმა (მოდულური/დუალური)	მოდულური (კოოპერაციული)
პროგრამაზე პროფესიულ სტუდენტთა ზღვრული რაოდენობა მისამართებისა და განხორციელების ფორმის მიხედვით	40
მოთხოვნილი სტუდენტთა ზღვრული რაოდენობა იმ სასწავლო გეგმის შემთხვევაში, რომელშიც ინტეგრირებულია ზოგადი განათლების საშუალო საფეხურის სწავლის შედეგები (პროგრამაზე მოთხოვნილი საერთო კვოტის ფარგლებში)	-
კრედიტების რაოდენობა ინტეგრირებული სასწავლო გეგმის შემთხვევაში ქართულენოვანი სტუდენტებისთვის	-
კრედიტების რაოდენობა არაინტეგრირებული სასწავლო გეგმის შემთხვევაში ქართულენოვანი სტუდენტებისთვის	180
კრედიტების რაოდენობა ინტეგრირებული სასწავლო გეგმის შემთხვევაში არაქართულენოვანი სტუდენტებისთვის	-
კრედიტების რაოდენობა არაინტეგრირებული სასწავლო გეგმის შემთხვევაში არაქართულენოვანი სტუდენტებისთვის	210

დანართი 2

პროგრამის სახელწოდება	აღმზრდელი
პროფესიული განათლების დონე	მეხუთე
მისანიჭებელი კვალიფიკაცია	უმაღლესი პროფესიული კვალიფიკაცია სკოლამდელ აღზრდაში
სპეციალიზაციის/სწავლის დეტალური სფეროს კოდი	0112
პროგრამის განხორციელების ენა	ქართული
პროგრამის განხორციელების ადგილი	ზუგდიდი, კოსტავას ქ. N32
პროგრამის განხორციელების ფორმა (მოდულური/დუალური)	მოდულური (კოოპერაციული)
პროგრამაზე პროფესიულ სტუდენტთა ზღვრული რაოდენობა მისამართებისა და განხორციელების ფორმის მიხედვით	40
მოთხოვნილი სტუდენტთა ზღვრული რაოდენობა იმ სასწავლო გეგმის შემთხვევაში, რომელშიც ინტეგრირებულია ზოგადი განათლების საშუალო საფეხურის სწავლის შედეგები (პროგრამაზე მოთხოვნილი საერთო კვოტის ფარგლებში)	-
კრედიტების რაოდენობა ინტეგრირებული სასწავლო გეგმის შემთხვევაში ქართულენოვანი სტუდენტებისთვის	-
კრედიტების რაოდენობა არაინტეგრირებული სასწავლო გეგმის შემთხვევაში ქართულენოვანი სტუდენტებისთვის	116
კრედიტების რაოდენობა ინტეგრირებული სასწავლო გეგმის შემთხვევაში არაქართულენოვანი სტუდენტებისთვის	-
კრედიტების რაოდენობა არაინტეგრირებული სასწავლო გეგმის შემთხვევაში არაქართულენოვანი სტუდენტებისთვის	146